ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 6 ივნისი, 2011 №132 (5513) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“
+„რიშელიე“
8 ლარი
30 მაისიდან
13 ივნისამდე




# ხელისუფლებას ოქრუაშვილის ლიკვიდაცია სურს

გვ.6

სააკაშვილის რეჟიმს ჩვენ დავასრულებთ!



## „აგვისტოს 5 დღის“ გმირი ლაშა ჩხარტიშვილი დააპატიმრეს

გვ.7

ლაშა ჩხარტიშვილი:
„26 მაისის შემდეგ 50 ადამიანია დაკარგული“



## პოლიტიკა გაჩეჩილაძეების საქმე არ არის

გვ.2

ხელისუფლება ბადრი ბიწაძეს აუცილებლად დააპატიმრებს



## არჩევნები აფხაზეთში სიტუაციას ვერ შეცვლის

გვ.8



## სამართალდამცველებმა ირინა ბათიაშვილი დააკავეს

გვ.7



გვ.5



## სახალხო კრება: დაბადების დღეს სოსო ჯაჭვლიანი საააკაშვილის დილეგში ხვდება

## სომხები ეკლესიების გადაცემას ითხოვენ

რისთვის ჩამოდის საქართველოში გარეგინ II

გვ.3



## ილია II: სასიკვდილოდ გამეტება სულიერი დაცემის ნიშანია

გვ.3



## რას საყვედურობენ ლეიბორისტები ნონა გაფრინდაშვილს

გვ.4

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 სასამართლოს მიმართ მაღალ ნდობას სასამართლოში მისული მოქალაქეები აფიქსირებენ

10 რა შედეგებს მოიტანს საქართველოში რევოლუციის აჩრდილის დაბრუნება

11 სააკაშვილი ისტორიას ვერ შეცვლის

10 საქართველოში დაპატიმრებები გაგრძელდება

# პოლიტიკა გაჩეჩილაძეების საქმე არ არის

## ხელისუფლება ბადრი ბიწა ეს აუცილებლად დააპატიმრებს

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ირინა სარიშვილთან



*— ქალბატონო ირინა, თქვენი აზრით, რამდენად გახდა ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებები და ქცევები იმისა, რომ რამდენიმე ლიდერი წამოსულიყო ქართული პარტიიდან?*

— რეალურად ეს ალბათ მართლა იყო მიზეზი, იმიტომ, რომ მე ეს არაერთხელ განმიცხადებია, რომ რაც შეეხება გაჩეჩილაძეებს და თუნდაც იგივე გუნცაძეს, ეჭვი არ მეპარება, რომ მათი იქ ყოფნა განპირობებული იყო გაუგებრობით. რისი თქმაც ბუნებრივია, არ შეიძლება ეროსი კიწმარიშვილზე. ჩემთვის უფრო ის არის გაუგებარი, რა იყო მათი იქ მისვლის მიზეზი, თორემ წამოსვლა აბსოლუტურად გასაგებია. მათ ოქრუაშვილთან ურეთიერთობა ისედაც არ უწევდათ, მაგრამ ძალიან ძნელი წარმოსადგენია გუნცაძის და ძმები გაჩეჩილაძეების ურთიერთობის წარმოდგენა ეროსი კიწმარიშვილთან, როგორც პოლიტიკური, ისე ადამიანური თვალსაზრისით.

*— როგორ ფიქრობთ, 26 მაისს განვითარებულმა პროცესებმაც ხომ არ დააჩქარა ქართული პარტიიდან მათი წამოსვლა?*

— 26 მაისის პროცესი ალბათ მათთვის, ვინც ვერ ხვდებოდა, გახდა იმის დადასტურება, რასაც ძალიან ბევრი ფიქრობდა და ზოგიერთი ჩვენგანი ამბობდა, რომ ოქრუაშვილი თამაშობს სააკაშვილის თამაშს. ისეთ გაუგებრობაში მოხვედრილი ხალხისთვის, როგორებიც არიან ძმები გაჩეჩილაძეები და კოკა გუნცაძე, როგორც ჩანს, ეს აღმოჩნდა სიურპრიზი. მათ ეტყობათ ამაზე არ უფიქრიათ. ამ პროცესებმა არა მარტო დაადასტურა ოქრუაშვილის შესახებ ეს ინფორმაცია, არამედ საკმაოდ დაამძიმა ოქრუაშვილზე საზოგადოებრივი აზრი და მის გვერდით ყოფნა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ეროსი კიწმარიშვილს არ შერცხვეს, რადგან მას საერთოდ არაფრის არ რცხვენია. ამან რა თქმა უნდა, დააჩქარა გაჩეჩილაძეების და გუნცაძის გადაწყვეტილება. შეიძლება ეს ეჭვის დონეზეც ჰქონდათ კიდეც, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ოქრუაშვილის მიმართ გარკვეული მოლოდინი არსებობდა, ამ თემას ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას.

*— რა იცვლებოდა იმით, თუ ოქრუაშვილი ჩამოვიდოდა და რატომ დაასხა მისმა განცხადებებმა წყალი სააკაშვილის წისქვილზე?*

— დავიწყოთ იმით, რომ ოქრუაშვილი არ ჩამოვიდოდა და მას აზრადაც არ ჰქონია აქ ჩამოსვლა. შეიძლება ნამდვილად ეგონა მაკა ასათიანს, რომ ოქრუაშვილი მოდიოდა, არ არის გამორიცხული, რომ თვით მაკა ასათიანის ქმარსაც, კოტე გოგელიას რეალურად ეგონა, რომ მოდიოდა ოქრუაშვილი. ამ ადამიანებს, მაკა ასათიანს, გოგელიას და იგივე გაჩეჩილაძეებს რამდენი ფულიც არ უნდა ჰქონდეთ ალბათ ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენიათ, რა შეუძლია პოლიტიკაში გარკვეული პერიოდით ნამყოფ ფიგურებს და რამდენად არ არსებობს მათთვის ზღვარი არაფრის.

*— ფიქრობთ, რომ გაჩეჩილაძეები არ არიან პოლიტიკისთვის შექმნილები?*

— რისთვის არიან შექმნილები, ალბათ თვითონ უნდა გაარკვიონ, მაგრამ პოლიტიკისთვის რომ არ არიან შექმნილები და რომ არცერთხელ მათ პოლიტიკაში ყოფნას არც პოლიტიკისთვის და არც მათთვის წარმატება არ მოუტანია, განსხვავებით ბიზნესში მათი მოღვაწეობისგან, ეს ცხადია. რაც შეეხება ოქრუაშვილს, ახლა პოლიტიკოსაც ოქრუაშვილსაც არ ვთვლი და პოლიტიკოსობა არ ნიშნავს იმას, რომ ცოტახნით მინისტრი იყო ან უმრავლესობის წარმომადგენელი. თუმცა, ოქრუაშვილი ამ თამაშებში ბევრად ადრე ჩაერთო, ვიდრე ის მინისტრი გახდებოდა. მან ჯერ იმ ქვეყანას შეუსრულა ყველაფერი ხუთიანზე და ძალიან ბევრი ფულიც იშოვა ამით, ვისაც დღეს პროტესტს უცხადებს, შეერთებულ შტატებზეა საუბარი. შემდეგ რუსეთის და ფეკალური მასების ურთიერთობაზე გააკეთა განცხადება და დღეს რუსეთთან შედარებით ლოიალური დამოკიდებულება აქვს. პოლიტიკოსის ის მონაცემები, რომელსაც გაიძვერობა ჰქვია, მას უკვე ჰქონდა.

*— რამდენად დაიშლება ქართული პარტია?*

— კიდევ გავიმეორებ, ქართული პარტია როგორც ასეთი, ბუნებაში არ არსებობს, არსებობენ საკმაოდ დიდი რაოდენობის ადამიანები, რომლებიც ზოგი გაჩეჩილაძის გამო, ზოგი გუნცაძის გამო, ზოგი უბრალოდ იმ მოლოდინის გამო, რომ ოქრუაშვილი მოერეოდა სააკაშვილს, ამ პარტიაში იყო და რაღაცა ნაწილმა შეიძლება გააგრძელოს ინერციით ყოფნა, მაგრამ ქართული პარტია როგორც ასეთი პოლიტიკური ნომინალი, იარსებებს მანამ, სანამ ეს დასჭირდება სააკაშვილს. ეროსი კიწმარისვილს ეს არც დაუმალავს, ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში თქვა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის თემა არ დახურულა და რომ ეს თემა ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ღია. რამდენჯერაც დასჭირდება ხელისუფლებას, იმდენჯერ დაანონსებს ოქრუაშვილი ან მრისხანების დღეს ან კიდევ ამდაგვარ დღეებს და მერე ისევ მიზეზს მოიდებს და იტყვის, უარს ჩამოსვლაზე. მე არც ერთი წამით არ ვუშვებ იმას, რომ ოქრუაშვილი აქ ჩამოსვლას აპირებდა და უბრალოდ რაღაცამ შეუშალა ხელი, მით უფრო პარტიის გადაწყვეტილებამ. ქართული პარტიაც და ეს ლიდერებიც აგებულები არიან ირაკლი ოქრუაშვილზე და მის ლიდერებზე.

*— რაც შეეხება მის ბოლოდროინდელ განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება ჩეჩენ ბოევიკებს მფარველობდა... ეს, როგორ იქნა, თქვენს მიერ გაგებული?*

— ეს ძალიან ცუდად იქნა ჩემ მიერ გაგებული. ასეთი განცხადება ვინც არ უნდა გააკეთოს, გინდათ რუსეთის მიმართულებით ან სხვა ქვეყნის, საერთოდ როცა აკეთებ ისეთ განცხადებას, რომელმაც შეიძლება არა იმდენად შენს ხელისუფლებას, არამედ შენს სახელმწიფოს მოუტანოს ზიანი. ამის გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ მეორე საკითხია, როცა ასე ერთბაშად აყიყინდა ეს რვიანი თუ თვრამეტიანი და უცებ დაიწყეს ოქრუაშვილზე მოღალატის იარლიყის მიკერება, ძალიან საინტერესოა, რამდენი მათგანი იტყოდა უარს ასეთი განცხადების გაკეთებაზე, იმ გარიგებების სანაცვლოდ, რაც შეიძლება ჰქონდეს სააკაშვილს ოქრუაშვილთან და საერთოდ რამდენი მათგანია ბევრად უკეთესი ოქრუაშვილზე? მე მგონი დიდი სხვაობა მათ სორის არ არის თუ ზღვრებზეა საუბარი. ზღვარი არც რესპუბლიკურ პარტიას, არც ალასანიას და არც იქ მოკალათებულ ძალიან ბევრ ორგანიზაციას არა აქვს. დღეს ოქრუაშვილს უნდა გაეკეთებინა ეს განცხადება და მან გააკეთა. თუ რესპუბლიკელებს შევახსენებთ საკუთარ განცხადებებს აფხაზეთთან დაკავშირებით, მე მგონი, უკეთეს მდგომარეობაში არც ისინი უნდა აღმოჩნდენ.

*— რაც შეეხება მეორე თემას. 26 მაისის მოვლენები ხელისუფლებამ შეაფასა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობათ, რომ ამ ყველაფერთან დაკავშირებულია რუსული ძალები, თემურ ხაჩიშვილი და ასე შემდეგ...*

— გამომდინარე იქიდან, რომ საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, როგორ არაფრისგან თავიდან ბოლომდე ცილისწამებაზე შეიძლება აგებდეს ხელისუფლება ყველაფერს, ამ შემთხვევაში ძალიან დიდი საფუძველი მაქვს, რომ ეჭვი შევიტანო ხელისუფლების ამ განცხადებებში. აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მათ არავითარი საერთო არ ჰქონიათ არც ხაჩიშვილთან და არც სახელმწიფო გადატრიალებისთვის მომზადებულ ჯგუფებთან. თავისთავად იმას, რომ რომელიმე აქციას რუსეთის სპეცდანაყოფები შეიძლება შემოყოლოდნენ, ამას მე შეშლილის ბოდვას უფრო ვუწოდებ და თუ სააკაშვილი მართლა ფიქრობს ასე, მაშინ ის გასაკოჭი ყოფილა, თუ უბრალოდ დაბრალება უნდა ამისი, ის ისეთივე უსინდისოა, როგორც აქამდე იყო. რაც შეეხება კონკრეტულად ხაჩიშვილს, მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ნინო ბურჯანაძე და მთელი სახალხო კრება აცხადებენ, რომ მათთვის ეს ინფორმაცია ცნობილი არ არის.

*— ითქვა ისიც, რომ ძალიან ბევრი აგენტი ჰყავდა ხელისუფლებას ჩასმული სახალხო კრებაში...*

— ვერ გეტყვით. უჩავა ვინც არის და ის ადამიანები ვინც არიან, ვინც ახლა ე.წ. „აღიარებით" გამოჰყავთ ტელევიზიით, იმ ადამიანებს ყველა შემთხვევაში ცუდი სახელი აქვთ. ისინი აგენტები არიან თუ შიშის გამო აკეთებენ ამას, ფაქტია, რომ ასეთი ადამიანის ნდობა არც ერთ ფეხის ნაბიჯზე არ შეიძლება.

*— როგორ ფიქრობთ, რამდენად მოხდება ამ ლიდერების პოლიტიკური დისკრედიტაცია?*

— მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილი ყველანაირად შეეცდება პოლიტიკური დისკრედიტაცია სწორედ ოპოზიციის ხელით მოახდინოს და ჯერჯერობით ის ამას, სამწუხაროდ, წარმატებით ახორციელებს. როცა მიდის საუბარი იმაზე, აქციაზე რომ ბევრი ხალხი ყოფილიყო, ვერ დაარბევდა აქციას სააკაშვილიო, ეს არასწორად დასმა არის საკითხისა. ამ პირობებით, როცა ბურჯანაძე მარტო იყო პოლიტიკური ფიგურებიდან და მკვეთრ პოლიტიკურ ლიდერებზეა საუბარი და მას გვერდით მისი პოლიტიკური პარტნიორები არ ედგნენ, აი, ამ პირობებში იქ ბევრი ხალხიც რომ ყოფილიყო, ეს ვერ შეაკავებდა სააკაშვილს დარბევისგან და შესაძლოა მსხვერპლი მეტიც ყოფილიყო. მაგრამ ტრიბუნაზე რომ ყოფილიყო ეს ე.წ. რვიანი, რომ ყოფილიყვნენ სხვა ცნობადი პოლიტიკოსები, ასეთი ადამიანების სიმრავლე აუცილებლად გააჩენდა სააკაშვილში ეჭვს, მოახერხებს თუ არა ის პოლიტიკურ დისკრედიტაციას ოპოზიციის ხელით. მას ეცოდინებოდა, რომ ვერც ერთი ოპოზიციონერი დიდი სურვილის მიუხედავად ხელს ვერ შეაწმენდს კონკრეტულად მისთვის ყველაზე არასასურველს. ასეთ შემთხვევაში ბურჯანაძეს. სწორედ პოლიტიკოსთა დეფიციტმა გააბედინა ჯერ ამერიკის ელჩს ასეთი განცხადების გაკეთება და შემდგომ უკვე სააკაშვილს ამ ნაბიჯის გადადგმა.

*— რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში, რამდენად ჩაკლა ის მუხტი საზოგადოებაში, რაც იყო?*

— საბოლოოდ ჩაკვლაზე ალბათ ხელისუფლება არც ფიქრობს, სწორედ ამიტომ ჰყავს შემონახული სათადარიგო შემადგენლობაში ოქრუაშვილი და ჰყავს რვიანი ბოლოს და ბოლოს. ამ რვიანიდან რამდენიმე ძალაზე შეიძლება პირდაპირ ითქვას, განსაკუთრებით ეს ალასანიას ეხება, სავარაუდო გარიგება შესაძლოა შედგეს სააკაშვილს, ალასანიას ოქრუაშვილს და რამდენიმე პოლიტიკურ ძალას შორის. გარიგება შეეხება მომავალ საპარლამენტო არჩევნებს, სააკაშვილთან გარიგება კი ერთადერთ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ მას ექნება გარანტიები პრემიერმინისტრობის.

*— იცით, რომ ბადრი ბიწაძეზეა საქმე აღძრული, ეს უბრალოდ პიარისთვის სჭირდება ხელისუფლებას თუ დააპატიმრებს მას?*

— მე ვფიქრობ, რომ ბადრი ბიწაზეს ალბათ დააპატიმრებს ხელისუფლება, მაგრამ არ დააპატიმრებს ნინო ბურჯანაძის შვილს, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ბურჯანაძის მიმართ ყველა არგუმენტი მკვდარი იქნება, როცა დედას შვილს დაუჭერენ, მისი ნებისმიერი მოქმედება და მისი ნებისმიერი ნაბიჯი უკვე ველარ დაექვემდებარება ისეთ კრიტიკას, როგორსაც ახლა ცდილობენ, რომ აწარმოონ და რაც შეეხება თვითონ ნინო ბურჯანაძეს. ნინო ბურჯანაძესაც არ დაიჭერენ, იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც თავის დროზე არ დამიჭირეს მე. რადგან ამ შემთხვევაში ნინო ბურჯანაძე როგორც ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე, ძალიან ხმაურიანი პატიმარი იქნება, თუნდაც სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით დაპატიმრებული და ეს არაფერში არ სჭირდება ხელისუფლებას, თუ მას ექნება იმედი, რომ ნინო ბურჯანაძეს მოაქცევს აბსოლუტურ იზოლაციაში და სამწუხაროდ, ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ.

## სასამართლოს მიმართ მაღალ ნდობას სასამართლოში მისული მოქალაქეები აფიქსირებენ



2 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით საქართველოს 5 რაიონულ და 3 საქალაქო სასამართლოში მომხმარებელთა კვლევა ჩატარდა. კვლევის შედეგების მიხედვით, სასამართლოში მისული მოქალაქეების დიდი ნაწილი სისტემის მიმართ მაღალ ნდობას აფიქსირებს. სულ გამოიკითხა 3787 რესპონდენტი. კითხვები ძირითადად, სასამართლოში არსებულ გარემოს, თანამშრომელთა დამოკიდებულებას მოქალაქეებისადმი, საქმის განხილვის ვადებს და სასამართლოს მიმართ ნდობის ხარისხს შეეხებოდა. კვლევის მიმდინარეობას საერთაშორისო ორგანიზაციების NORLG, ABA, UNDP-ის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ.

გამოკითხული მოქალაქეების 86 პროცენტი მიიჩნევს, რომ სასამართლოში მას დროულად გაუწიეს მომსახურება. 90,7 პროცენტი კი აცხადებს, რომ სასამართლოდან მას დროულად მიაწოდეს ის ინფორმაცია, რომელსაც ითხოვდა. სასამართლოს მოხელეთა თავაზიანობას, როგორც ძალიან კარგი, აფასებს გამოკითხულთა 60,2 პროცენტი, კარგი- 33,7. მოქალაქეების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი სასამართლოს მოხელეთა თავაზიანობას აფასებს, როგორც საშუალო (5,3), ცუდი (0,5) და ძალიან ცუდი (0,2). გამოკითხული მოქალაქეების 82,5 პროცენტი მიიჩნევს, რომ მისი საქმე სასამართლოში დროულად გადაწყდა.

რაც შეეხება სასამართლოს მიმართ ნდობას, გამოკითხული სასამართლო მომხმარებლების 75 პროცენტი აცხადებს, რომ ენდობა სასამართლოს, ხოლო ნაწილობრივ ნდობას სასამართლოს მიმართ 16 პროცენტი აფიქსირებს. შესაბამისად, შემცირებულია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც არ ენდობიან სასამართლოს. გამოკითხული 3787 რესპოდენტიდან მხოლოდ 15,6 პროცენტი ამბობს, რომ არ ენდობა სასამართლოს, 1,7 პროცენტი — უფრო არ ენდობა, ხოლო ამ კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა გამოკითხულთა 1,6 პროცენტმა.

ზუსტად ერთი წლის წინ, 2010 წლის წლის მაისში, ანალოგიური ტიპის გამოკითხვა USAID-ისა და უზენაესი სასამართლოს მიერ ჩატარდა. მაშინ გამოკითხულთა 53 პროცენტი აცხადებდა, რომ ისინი ენდობოდნენ სასამართლოს. 2010 წლის ნოემბრისთვის, იმავე ორგანიზაციის დაკვეთით, კომპანია IPM-მა ჩაატარა სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვა, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უკვე გამოკითხულთა 60 პროცენტი ენდობოდა. კვლევების ანალიზის მიხედვით, სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობა სტაბილურად იზრდება, რაც დადასტურდა კიდეც ბოლო გამოკითხვით. 2011 წლის მაისში გამოკითხული მომხმარებლების 75 პროცენტი აცხადებს, რომ ისინი ენდობიან სასამართლოს.

სასამართლო ხელისუფლება ამ ფაქტს, მოსამართლეთა და მოხელეთა მუდმივი გადამზადებით, კვალიფიკაციის ამაღლებით, მოსამართლეთა ობიექტურობით, და ასევე, სასამართლოში მოსული მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნით და შესაბამისად, მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებით ხსნის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## ილია II: სასიკვდილოდ გამეტება სულიერი დაცემის ნიშანია



სამების საპატრიარქო ტაძარში დღეს საკვირაო წირვის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პარტრიაქმა, მცხეთა- თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ადამიანთა შორის ურთიერთობებზე იქადაგა.

როგორც პატრიარქმა ბრძანა, ადამიანებს ერთმანეთის მიმართ დიდი მორიდება უნდა ჰქონდეთ და ახსოვდეთ, რომ ყოველი ადამიანი არის რჩეული ღვთისა. ხშირია ერთმანეთის სასიკვდილოდ გამეტების შემთხვევები, რაც სულიერი დაცემის ნიშანია.

— უნდა ვთხოვოთ უფალს, რომ მოგვცეს გონება ხსნილი. მინდა ვთქვა, რომ მრავალ ადამიანს შორის არის ისეთი, რომელიც თავდადებული იყო და არის ღვთისა და ადამიანის მიმართ. ასეთი ადამიანები არიან ჩვენს შორის. მე მინდა დღეს წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დავაჯილდოვო მამა იოკიმე ასათიანი, რომლის ცხოვრებაც დიდი განსაცდელი იყო, — ბრძანა ილია მეორემ.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ მამა იოკინე ასათიანს ცხოვრებაში ბევრი განსაცდელი ჰქონდა, ის დაპატიმრებულიც კი იყო. უწმინდესმა ის წმინდა გიორგის ოქროს ორდენით ქვეყნისა და სარწმუნოების წინაშე გამოჩენილი თავდადებისთვის დააჯილდოვა.

მამა იოკიმე ასათიანი მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობის ერთ ერთი ხელმძღვანელია.

წირვის შემდეგ ილია მეორემ რამდენიმე ქართული გვარი — ხაჩიძეები, ცხაკაიები, ხარბედიები, ჯაველიძეები და კერვალიშვილები, ასევე კავშირი „ინვალიდი ბავშვები“ დალოცა.

**მედიანიუსი**

## სერგეი ლავროვი: დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობას არავინ აღიარებს

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობის აღიარების იდეა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილი არ არის, --იუწყება საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსი“.

მინისტრის თქმით, დნესტრისპირეთის კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა „უკიდურესი პოზიციებიდან“ უკან უნდა დაიხიონ. რაც შეეხება მისი დამოუკიდებლობის აღიარებას, ლავროვის განცხადებით, ამაზე ლაპარაკიც კი არ არის.

— ცხადია, რომ უკიდურესი პოზიციიდან უკანდახევაა საჭირო. უხეშად რომ ვთქვათ, ეს ისეთივე საკითხია, როგორც ისრაელი და პალესტინა. ერთი რამ სრულიად გასაგებია: დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობის იდეას რომელიმე საერთაშორისო სტრუქტურაში მხარდაჭერა არ აქვს. არავინ უჭერს მხარს იმ იდეას, რომ მოლდოვა უნიტარული სახელმწიფო გახდეს, — აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

მისი მოსაზრებით, დნესტრისპირეთისათვის განსაკუთრებული სტატუსის მოძებნაა საჭირო.

— იმდენად, რამდენადაც ამ საკითხზე ინტელექტუალური ზეგავლენის მოხდენა შეგვიძლია, მასზე 21 ივნისისათვის მოსკოვში გასამართ შეხვედრაზე ვიმსჯელებთ, — აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

**მედიანიუსი**

# სომხები ეკლესიების გადაცემას ითხოვენ

## რისთვის ჩამოდის საქართველოში გარეგინ II

თეა მარხვაი ე

**რამდენიმე დღეში საქართველოს სომეხთა კათოლიკოსი ეწვევა. ამ ვიზიტს სომხური მხარე უკვე დიდი ხანია გეგმავს. სომეხთა სულიერი მამის საქართველოში ჩამოსვლა რამდენჯერმე გადაიდო. ვიზიტის გადადების თხოვნით ეჩმიაძინს საქართველოს საპატრიარქომ მიმართა.**

**ამას სომხეთში, რა თქმა უნდა, კუდები მოაბეს და ამტკიცებენ, რომ თბილისს სომხეთის პატრიარქის ეშინია. გარეგინ მეორე სომხური ეკლესიისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებასა და რამდენიმე ეკლესიის გადაცემას ითხოვს.**

ამ ვიზიტთან დაკავშირებით სომხური მხარე აშკარა აჟიტაციას განიცდის. ექსპერტები და პოლიტიკოსები სხვადასხვა განმარტებებს აკეთებენ.

სომხურ ანალიტიკურ ცენტრის „მიტკ“ ექსპერტის ვაგე სარგსიანის განცხადებით, „სომხეთის კათოლიკოსის ქართველ სომხებთან ჯავახკში დაგეგმილი შეხვედრა პრობლემის გადაჭრის საშუალებად და არა მიზნად უნდა იქნეს განხილული.

— ამას განსაკუთრებით აღვნიშნავ, რამდენადაც შეიმჩნევა ტენდენცია, კათოლიკოსის ვიზიტი რაღაც განსაკუთრებულ მიზნად განიხილებოდეს. ეს მოვლენა იქიდან გამომდინარეობს, რომ კათოლიკოსის ვიზიტი ასწლიანი შესვენების შემდეგ ხორციელდება. რეალურად კი ეს არქიერეული ვიზიტია, რომელიც მთლიანად პრობლემის გადაჭრისკენ უნდა იყოს მიმართული, — განაცხადა სარგსიანმა.

ვაგე სარგსიანმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს და ჯავახკის სომხების მოლოდინები იმ მოთხოვნებიდან გამომდინარეობს, რომელთა დაყენება მათ პერიოდულად დღემდე უწევთ.

— ეს მოთხოვნები ყველასთვის კარგადაა ცნობილი. კათოლიკოსის ვიზიტის დღის წესრიგის მიხედვით, უკვე შეგვიძლია, ერთი სამწუხარო რამ დავასკვნათ: სომხებისთვის ერთი სადავო ეკლესიის — ახალციხეში არსებული წმინდა ნშანას ტაძრის პრობლემა, რომელიც ჯავახკების სიმბოლოა, გადაწყვეტილი არ იქნება. გვრჩება მოლოდინი, რომ სხვა პრობლემებში მაინც გარკვეული ძვრები იქნება. ადგილობრივი სომხები არსებული პრობლემებიდან ერთი-ორის გადაჭრას მაინც ელოდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ თუ კათოლიკოსი სომხეთში მხოლოდ ამ პრობლემების მოგვარების იმედით დაბრუნდება, ეს ვიზიტი გარკვეულწილად გაიგივდება თანამდებობის პირთა მიერ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განხორციელებულ იმ ვიზიტებთან, რომლებიც ინერტული იყო და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. გარეგინ მეორეს ჯავახკში სომხეთის მმართველი პარტიის დეპუტატი კარენ ავაგიანი იმედოვნებს, რომ სრულიად სომხეთის კათოლიკოსის გარეგინ მეორეს საქართველოში ვიზიტი სომხეთს მისი კულტურული ძეგლების პრობლემის გადაწყვეტაში დაეხმარება, — ამბობს „მიტკის“ ექსპერტი.

საქართველოში სომეხთა კათოლიკოსის ვიზიტზე დიდ იმედებს ამყარებს დეპუტატი კარენ ავაგიანი. მისი თქმით, ეს ვიზიტი სომხეთს საქართველოში არსებული სომხურ ძეგლებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმარება.

როგორც დეპუტატმა ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კათოლიკოსის ვიზიტის დროს ეს საკითხი აუცილებლად დადგება.

— ქართული მართლმადიდებლური ეპარქიის მიერ სომხური ეკლესიების მიტაცების საკითხი საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის უფლების დარღვევაა და არაერთხელ დაისვა. მოგიწოდებთ, დაველოდოთ ვიზიტის დასრულებას და ვნახოთ, როგორი შეთანხმება იქნება მიღწეული, — განაცხადა დეპუტატმა.

განცხადება გააკეთა ცნობილმა სომეხმა მოქანდაკემ ლევონ თოკმაჯიანმა. მან „საქართველოში სომხური კულტურული მემკვიდრეობის შებღალვის“ კომენტირებისას საინტერესო რამ განაცხადა.

— საქართველო გაცილებით საშიშია, ვიდრე თურქეთი, რამდენადაც თურქეთი ღიად მოქმედებს, საქართველო კი — მალულად, — მიიჩნევს თოკმაჯიანი.

სომეხთა კათალიკოსის ვიზიტს საქართველოში დიდი ინტერესით ელოდება არმენოლოგი ბონდო არველაძე. მას ძალიან აინტერესებს, რა პრეტენზიებს წაუყენებს ქართულ მხარეს სომხური ეკლესიის წინამძღოლი. აინტერესებს ისიც მოიხდის თუ არა ბოდიშს გარეგენ მეორე იმ ვანდალიზმის გამო, რაც აფხაზეთის ომის დროს სომხური ბატალიონის წევრებმა ჩაიდინეს.

ბონდო არველაძემ ამასთან დაკავშირებით უკვე ორჯერ მიმართა სომხეთის სასულიერო და საერო ხელისუფლებას. მათგან არანაირი პასუხი არ მოსულა.

ქართველმა არმენოლოგმა იცის, რომ გარეგინ მეორე რამდენიმე ეკლესიის გადაცემას მოითხოვს. ის იმედოვნებს, რომ სომხური მხარე სათანადო დოკუმენტაციას წარმოადგენს, რომლითაც დამტკიცდება ამ ეკლესიების სომხური წარმომავლობა. ის მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ქართულმა მხარემ სომხებს ქართული ტაძრების გადმოცემა მოსთხოვოს.

რას უნდა ველოდოთ გარეგინ მეორის ვიზიტისგან, რატომ აქვს მას ბოდიში მოსახდელი, როგორ უნდა გადაწყდეს სადავო ეკლესიების პრობლემა — ამ თემებზე ბონდო არველაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.



**ბონდო არველაძე:**

— სრულიად სომეხთა კათოლიკოსი გარეგინ მეორე საქართველოში ჩამოდის. ოფიციალური ინფორმაციით, ეს ვიზიტი 10 ივნისს დაიწყება და 5 დღე გაგრძელდება. რამდენადაც მე ვიცი, ის 2 დღე დარჩება თბილისში. ვიზიტის დანარჩენ დღეებს ჯავახეთში გაატარებს, სადაც სომხურ დიასპორას შეხვდება. ამ ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე ის იმყოფებოდა სამხრეთ ამერიკაში. ბრაზილიასა და გვატემალაში სომხები მრავლად ცხოვრობენ. მათთან შეხვედრისას გარეგინ II-მ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. ეს განცხადება საქართველოს უკავშირდება.

***— რა განცხადება გააკეთა?***

— სამხრეთ ამერიკაში გამართულ შეხვედრებზე განაცხადა, რომ ამ ვიზიტის დასრულებიდან ძალიან მალე ჩადის საქართველოში, სადაც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სომხების წინაშე არსებული პრობლემები უნდა შეისწავლოს.

***— რა პრობლემებზე საუბრობდა სომეხთა კათოლიკოსი?***

— ამ პრობლემებზე ის საქართველოში ვიზიტის დროს ისაუბრებს. ეს ვიზიტი სულ რამდენიმე დღეში დაიწყება. ჩემი აზრით, ის პირველ რიგში საქართველოს საპატრიარქოს წინაშე დააყენებს ეკლესიების გადაცემის საკითხს.

***— რამდენადაც ცნობილია, საუბარია ექვსი ეკლესიის გადაცემაზე.***

— ექვს ეკლესიაზეა საუბარი. თავიდან გაცილებით მეტზე ჰქონდათ პრეტენზია. ახლა დავიდნენ ექვსზე. ეს საკითხი აუცილებლად დადგება დღის წესრიგში, რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეს ეკლესიები დაუყოვნებლივ უნდა გადავცეთ სომხურ მხარეს. გადაცემამდე უნდა დადგინდეს — არის თუ არა ეს ეკლესიები სინამდვილეში სომხური.

***— გინდათ თქვათ, რომ ეს ეკლესიები სომხური არ არის?***

— მე არაფერს არ ვამტკიცებ. მე მიმაჩნია, რომ ეს საკითხი სერიოზულ შესწავლას საჭიროებს. ამ ეკლესიების სომხურობა საგანგებო კომისიამ უნდა დაადგინოს, რომლის შემადგენლობაშიც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები იქნებიან.ამ ვიზიტის ფარგლებში დღის წესრიგში აუცილებლად დადგება საქართველოში სომხური ეკლესიის იურიდიული სტატუსის მინიჭება.

***— ამას სომხური მხარე ხომ უკვე დიდი ხანია, რაც ითხოვს.***

— გარეგინ II ამ საკითხს კიდევ ერთხელ დააყენებს ჩვენი საპატრიარქოს წინაშე.

***— როგორ მოხდება იურიდიული სტატუსის განსაზღვრა? როგორი სტატუსი ჰქონდა ადრე სომხურ ეკლესიას საქართველოში?***

— ჩემთვის წინასწარ ძნელი სათქმელია, როგორ განისაზღვრება საქართველოში სომხური ეკლესიის იურიდიული სტატუსი. მე შემიძლია გითხრათ, რა ხდებოდა ადრე.ერეკლე მეფის დროს, საქართველოს სომხურ ეპარქიაში ერეკლეს ნებართვის გარეშე ეპისკოპოსი ვერ დაინიშნებოდა. ერთხელ ასეთი შემთხვევაც იყო: ეჩმიაძინს უნდოდა ერთ-ერთი ეპისკოპოსის დანიშვნა. ერეკლემ უარი თქვა. მერე თავიდან წამოაყენა ეჩმიაძინმა კანდიდატურა. დიდი მიწერ-მოწერა იყო. ისტორიულად საქართველოში სომეხი ეპისკოპოსები ქართველი მეფის ნებართვის გარეშე არ ინიშნებოდნენ.

***— თქვენი აზრით, რატომ ითხოვს სომხური მხარე ასე დაჟინებით იურიდიულ სტატუსს. ჩვენთან სომხური ეკლესიის მრევლი ხომ არანაირად არ იზღუდება.***

— მე არ ვიცი, რა ჩანაფიქრი აქვს სომხურ მხარეს. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ქართველები ყველა აღმსარებლობას პატივს ვცემთ. ამ მხრივ გამონაკლისი არც სომხები არიან. მათ არავინ არ ზღუდავს. ჯავახეთში შენდება ახალი სომხური ეკლესიები. ჯავახეთში სომხური რელიგიური დღესასწაულები თავისუფლად ტარდება, რომლებსაც სომხეთიდან ჩამოსული სასულიერო და საერო პირებიც ესწრებიან ხოლმე. სომეხ მორწმუნეებს პრობლემები არც თბილისში ექმნებათ. ვნახოთ, როგორი მოთხოვნა ექნება სომხური ეკლესიის წინამძღოლს.

***— გარეგინ II საქართველოში ადრეც უნდა ჩამოსულიყო. მისი ვიზიტი რამდენჯერმე გადაიდო. ამ ვიზიტების წინ თქვენ მისგან ბოდიშის მოხდას ითხოვდით. ახლაც ძალაშია ეს მოთხოვნა?***

— რა თქმა უნდა. საქართველო და სომხეთი კეთილმეზობლური ქვეყნები ვართ. აქედან გამომდინარე სომხურმა მხარემ, წესით, თავისი ინიციატივით უნდა მოიხადოს ბოდიში. იმის გამო, რაც ბაგრამიანის სახელობის ბატალიონმა ჩაიდინა ქართველების წინააღმდეგ, ოფიციალურ ერევანსა და ეჩმიაძინს დიდი ხნის წინ უნდა მოეხადათ ბოდიში. მე მათგან ბოდიშის მოხდა რამდენჯერმე მოვითხოვე. ამასთან დაკავშირებით განცხადებები გავაკეთე როგორც ქართულ, ასევე რუსულ პრესაში. მე საგანგებოდ მივმართე სომეხთა კათოლიკოსსა და პრეზიდენტს. როცა ეს მიმართვა გავაგზავნე, მაშინ სომხეთის პრეზიდენტი ჯერ კიდევ რობერტ ქოჩარიანი იყო. მე ჩემს მიმართვაში აღვნიშნე, მოხარული ვარ, რომ ჩვენს ერებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობებია. მაგრამ რაც ბაგრამიანის ბატალიონმა ჩაიდინა ქართველების წინააღმდეგ, იმას გამართლება არა აქვს. ვიღაცამ შეიძლება მითხრას, რომ ომის დროს ვიღაცა ვიღაცის მხარეზე იბრძვის. ეს გასაგებია. მაგრამ ომსაც გააჩნია თავისი კანონები. ამ ბატალიონის ქმედება ომის კანონებშიც კი არ ჯდებოდა. მათ არნახული სისასტიკე გამოიჩინეს ქართველების მიმართ. ამ შემთხვევაში მე ქართველ მებრძოლებზე არ ვსაუბრობ. ისინი არაადამიანურად უსწორდებოდნენ მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას — ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. ასეთი სისასტიკე თავად აფხაზებს და კაზაკებსაც კი არ გამოუჩენიათ. ამ ვანდალურ ფაქტებთან დაკავშირებით თემურ მიბჩუანთან ერთად დავწერე წიგნი. ამ წიგნის სახელწოდებაა „ბაგრამიანის სომხური ბატალიონი ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში“. აღნიშნული წიგნი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოვიდა.

***— ეს წიგნი დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით არის დაწერილი?***

— რა თქმა უნდა. ჩვენ ჰაერზე არაფერი დაგვიწერია. წიგნის დასაწერად გამოვიყენეთ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დაცული მასალები. საუბარია თვითმხილველთა ჩვენებებზე. ეს საშინელი სინამდვილეა. რაკი აქ დოკუმენტური მასალებია გამოქვეყნებული, ამ წიგნს აქვს იურიდიული ძალა. ეს ისეთი რამეა, რომელსაც აუცილებლად უნდა მიეცეს შეფასება სომხეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლების მხრიდან. მე ეს შეფასებები არ მომისმენია. არადა მე, ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობას, ძალიან მაინტერესებს, რას ფიქრობს ერევანი ბაგრამიანის ბატალიონის ჩადენილ ქმედებებზე. სომხებს ამის გამო ბოდიში აქვთ მოსახდელი.

***— მოიხდის ამის გამო ოდესმე სომხური მხარე ბოდიშს?***

— მე მიმაჩნია, რომ უნდა მოიხადონ. ის, რაც ქართველების წინააღმდეგ ჩაიდინა ამ ბატალიონმა, იყო ვანდაზილმი. სომხები ხომ ამბობენ, რომ ჩვენი მეგობრები არიან. აი, პირველ რიგში ამიტომ უნდა მოიხადონ ბოდიში.

***— თქვენ თქვით, რომ საგანგებო მიმართვა გააგზავნეთ. ერევნიდან არანაირი პასუხი არ მიგიღიათ?***

— არა. დღემდე დუმილია. ამაზე ხმას არავინ იღებს, ვითომ არც ყოფილა არაფერი. მინდა მჯეროდეს, რომ სომხური მხარე ამას სათანადო შეფასებას მისცემს. ეს ჩვენს მეგობრობაზე ნამდვილად დადებითად იმოქმედებს. გარეგინ მეორის ვიზიტამდე რამდენიმე დღე დარჩა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი იქნება. ვეჭვობ, რომ მან ამ ვიზიტის დროს ეს საკითხი შეაფასოს. სამაგიეროდ დარწმუნებული ვარ, რომ ის მთელ რიგ საკითხებს დააყენებს საქართველოს საპატრიარქოს წინაშე. ის ხელისუფლებასაც წაუყენებს მოთხოვნებს.

***— რა მოთხოვნები შეიძლება დააყენოს ხელისუფლების წინაშე?***

— ჯავახეთში სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას მოითხოვს. არაა გამორიცხული, სხვა მოთხოვნებიც წამოაყენოს.

***— თქვენი აზრით, ამ ვიზიტის შემდეგ შეიცვლება თუ არა რაიმე საქართველოსა და სომხეთს შორის.***

— არა მგონია, რომ რაიმე შეიცვალოს. ყველაფერი ძველებურად დარჩება. შეიძლება ოდნავ გამწვავდეს ურთიერთობა. ეკლესიების თემა ასეთი მარტივი გადასაწყვეტი არ არის. საქართველო არავის კულტურულ ძეგლებს არ იტაცებდა. თუ ისინი დაამტკიცებენ, რომ სადავო ეკლესიები სომხურია, ბუნებრივია, მათი გადაცემა მოხდება. ამისთვის საჭიროა დოკუმენტების წარმოდგენა. ისე, როცა სადავო ეკლესიებზე ვსაუბრობთ, ურიგო არ იქნება, თუ საქართველოც მოითხოვს მთელი რიგი ეკლესიების გადმოცემას. დღეისათვის სომხეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ქართული ეკლესიაა მოქცეული. ეს ეკლესიები ჩვენ უნდა გადმოგვეცეს. მათგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ახტალის ეკლესიაა.

***— ამ ეკლესიების გადმოცემას რა აზრი ექნება? იქ ხომ ქართული მოსახლეობა აღარ ცხოვრობს?***

— სამაგიეროდ, ამ ეკლესიებში ქართველი ბერ-მონაზვნები შეძლებენ მოღვაწეობას. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. სომხები პრეტენზიებს რომ გვიყენებენ, უნდა გაიხსენონ, რომ მათ ქართული ეკლესიები აქვთ გადმოსაცემი.

შედით საიტზე atb.ge


# რას საყვედურობენ ლეიბორისტები ნონა გაფრინდაშვილს

## ბურჯანა ემ პატივსაცემი ადამიანები საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა



შორენა კოწოწაშვილი

**26 მაისი მოვლენების შეფასებისას ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ნესტან კირთაძე აცხადებს, რომ ეს იყო გაუაზრებელი ავანტიურა. ეს იყო ემოციებითა და შურისძიებით სავსე ავანტიურა, რომელიც მიმართული იყო სისასტიკისკენ; რომელიც გათვლილი იყო წინასწარ განზრახულ სისხლზე და რომელიც მიმართული იყო ხელისუფლების არა შეცვლისკენ, არამედ სისხლით მისი დისკრედიტაციისაკენ. ოღონდ აქ საკითხავია, ვის სისხლზე და ვისი ოჯახების უბედურებაზე გაითვალა ეს ყველაფერი.**

**რამდენად იჯდა სახალხო კრების აქციები რუსულ სცენარში, რატომ აირჩია ბურჯანაძემ შანტაჟის გზა კოლეგა ოპოზიციონერების მიმართბ რატომ დადგა ნონა გაფრინდაშვილი ბურჯანაძის გვერდით და რატომ თქვა მან უარი ლეიბორისტული პარტიის სიის პირველ ნომრად ყოფნაზე? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ნესტან კირთაძესთან.**

***— ქალბატონო ნესტან, მოდით, შევაფასოთ მაისის პოლიტიკურად დაძაბული 5 დღე. ეს იყო პროტესტი არსებული ხელისუფლებისადმი თუ მართლაც რუსული ინტერესების გატარება ქართული ოპოზიციური ძალების მხრიდან?***

— ეს არის ძალიან გლობალურად დასმული შეკითხვა. ამ ქუდის ქვეშ უნდა განვიხილოთ აზრობრივად ყველა ის დეტალი, რომელმაც მთლიანად შექმნა პროცესი. მინდა ერთი შემთხვევით ვისარგებლო, პრაქტიკულად ბოლო ორი დღეა, რაც ემოციურ წინასწორობას ვიბრუნებ. ამიტომაც, თუ გვინდა, რომ ოდნავ ობიექტურ რეალობამდე მივიდეთ შეფასების კუთხით, მინდა ეს პროცესი დავინახო არა როგორც ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, არამედ როგორც ამ ქვეყნის მოქალაქემ. თუ ამ ამოსავლით დავიწყებთ საუბარს, ბევრად უფრო ხელფეხგახსნილი ვიქნები შეფასებებში. რაც შეეხება განვლილი ხუთი დღის შეფასებებს, პირველი, რაც ჩვენ ვნახეთ, ეს არის ორი 26 მაისი. ერთი — სისხლიანი 26 მაისი და სულ რამდენიმე საათში, მეორე — პომპეზური 26 მაისი. დამეთანხმეთ, რომ ამ პომპეზურობაში გარდა ფორმალური სცენარისა, აბსოლუტურად შინაარსი აღარ იყო. მე თქვენი გაზეთით ინტერვიუებში დაჟინებით ვითხოვდი ერთსა და იმავეს. ყოველი დღე, ყოველი პროცესი და ყოველი მიმართულება ჩვენ ყველას ერთად განგვეხილა საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავის რაკურსში და ჩვენი დისკუსებიც ყოფილიყო ამ 20 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის შინაარსში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რა გავაკეთეთ, რა გავაფუჭეთ და გაგვეკეთებინა საერთო დასკვნები ჩვენს მკითხველებთან ერთად. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, რაღაც ტიპის ინტუიცია იყო, როდესაც დაჟინებით დამოუკიდებლობის 20 წლისთავში განვიხილავდით ბოლო 6 თვის პროცესებს. 26 მაისი — ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე. ჩვენ, ყველას ერთად, ნებისმიერ პოლიტიკურ ფლანგზე მყოფ პოლიტიკურ ძალებს უნდა გვქონოდა იმის განცდა, რომ ეს ყოფილიყო საერთო ეროვნული განცდა არა დღესასწაულისა, როგორც ერთი დღისა, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და 20 წლის მანძილზე აზრობრივად გავლა ყველა იმ პროცესისა, რაც ქვეყანამ გაიარა. სამწუხაროდ, 26 მაისი იქცა ორ 26 მაისად. 25 მაისის ღამის 12 საათიდან რამდენიმე საათი ჩვენ ვნახეთ დასისხლიანებული, დაჩეხილი, შეურაცხყოფილი, ღირსებააყრილი ქართველები და ჩვენი თანამოქალაქეების მიმართ გამოჩენილი უკიდურესი სისასტიკე და ძალადობა. როდესაც დარბევა დაიწყო, ჟურნალისტებიც მიკავშირდებოდნენ და სხვებიც. იყო ასეთი ინფორმაცია, რომ ხალხს არ შეეხებიან. როგორც ჩანს, ეს უფრო ადრე გავრცელებული ინფორმაცია იყო. მაგრამ, როცა ეს გაუგონარი ჩეხვა დაიწყო, ერთ-ერთი სააგენტოს ჟურნალისტმა დამირეკა და დაჟინებით მეუბნებოდა, არაფერი არ გინდათ რომ მითხრათ?! თქვით რამე. ამ პირველსავე წუთებში მოვახერხე მიმართვა გამეკეთებინა პრეზიდენტისა და ხელისუფლების სახელზე. მოვუწოდე, შეაჩერეთ ეს სისასტიკე. ამ ხელჯოხებში, გაზის და წყლის ჭავლში და ამ მასობრივ ძალადობაში ვერ დაკარგავთ იმ პრობლემებს და ვერ ჩაკლავთ იმას, რის გამოც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები უკვე მერამდენედ გამოდიან ქუჩაში პროტესტისათვის. 26 მაისი თბილისში იყო თბილისის ბართლომეს ღამე. ახლა ხდება ასეთი ვითარება: ამ საკითხს უფლებადამცველები განიხილავენ აბსოლუტურად სწორად, ოღონდ მაინც მათი მიმართულებით; სამართლადამცველები განიხილავენ, როგორც პროცედურულ საკითხს. არაპროპორციული იყო თუ არა ძალის გამოყენება. მაგრამ დღეს ჩვენ გვრჩება შედეგად გაორებული საქართველო. ერთნი, რომელნიც ამართლებენ და ტაშს უკრავენ ამ ძალადობას, ხოლო მეორენი, რომლებიც სასტიკად გმობენ. გაორებული საქართველო, ორი 26 მაისი — ერთი სისხლიანი, მეორე პომპეზური და დღესასწაულის ემოციით სავსე. მაგრამ თანდათან დაიწყება იმის განხილვა და შეფასებები, სინამდვილეში რატომ მივედით ამ 26 მაისამდე; გავიმეორეთ თუ არა ის, რაზეც ადრეც ვსაუბრობდით; ქართველი საზოგადოება ერთსა და იმავე წრეს გადის თუ არა. რატომ მიგვყავს წინასწარ განწირულ დამარცხებაში და წინასწარ მოსალოდნელ ძალადობაში ხბორებივით ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლები და ვაკლვლევინებთ, ვაჩეხინებთ და ვაჩოქებთ თბილისის მთავარ გამზირზე. რა არის ეს — ჩვენი ნაციონალური მაზოხიზმია, ჩვენი წრეგადასული და სადავე მიშვებული ემოციაა, მსხვერპლი და სისხლია, რომელიც აუცილებლად სჭირდება ვიღაცას იმისათვის, რომ გვამებზე გადაიაროს და შემდეგ თავისი პოლიტიკური კარიერა შეიქმნას თუ გააგრძელოს? უამრავი კითხვაა. ჩვენ ბევრი კითხვა დავსვით ჩემს პასუხში და თუ გნებავთ, თანდათან მივყვეთ.

***— რაც მოხდა, იყო დაუგეგმავი და არასწორი ნაბიჯები აქციის ორგანიზატორების მხრიდან თუ ოკუპანტი ქვეყნის ინტერესების გატარების მცდელობა? ანუ პოლიტიკოსების შეცდომებმა განაპირობა სისხლიანი 26 მაისი თუ სხვა ქვეყნის მსახურებამ?***

— არ ვიცი, რამდენად ეთიკურად გამომდის და რამდენად კორექტული ვარ თუნდაც იგივე თქვენ გაზეთთან მიმართებაში, მაგრამ ის, რაც მოხდა და დაიწერა, სწორი იყო. თავიდანვე ვიძახდი: რევოლუცია არ ხდება მხოლოდ პოლიტიკური ლიდერების განცხადებებით. რევოლუცია, ეს არის პროცესი და ამ პროცესს ქმნის ხალხი. თუკი რევოლუცია იქნებოდა სახალხო პროცესი და სხვადასხვა სოციალური ჯგუფები გამოეფინებოდნენ თბილისის ქუჩებში, ამ პროცესს ლეგიტიმაციას თავად ხალხი მისცემდა. ეს იქნებოდა ხალხის ურყევი ნება, რომ ხალხი მისულია იმ ემოციურ და სოციალურ და იმ საზოგადოებრივ დაპირისპირებაში ხელისუფლებასთან, რომ იგი ქმნის პროცესს, რომელსაც ჰქვია შეურიგებლობა და რევოლუცია. ეს იქნებოდა სწორედ ამ პროცესის ლეგიტიმატორი. 26 მაისს თავად ვნახე სააგენტოებზე, მათ შორის უცხოურ სააგენტოებზე, რომ ამ პროცესის ერთ-ერთი ლიდერი აცხადებდა, რომ დღეს საქართველოში რევოლუცია დაიწყო. ეს იყო ავანტიურა. ეს იყო გაუაზრებელი ავანტიურა. ეს იყო ემოციებითა და შურისძიებით სავსე ავანტიურა, რომელიც მიმართული იყო სისასტიკისკენ; ოღონდ აქ საკითხავია, ვის სისხლზე და ვისი ოჯახების უბედურებაზე გაითვალა ეს ყველაფერი. აქ ჩნდება ლოგიკური პასუხი პასუხისმგებლობისა. რამდენად იყო მზად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ასეთი პროცესისთვის.

***— ფაქტია, აქციებამდეც და მერეც ჩანდა, რომ რევოლუციური განწყობა იყო მასობრივად. ბურჯანაძე ვერ ხვდებოდა, რომ ასეთი შედეგი დადგებოდა და სისხლი დაიღვრებოდა?***

— მოდით, ბურჯანაძე რას ხვდება და როგორი იქნება მისი მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა, ამაზე ცოტა გვიან ვილაპარაკოთ. მაგრამ მკითხველს ვუთხრათ, რასაკვირველია, ხალხში იყო ემოციური განწყობები, იყო სოციალური პროტესტი. იყო შეურიგებლობა იმ ვითარების მიმართ, რომელშიც აღმოჩნდა მოსახლეობის უმრავლესობა. მაგრამ რევოლუციური ნამდვილად არ იყო. ფაქტია, რომ ორგანიზებული პროტესტისთვის მოსახლეობა მზად არ იყო. რატომ? — ამას თავისი მიზეზები აქვს, ხელჩაქნეულობა, გამოფიტვა პოლიტიკური სეზონების მიხედვით ერთი და იმავე მარშრუტებზე სიარულის გამო.

***— გამოფიტვაზე მეტად საზოგადოებაში შიში და პოლიტიკური წნეხია დამაბრკოლებელი ანუ სააკაშვილის ხელისუფლების მათრახის სიმწვავე და მასშტაბურობა.***

— რა თქმა უნდა. რასაკვირველია, ესეც არის, მაგრამ ჩვენ ხომ ამის წინააღმდეგაც ვიბრძოდით. ჩვენ ყველგან საერთაშორისო დონის შეხვედრებზეც ვაცხადებდით, რომ ეს იყო კლასიკური ტიპის ავტორიტარიზმი, რომელიც ეფუძნებოდა არა ეფექტურ მართვას, რასაც ჰქვია დემოკრატიული მართვა, არამედ იგი უფრო მკაცრ მართვაზე იყო გადასული. ეს არის ორი ფაქტორი — შიში და ძალადობა. ჩვენ ეს ყველამ ცალ-ცალკე გამოვცადეთ ჩვენს ტყავზე და ზურგზე.

***— ტოტალიტარიზმის ნიშნებს დასავლელი პოლიტიკოსები და ექსპერტები ვერ ამჩნევენ? საკმაოდ მძიმედ აღიქვა საზოგადოებამ ამერიკის ელჩის განცხადება 26 მაისს და ის სააკაშვილისთვის მწვანე შუქად აღიქვეს.***

— აშშ-ის ელჩის განცხადება მინიმუმ ორ შინაარსს მოიცავს. ერთი: როდესაც ჯონ ბასმა გააკეთა ეს განცხადება, იგი იყო ერთის მხრივ, ხელისუფლებიდან მიწოდებული ინფორმაციის შემცველი. და არა ასეთი ღია განცხადებით, არამედ „ვიკილიქსის“ ფარული მიმოწერების დროსაც, ჩვენ წინამორბედი ელჩის მიმოწერებშიც დავინახეთ, რომ მეტწილად იგი იყო ხელისუფლებიდან მიწოდებული ინფორმაციის შემცველი. ეს ერთი ფაქტორი. მეორე — ნებისმიერ ქვეყანაში აშშ-ის ელჩი ზუსტად ასეთ განცხადებას გააკეთებდა.

***— გასაგებია, მაგრამ ყველა ქვეყანაში ხომ არ არის ავტორიტარიზმის ნიშნები?***

— ნებისმიერ ქვეყანაში გააკეთებდა ასეთ განცხადებას, რადგან ამ ქვეყანას თავისი პასუხისმგებლობების შესაბამისი კატეგორიები აქვს. შესაბამისი ჩარჩოები და ლექსიკა აქვთ. მაგრამ აქ ჯონ ბასის პრობლემა კი არ დგას, აქ არის ისევ ჩვენი საზოგადოების პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამოსულა და ვერ დაუჯერებია, რომ ის არის თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქე. ჩვენ ხან მოსკოვიდან ვეძებდით ფეხების დათბილვას და კარგ ცხოვრებას. ახლა ჩვენი აზრი გადის ვაშინგტონისაკენ და მუდმივად გვგონია, რომ მათ უნდა გვიშველონ. მათ უნდა იზრუნონ ჩვენს უსაფრთხოებაზე. ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა. ჩვენ 26 მაისს მოვკალით ჩვენსავე თავში ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი თავისუფლება და ჩვენი სწრაფვა ხვალინდელი დამოუკიდებელი საქართველოსაკენ. კიდევ ვიმეორებ, ჯონ ბასის განცხადება იყო აბსოლუტურად ტრივიალური განცხადება, რომელიც უნდა გაეკეთებინა, რაც ხელისუფლებამ ეფექტურად გამოიყენა. შემდგომი განცხადება იყო შემდეგი, ჩვენ მხარს ვუჭერთ არა რომელიმე კონკრეტულ პერსონას ან პოლიტიკურ ჯგუფს, არამედ ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს. ანუ აქ გამოვლინდა უკვე ამერიკის სახელმწიფოებრივი და სტრატეგიული ინტერესები საქართველოზე და არა მართლა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე ან პერსონაზე. ამას ჩვენ თუ ვსაუბრობთ, აქციის ორგანიზატორი, რომელიც ყოველდღე გვაყვედრიდა თავს მის ურთიერთობებზე, მის გავლენებზე, მის ავტორიტეტზე და მის მცოდნეობაზე პოლიტიკისა, როგორც დარგისა, მისთვის ხომ გარგად იყო ცნობილი, რა მზადდებოდა და რა იქნებოდა ანუ რა სიგნალი იყო ეს და როგორ გამოიყენებდა ამას ხელისუფლება. ბურჯანაძემ ხომ ყველაზე უკეთ იქ მყოფთაგან იცოდა ამ ხელისუფლების კულისები. მან ხომ ყველაზე უკეთ იცოდა მათი უნარები, რა ვითარებაში, ვინ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა და რა ძალით მოხდებოდა ამ გადაწყვეტილებების რეალიზაცია. სულ სხვისკენ იშვერენ ხელს, მაგრამ საკუთარ პასუხისმგებლობაზე, საკუთარ როლზე — ზნეობრივზე, მორალურზე და პოლიტიკურზე საუბარი ყველას უჭირს. სამაგიეროდ, ისევ დაიჩეხნენ სრულიად უდანაშაულო ქართველები. ისევ უმძიმესი ბრალდებებით აივსო სატუსაღოები უდანაშაულო ადამიანებით.

***— ფაქტია, აქცია იყო სახალხო კრების მიერ ორგანიზებული. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ აქციის მიზანი კონსტიტუციური წყობის დამხობა იყო. იკვეთებოდა, რომ ბურჯანაძე დამოუკიდებლად მოქმედებდა და სახალხო კრების ინტერესებს იგნორირებას უკეთებდა? ნონა გაფრინდაშვილი და სხვა სახეები ასეთ ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯებზე იყვნენ წამსვლელი?***

— ჩვენ მუდმივად გვესმოდა იგივე ბურჯანაძის მხრიდან, ეს არის წარმომადგენლობითი სახალხო კრება, მე მხოლოდ შევუერთდი ჩემი პარტიით, ეს რეალურად ასე არ იყო. სამწუხაროდ, ნინო ბურჯანაძემ ჩვენი საზოგადოების კარგი და შეუბღალავი სახელები და გვარები გამოიყენა ფარად, ფონად, რათა მისი პოლიტიკური ამბიციები და ვთქვათ პირდაპირ, შურისძიება განეხორციელებინა. არის ეს დასაშვები თუ არა? — პოლიტიკაში, ეს, რა თქმა უნდა, დასაშვებია. მაგრამ ძალიან დიდი ბოდიში, რასაც ახლა მე ვამბობ და ექსკლუზიურად გეტყვით ერთი ფაქტის შესახებ. მაგრამ ნონა გაფრინდაშვილის საქართველოსთვის, იმ ქვეყნისთვის, რომელსაც ჰყავს ერთი ილია და მეორე ილია, ის მომავლის ორიენტირი ვერ იქნება. ვერც ერთი ნონა გაფრინდაშვილი და ვერც ის პატივსაცემი ადამიანები ერთად და ვერც ვერავინ. იმიტომ, რომ საქართველოს ორიენტირი არ არის პერსონა. საქართველოს ორიენტირი არის ფასეულობები, მომავალი და იგი ამ ტიპის პერსონებთან ვერ იქნებოდა გაიგივებული. ეს იყო უბრალოდ ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც ნინო ბურჯანაძემ შესანიშნავად გამოიყენა თავისი პირადი ამბიციების, შურისძიებისა და თუ გნებავთ, ხელისუფლებაში დაბრუნებისათვის. ტექნიკურად, კიდევ ვიმეორებ, ეს შესაძლებელია, მაგრამ რეალურად რა გამოვიდა აქედან, ჩვენ ყველამ კარგად ვნახეთ. იგივე ქალბატონ ნონას, პირველად გეუბნებით ამას, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, როდესაც ყველა პარტია სიებს ალაგებდა, პირადად მე მივედი ნონა გაფრინდაშვილთან სახლში და ვთხოვე, ეგებ დროა, თქვენი სამოქალაქო პოზიციის გარდა, რის გამოც თქვენ პატივს გცემენ, მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტიასთან ერთად აიღოთ უკვე პოლიტიკური პასუხისმგებლობაც ქვეყანაში ხვალ და ზეგ განვითარებულ მოვლენებზე. ჩვენ არ გვჭირდებით თქვენ, როგორც ავტორიტეტული სახე იმისათვის, რომ დამატებით ხმები მოვიძიოთ და მოდით თქვენ, როგორც კონკრეტული ენერგეტიკის მატარებელმა ადამიანმა ეს ნაბიჯი გადადგით და გთავაზობთ, იყოთ ნომერი პირველი ჩვენს სიაში. ნონა გაფრინდაშვილმა თქვა, რომ ის პოლიტიკაში არ ერევა და არც არასოდეს ჩაერევა. მე არ ვიცი ამის შემდეგ კიდევ რა ჯანდაბა მოხდა ამ ქვეყანაში 2008 წლის გაზაფხულიდან იმაზე მეტი, რაც ხდებოდა. ან თუ მოხდა, ეს ხომ იმ წარსული მიზეზების გაგრძელება იყო და იქნება მომავალში. მაგრამ ქალბატონმა ნონამ უცებ მიიღო ეს გადაწყვეტილება და უფრო შორს წავიდა, რევოლუციურ ვითარებაზე. ამას რატომ ვამბობ: ნინო ბურჯანაძემ იცოდა, რომ ჩვენ ამ პროცესში მონაწილეობას არ მივიღებდით. მე და ბურჯანაძე ერთმანეთის გვერდით ვისხედით რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრაზე, როდესაც თბილისში ჩამოდიოდნენ ძალიან მაღალი რანგის ლიდერები. მე მათ ვეუბნებოდი, რომ დღეს ქვეყანაში არის პოლიტიკური გზაჯვარედინი. ამ გზაჯვარედინზე ქვეყანა რჩება ან წარსულში და იმ რაღაც მართვად ქაოსში, რომელიც დღეს აქვს საქართველოს, ან არადა ის მიდიოდა მომავლისაკენ. ვამბობდი, რომ ჩვენი გზა არ არის რევოლუციური და ძალადობის გზა, სახელმწიფოებრივი გადატრიალებების გზა. ასე რომ, ბურჯანაძემ ზუსტად იცოდა, ჩვენ ამ პროცესს სრულად არ შევუამხანაგდებოდით და არ წავეპადრუშკებოდით. ანუ შემდგომი მოწოდებები, სადა ხართ. სოროებში დამალულო ქართველო ხალხო, იყო ბინძური მოწოდებებიც, გამოდით. პოლიტიკური პარტია და ლიდერი თუ ხარ, შენ შენი პასუხისმგებლობა გაქვს შენი ამომრჩევლის წინაშე. გამოძახებით პოლიტიკოსი ხომ არ შეიძლება იყო?! ეს არ არის პილატეს პოზიცია და ხელის დაბანვის პოზიცია. ეს არ არის უპასუხისმგებლო პოზიცია. ეს არის ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა და მე მახსენდება ჩემი ბოლო განცხადებები ხელისუფლებისადმი, რომ არც ერთ შემთხვევაში ძალა არ გამოეყენებინათ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ და მეორეს მხრივ, სრული პასუხისმგებლობა აქციის ორგანიზატორებს, რომ მათ დაეცვათ თავისუფალი და მშვიდობიანი დემონსტრანტები.



# მიხეილ სააკაშვილი „ცისფერი გალერეის“ გახსნას დაესწრო



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ თბილისში „ცისფერი გალერეის“ განახლებული შენობის გახსნას დაესწრო.

როგორც მან გახსნის ცერემონიაზე აღნიშნა, ბოლო წლებში საქართველოში მრავალი მუზეუმი აშენდა, მათ შორის, სიღნაღში ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

— ჩვენ საქართველოში ბოლო წლებში ავაშენეთ მრავალი მუზეუმი. მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რომ მუზეუმი ააშენო. მთავარია, რომ გქონდეს იქ გამოსაფენი ხელოვნება, საყოფაცხოვრებო კულტურის ნიმუშები, ხელნაწერები, შენი ისტორიული არქეოლოგიური საგანძური. 90 წლებში ყველაფერი იფლანგებოდა და იძარცვებოდა. იყო ჟამი ქვების გაბნევის და არის ჟამი ქვების შეგროვების. ახლა ჩვენ მოვახერხეთ ბევრი მოპარული ნამუშევრის დაბრუნება, — განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ამ მუზეუმის განახლება არის ერთ-ერთი სიმბოლო იმისა, რომ საქართველო აღარასდროს არ უნდა დაბრუნდეს სამოქალქო ომის ორომტრიალში და რაიმე სახის სამოქალაქო დაპირისპირებაში. პრეზიდენტმა იქ მყოფ ინტელიგენციის წარმომადგენლებს თანამშრომლობისაკენ მოუწოდა.

— მე მინდა გთხოვთ, რომ ყველამ ერთად ვიმუშაოთ, რომ ჩვენი კულტურა კიდევ მეტად წარმოვაჩინოთ. ჩვენ მსოფლიო რუკაზე დაბრუნება ხდება არა მხოლოდ იმის გამო, რომ ვილაცის მსხვერპლი ვართ. არამედ იმის გამო, რომ ვართ განსაკუთრებული ქვეყანა, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მსოფლის ცივილიზაციაში და დღეს რასაც ჩვენ ვქმნით, დარჩება შემდგომ ეპოქებს, — აღნიშნა სააკშვილმა.

ეროვნული გალერეის განახლებულ შენობაში ამჟამად წარმოდგენილია გამოფენა „ქართული სახვითი ხელოვნების შედევრები - XX საუკუნის I ნახევარი“. **მედიანიუსი**

# სახალხო კრება: დაბადების დღეს სოსო ჯაჭვლიანი სააკაშვილის დილეგში ხვდება



სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭომ გაავრცელა გუშინგანცხადება, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

— საქართველოს გადარჩენა ისეთ კაცებსა და ვაჟკაცებს შეუძლიათ, როგორიც სოსო ჯაჭვლიანია.

დღეს ცნობილი მსახიობისა და ცნობილი სპორტსმენის სოსო ჯაჭვლიანის დაბადების დღეა. დიდი სვანეთის შვილი — თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ვაჟკაცის სიმბოლოა.

სამარცხვინოა, რომ დაბადების დღეს სოსო ჯაჭვლიანი სააკაშვილის დილეგში ხვდება. იგი 26 მაისს ათასობით დემონსტრანტთან ერთად იდგა რუსთაველზე იმისათვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი აღლუმი მიეღო ქართველ ხალხს და არა მიწაზე მფორთხავ „მთავარსარდალს“ — მიხეილ სააკაშვილს.

დრო და ისტორია მისცემს შეფასებას იმ ფაქტსაც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გუანტანამოს ციხედ გადაქცეულ კინოთეატრ რუსთაველში„, იმ კინოთეატრში, რომელშიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს უმოწყალოდ სცემდნენ ქართველებს, ულვთოდ ექცდეოდნენ ცნობილ მსახიობებს გოგი ქავთარაძეს, გია ბურჯანაძეს, ზაზა პაპუაშვილს, დიმა ჯაიანს, სოსო ჯაჭვლიანს და უამრავ ცნობილ ხელოვანს - განდიდების მანიით შეპყრობილი მშიშარა პრეზიდენტი — ნაყიდი ფილმის საზეიმო ჩვენებას აწყობს ჰოლივუდის მსახიობთა მონაწილეობით.

დრო და ისტორია იტყვის იმას, რომ რაც ბოლო პერიოდში საქართველოში ხდება, არც ქართულია და არც არავის მატებს ღირსებას.

დღეს საქართველოში ყველაფერი ღირსეული და ყველა ღირსეული შეურაცხმყოფელია უღირსისაგან.

საქართველოს გადარჩენა ისეთ კაცებსა და ვაჟკაცებს შეუძლიათ, როგორიც სოსო ჯაჭვლიანია, როგორებიც ქართული ღირსებისათვის ბრძოლის გამო ციხეებში ჩასვეს, უმოწყალოდ სცემეს... ღვთის წყალობით ვაჟკაცები ჯერ კიდევ არიან საქართველოში!

**მედიანიუსი**

მაგთი
MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

# მიშა მახარაძე: „მაგთიკომის“ ეს ნაბიჯი მხოლოდ კოკი მახარაძის კი არა, ზოგადად მხატვრობის დაფასებაა

**დღეს აღარავის აოცებს ტელეფონის არსებობა, უკვე ჩვეულებრივ ამბად აღვიქვავთ ათასობით კილომეტრით დაშორებულ ადამიანებთან საუბარს, ვიდეოზარს, mms-ს, sms-ს, მოკლედ, თითქმის ყოველგვარი სახის კომუნიკაციას... ტექნიკის ახალი მიღწევები უსწრაფესად ძველდება და ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება. დროდადრო მხოლოდ ჩვენთვის ან ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესს თუ გავიხსენებთ. კომუნიკაციების თემაზე წარმოუდგენელია რაიმე მნიშვნელოვანი გაიხსენო, რაშიც კომპანია მაგთიკომის წვლილი არ დევს, აღარაფერს ვიტყვით ტექნიკური ინოვაციების დანერგვაზე, საკმარისია მხოლოდ საქველო პროექტების ჩამოთვლა: სამთავრობო ქსელი, ინტერნეტი ყველა სკოლას...**

**თუმცა თავის არსებობის მანძილზე მაგთიკომმა არანაკლებ მნიშვნელოვანი საქველო საქმე ერთი სლოგანის ქვეშ – „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ – გაერთიანებული პროექტებით გააკეთა. ერთი საგაზეთო მასალა მარტო მაგთის მიერ გამოცემული წიგნების ჩამონათვალს ვერ დაიტევს. ამ გამოცემებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჩვენი ქვეყნისთვის მხატვართა კატალოგების სერიული გამოცემაა.**



სულ ახლახანს მაგთიკომის მონდომებითა და სრული დაფინანსებით საზოგადოებამ კოკი მახარაძის ალბომი მიიღო საჩუქრად. ეს უკვე მეექვსე ალბომია ქართველი მხატვრების სერიიდან „მაგთიკომის“ მიერ გამოშვებული. მანმადე გამოიცა ირაკლი ფარჯიანის, ედმონდ კალანდაძის, თემო ჯაფარიძის, რადიშ თორდიასა და მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრების ალბომები. წიგნის პრეზენტაცია მხატვრის შექმნილი ტილოების ექსპოზიციის თანხლებით მაგთიკლუბში შედგა.

„მე ძალიან კარგად ვიცნობდი ბატონ კოკის, ეს იყო უნიჭიერესი კაცი. მახსოვს სადიპლომო ნამუშევარზე, „სუვოროვი და ბაგრატიონის გადასვლა ალპებზე“ როდესაც მუშაობდა ძალიან დიდი მონდომებით ეკიდებოდა ამ საქმეს. ნახატზე თოვლის მონაკვეთი რომ დაეხატა, სპეციალურად ამისათვის, რამდენჯერმე წავიდა ბაკურიანში. ხოლო ის კოსტიუმები, რაც აცვიათ სუვოროვსა და ბაგრატიონს, ისტორიულ წყაროებში მოიძია, შეაკერინა, ჩააცვა ნატურას და ისე შექმნა ნახატი. დაუდგრომელი და მაძიებელი კაცი იყო. სიმართლეს უნდა გავუსწოროთ თვალი და ვთქვათ, რომ კოკი დღეს არ არის საზოგადოების მიერ იმ რანგში აყვანილი, რასაც იმსახურებს ქართულ მხატვრობაში, – ასე ახასიათებს **საქართველოს სახალხო მხატვარი რადიშ თორდია** კოკი მახარაძეს და დიდ მადლიერებას გამოხატავს კომპანია „მაგთიკომის“ მიმართ კიდევ ერთი ქართველი მხატვრის და ზოგადად ქართული მხატვრობის დაფასებისთვის – ამიტომ მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო კომპანია „მაგთიკომს“ და კოკის კი დღევანდელი დღე იმქვეყნად მივულოცო!“

**თათული ღვინიაშვილი, კომანია „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთერთობის მენეჯერი:** „მოგეხსენებათ, რომ კომპანია “მაგთიკომი“ თანამედროვეობის ქართველი მხატვრების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას ახდენს. ეს ალბომიც წიგნების ამ ციკლის ერთ-ერთი ნაწილია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კომპანია ასეთ საგანძურს უტოვებს მომავალ თაობას, რათა გაეცნონ, შეისწავლონ და აღიზარდონ ეროვნულ ფასეულობებზე. ეს ნამდვილად ქართული საქმის კეთებაა და „მაგთიკომი“ ამაზე არ გაჩერდება, კიდევ მრავალ დღესასწაულს ჰპირდება საზოგადოებას.“

მხატვრის შესახებ ისაუბრეს მისმა ვაჟიშვილმა, წიგნის რედაქტორმა, მეგობრებმა და კოლეგებმა.

**მიშა მახარაძე, კოკი მახარაძის ვაჟი:** „უაღრესად მნიშვნელოვანია ჯერ კატალოგის გამოცემა და შემდეგ ასეთი ღონისძიების მიძღვნა, რათა საზოგადოებისთვის ეს წიგნი წარგვედგინა. „მაგთიკომის“ ეს ნაბიჯი მხოლოდ კოკი მახარაძის კი არა, ზოგადად მხატვრობის დაფასებაა. ძალიან იშვიათად ხდება ჩვენ ქვეყანაშიც და ზოგადად მსოფლიოში, როდესაც მხატვარს, მის ღვაწლს სათანადოდ აფასებენ. გასანაკუთრებით აღნიშვნის ღირსია კომპანია „მაგთიკომი“ და მისი ხელმძღვანელობა, რომელიც შესანიშნავ საქმეს უძღვება და მათი სლოგანიც ეს არის, რომ ქართულ საქმეს აკეთებენ. ასეთი სრულყოფილი სახით ჯერ მამაჩემის ნამუშევრების კატალოგი არ გამოცემულა. კომპანია „მაგთიკომი“ თავად დაგვიკავშირდა, რადგან ეს კომპანია აქტიურად ახდენს ქართველი მხატვრების და მათი შემოქმედების პოპულარიზაციას. თითქმის ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ ალბომზე მუშაობა, საკმაოდ შრომატევადი საქმე გამოდგა და მასში წიგნის შემდგენელებთან ერთად, კოკი მახარაძის ოჯახის წევრებიც აქტიურად ვიყავით ჩართული. რა თქმა უნდა ალბომი სრულად არ მოიცავს მამაჩემი შემოქმედებას, რადგან ამის თავმოყრა ერთ ალბომში შეუძლებელი იქნებოდა იმდენად მასშტაბურია მისი მხატვრობა. კატალოგში დაახლოებით 250 ნამუშევარია შესული. ჩემთვის ამ კატალოგს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ასეთი სრულყოფილი გამოცემა პირველად შედგა და, პირველ რიგში, მამაჩემის დაფასებაა. ის გულღიად და ალალად ემსახურა ამ ქვეყანას და მისი ნიჭიდან გამომდინარე მტრებიც გაიჩინა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებიც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის პანოს რატომღაც ჩამოხსნას უპირებენ, თურმე გერმანელ დიზაინერს არ მოსწონს. ახლა საზოგადოებაში ხელმოწერებს ვაგროვებთ, რომ მამას პანო ისევ უნივერსიტეტში დარჩეს.“

**ნანა შერვაშიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, წიგნის რედაქტორი:** “ძალიან მოხარული ვარ, რომ კომპანია „მაგთიკომის“ ამ წარმატებული პროექტის მონაწილენი გახლავართ. ამ პროექტის ფარგლებში არაერთი შემოქმედებითი კატალოგის გამოცემა შედგა. 60-იან წლებში, როდესაც კოკი მახარაძის შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო, რადიკალური ცვლილებები ხდებოდა ქართულ მხატვრობაში. სამხატვრო აკადემიაში მისული ახალი თაობა, ცდილობდა თავი დაეღწია სოციალისტური ხელოვნების პერიოდუკული სისტემისთვის. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, კოკი მახარაძის საშემსრულებლო ოსტატობა ძალიან მაღალი იყო. მაგალითისთვის გამოდგება მისი ნამუშევრები „ასპინძის ბრძოლა“, “ბაგრატიონისა და სუვოროვის გადასვლა ალპებზე“ – აკადემისტური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებით შესრულებული იყო. მისი ნამუშევრები ნამდვილად უნდა შევუნარჩუნოთ მომავალ თაობას. სამწუხაროდ მე პირადად არ ვიცნობდი კოკი მახარაძეს, მაგრამ მისი ვაჟიშვილის მოგონებიდან მამაზე იმდენი რამ შევიტყე, რომ თითქოს ახლოს ვიცნობდი ამ ძალიან ნიჭიერ და იუმორით სავსე ადამიანს. ეს კატალოგი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თვალი გავადევნოთ, როგორც მისი ხელოვნების განვითარებას, ისე მისი ცხოვრების ეპიზოდებს. აუცილებელია აღინიშნოს კომპანია „მაგთიკომის“ დამსახურება ქართული ხელოვნების პოპულარიზაციაში. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ეს პროექი გაგრძელდება და მინდა მადლობა ვუთხრა „მაგთიკომს“, რომ ნამდვილად ქართულ საქმეს აკეთებენ. მინდა ასევე მადლობა გადავუხადო შემოქმედებით ჯგუფს, რადგან ამ კატალოგზე მუშაობა საინტერესო და ამავე დროს ძალიან დინამიკური იყო. მინდა მივულოცო საზოგადოებას, ოჯახს ამ მშვენიერი კატალოგის გამოცემა. ვფიქრობ, რომ ეს საქმე, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ დაიმსახურებს მოწონებას და სათანადოდ იქნება შეფასებული.“



დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის თბილი და ლამაზი საღამოები, რომლებიც ამ გამოცემების პრეზენტაციებს ახლავს. ცოცხალი მუსიკით, ქალაქური სიმღერებით შეზავებული მშვიდი გარემო. ასეთ კატალოგებს განსაკუთრებული წარდგინება ალბათ, არც ესაჭიროება, აი ქართულ საზოგადოებას კი უეჭველი დიდად წაადგება სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული საღამოები. ასე, რომ ასეთი საღამოების მოწყობაც ამ გამოცემებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა გახლდეთ.

# ხელისუფლებას ოქრუაშვილის ლიკვიდაცია სურს

## სააკაშვილის რეჟიმს ჩვენ დავასრულებთ!

ქეთი ხომერიკი

**როგორც მოსალოდნელი იყო, გაჩეჩილაძემ და გუნცაძემ „ქართული პარტია“ დატოვეს, ოფიციალურ მიზეზად ლიდერებს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა დასახელდა, თუმცა, რა არის მათი პოლიტიკური განქორწინების რეალური მიზეზი, ძნელი სათქმელია. მიუხედავად იმისა, რომ პარტია ორმა ლიდერმა დატოვა და მათ პარტიის სხვა წევრებიც თან გაჰყვნენ, „ქართული პარტია“ გადადებული მრისხანების დღის მოწყობას მაინც გეგმავს, თანაც წელსვე. რატომ გაიქცა გაჩეჩილაძე-გუნცაძის დუეტი მდიდრების პარტიიდან, რატომ გადაიდო დაანონსებული მრისხანების დღე, რატომ არ დაიყენა ბურჯანაძემ კიწმარიშვილი გვერდით და რა პასუხისმგებლობას აკისრებს საკუთარ თავს კიწმარიშვილი? „ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე „ქართული პარტიის“ პოლიტიკურ მდივან ეროსი კიწმარიშვილს ექსკლუზიურად ესაუბრა.**

ეროსი კიწმარიშვილი:

— გაჩეჩილაძემ და გუნცაძემ გააკეთეს განცხადება, სადაც განმარტეს რატომაც დატოვეს პარტიის რიგები და ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე ახალს ვერაფერს გეტყვით. არის თემები, რომელთან დაკავშირებითაც ნებისმიერ პოლიტიკურ ძალაში ყოველთვის არის და იქნება დისკუსია და ბუნებრივია, ყველას აქვს უფლება თავისი პოზიცია ჰქონდეს. ვიმეორებ, არის თემები, რომელიც არის პარტიის შიდა სამზარეულო, გარეთ კი ის ნაწილი გავა, რომელი ნაწილიც შეეხება კონკრეტულად გადაწყვეტილებებს. პარტიაში შიდა დისკუსიები და განსხვავებულობა იყო, იგივე მართვასთან, მენეჯმენტთან, აქციის გაშუქება□გამართვასთან და ა.შ. პარტიაში რჩება სუბარი, გოგელია, ოქრუაშვილი, კიწმარიშვილი, ხორგუანი, პარტიიდან, ფაქტობრივად, რამდენიმე შეიძლება მეტ□ნაკლებად ცნობილი და ნაცნობი წევრი წავიდა, თუმცა პარტია იგივე ფუნქციებითა და მიზნებით არის და ბრძოლას აგრძელებს.

***— კი მაგრამ, რა აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა ისეთი, რომ ვერ შეთანხმდით და ორმა ლიდერმა წასვლა არჩია, ისე, გული არ დაგწყდათ, ბატონო ეროსი?***

— ეს, მათ უნდა ჰკითხოთ, მე, ჩემი პოზიცია უკვე მოგახსენეთ. მე, მთავარი გულისდაწყვეტა მექნება მაშინ, თუ სააკაშვილს ვერ გავუშვებ ხელისუფლებიდან, ყველა, სხვა დანარჩენი ამ გზაზე არის პროცესი. ვინც თვლის, რომ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა აქვს მიზნად დასახული, ყველას, მათ შორის, მათაც, თავიანთ განსხვავებულ ხედვაში წარმატებას ვუსურვებ.

***— რამდენად მოსალოდნელია, რომ გაჩეჩილაძე□გუნცაძემ თქვენი მისამართით კრიტიკული განცხადებები გააკეთონ ?***

— პრობლემა არ არის, ყველას აქვს თავისი პოზიცია. მე, ჩემი პოზიცია, უკვე, მოგახსენეთ.

***— გუნცაძემ კიწმარიშვილს სცემა, კიწმარიშვილ□ოქრუაშვილმა გაჩეჩილაძე□გუნცაძეს დუეტს ფული „მოუტეხა“, დიდი თუ პატარა ამას აცხადებს, ამაზე რას იტყვით?***

— ყვითელ პრესაში დაწერილ სისულელეებზე კომენტარს არ ვაკეთებ. ეს არის აბსურდი. ვიმეორებ, სისულელეებზე კომენტარებს არ გავაკეთებ. აქვე გეტყვით, რომ ქართული პარტია არის ძალიან მძიმე ფიქრებში, ანუ ადამიანურ განცდებში, იმასთან დაკავშირებით, რაც 26 მაისს მოხდა და აგრძელებს იმას რაც დაისახა მიზნად□ამ რეჟიმის გაშვებას და გაუშვებს კიდეც.

***— თქვენ კარგა ხანი დუმდით, რატომ? და საერთოდაც, მრისხანების დღე რატომ გადადო „ქართულმა პარტიამ“?***

— 25-26 მაისი ის პერიოდი იყო, როდესაც ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლებოდა, რადგან ადამიანები გლოვობდნენ. და დღესაც მე, შეფასებითი ხასიათის განცხადებების გაკეთებას არ ვაპირებ, უბრალოდ, თუ რომელიმე კონკრეტულ პროცესთან დაკავშირებით ინტერესი გაქვთ, მკითხეთ და გეტყვით რაც ხდებოდა, ანუ მხოლოდ ფაქტოლოგიურ მასალას მოგცემთ. რაც შეეხება, მრისხანების დღის გადადებას, ახლავე მოგახსენებთ ყველაფერს. 21 მაისს საზოგადოებამ დიდი იმედგაცრუება მიიღო, რადგან აღმოჩნდა, რომ სახალხო კრებას სამოქმედო გეგმა არ ჰქონდა და პროცესი, ფაქტობრივად, ჩაქრობისკენ მიდიოდა. და ჩვენ იძულებული გავხდით ჩავრთულიყავით ამ პროცესში, რადგან დავინახეთ, რომ პროცესი დიდი იმედგაცრუებით დამთავრდებოდა და პროცესის ჩაქრობა საზოგადოებაში ნიჰილიზმის გამომწვევი გახდებოდა, პლუს დავინახეთ, რომ სახალხო კრებას სახის გადარჩენა და დახმარება სჭირდებოდა, ამიტომაც ჩავერთვეთ პროცესში. მართალია, გაგვიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ მაინც მივიღეთ. ჩვენ, სამი დღე იმისთვის გვჭირდებოდა, რომ რეგიონებიდან ხალხი ჩამოგვეყვანა და ეს სამი დღე ამისთვის ავიღეთ. გამოვაცხადეთ მრისხანების დღე, ჩავდეთ ჩვენი ყველა, ბოლო რესურსი, მათ შორის, ოქრუაშვილის ჩამოსვლის დაანონსება, რომელიც მართლა ჩამოდიოდა საქართველოში, ბილეთიც აღებული ჰქონდა და იცით, რა მივიღეთ ამ მონაკვეთში? რადა, 22-დან 24 მაისის დილამდე, ზუსტად 48 საათის განმავლობაში, მე, როგორც უფლებამოსილ პირს, მქონდა მცდელობა ბურჯანაძესთან მიმეღწია იმისთვის, რომ ჩვენი სამოქმედო გეგმა საერთო სამოქმედო გეგმად გადაგვექცია, ანუ დავმსხდარიყავით და გვესაუბრა. ჩვენ შორის შედგა ერთი შეხვედრა 22 მაისს და მე, ვუთხარი ბურჯანაძეს, რომ ყველაფერი იყო ერთ რამესთან დაკავშირებული, ანუ წარმატებას მხოლოდ ერთ შემთხვევაში მივაღწევდით, თუ ერთიან სამოქმედო გეგმას დავდებდით და ამ გეგმის მიხედვით ვიმოქმედებდით.

***— მერედა, რა გიპასუხათ ბურჯანაძემ?***

— მან რაღაც მოიმიზეზა და მითხრა ცოტა ხანში ვისაუბროთო, მეორედაც, მესამედაც მოიმიზეზა რაღაც და მისი ბოლო მიზეზი იყო ის, რომ დაღლილი ვარ და ხვალ ვილაპარაკოთო. აი, ეს მითხრა და დასაძინებლად წავიდა. დიახ, ბოლო სმს□ი ღამის 2 საათზე გავუგზავნე, დამირეკა და მითხრა, ხვალ ვილაპარაკოთო. ეს ყველაფერი მეორე დღესაც გაგრძელდა, ანუ ორი დღის განმავლობაში გააფთრებული ვცდილობდი, რომ დაგველაპარაკა და ერთიანი სამოქმედო გეგმით წავსულიყავით, პასუხი კი არასაჯარო იყო ის, რაც გითხარით, საჯარო კი □ღია ტექსტით საუბარი იმაზე, რომ ოქრუაშვილი გადატრიალებას მოაწყობდა, მას პუტჩი უნდა გაეკეთებინა და ა.შ, აი, ამას აცხადებდნენ კრების წარმომადგენლები.

***— ბუნებრივია, მათ აინტერესებდათ რა გზით აპირებდა ოქრუაშვილი საქართველოში შემოსვლას, სანამ მსგავს განცხადებებს გააკეთებდნენ, ეს კითხვა ბურჯანაძემ დაგისვათ, ბატონო ეროსი?***

— ბურჯანაძეს მსგავსი რამ ჩემთვის არ უკითხავს. მე ვუთხარი მას, რომ ყველაფერი რაც უკავშირდება ოქრუაშვილს და ჩვენ ნებისმიერ მოქმედებას მზად ვარ შენთან ერთად განვიხილო□მეთქი, მაგრამ ბურჯანაძე ჩემთან სასაუბროდ არ დაჯდა. ის რაც სამოქალაქო მშვიდობას, ან ქვეყნის განვითარებას პრობლემას შეუქმნიდა, ბუნებრივია, ჩვენი მხრიდან არ იგეგმებოდა. აქ, ერთ რამეს მიაქციეთ ყურადღება, ჩვენ, ამას 22 მაისს ვაკეთებთ, 23 მაისს, 3 საათზე კი ბურჯანაძე აკეთებს განცხადებას იმის თაობაზე, რომ 25 მაისს 12 საათზე ავლაბრის მოედანზე კი არა, არამედ, თავისუფლების მოედანზე უნდა წავიდეს სახალხო კრება, აი, ამ განცხადებამ საზოგადოება საბოლოოდ დააბნია.

***— თქვენი აზრით, რატომ მოიქცა ბურჯანაძე ასე, რატომ არ დაგელაპარაკათ?***

— ბურჯანაძეს კითხეთ, მე, დღეს, შეფასებებს არ გავაკეთებ და ეს თავშივე გითხარით, თუმცა დრო მოვა და ყველაფრის შეფასებას გავაკეთებ. კითხეთ ბურჯანაძეს რატომ აკეთებდა ყველაფერ ამას.

***— მოდით, კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ, თქვენ საერთო გეგმით და ძალებით მოქმედებას სთავაზობდით, ის რაღაც მიზეზებს იგონებდა და გაგირბოდათ, საჯაროდ კი თქვენი მისამართით კრიტიკული განცხადებების კეთებას არ ერიდებოდა?***

— დიახ, ჩემი ორდღიანი მცდელობა, რომ რამენაირად მასთან დავმჯდარიყავი და მოგველაპარაკა და ხომ ხვდებით საუბარი მიდის ქვეყანაში უზარმაზარი სამოქალაქო აქტივობის მობილიზაციაზე, საკუთარი რესურსების გაერთიანებაზე, ერთობლივ მოქმედებაზე და ადამიანი ამაზე სასაუბროდ იმ ერთადერთ ძალასთან, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს და გადაარჩინოს პროცესი ერთ საათს ვერ ნახულობს. და ეს გრძელდებოდა 48 საათის განმავლობაში და ჩვენ, სხვა არაფერი დაგვრჩენოდა გარდა იმისა, რომ მიგვეღო უმძიმესი გადაწყვეტილება, რომელიც დილას გამოვაცხადეთ. მე გავაფრთხილე, პირდაპირ ულტიმატუმი დავუყენე ბურჯანაძეს ღამის 11 საათზე, რომ ან ის ასე მოიქცეოდა, ანუ დაჯდებოდა ჩვენთან ერთად ერთიანი მოქმედების სისტემაზე, ან ჩვენ გავიდოდით პროცესიდან და ჩვენ გავედით პროცესიდან.

***— თქვენ ეს ბურჯანაძეს პირადად უთხარით?***

— არა, ეს შევუთვალე იმ ადამიანის საშუალებით, რომლის პირითაც ის მელაპარაკებოდა. მისი პასუხი კვლავ დუმილი იყო და ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენოდა, თუ არა ის, რომ გადაგვერჩინა პროცესი სახელწოდებით ქართული პარტია და ათასობით ადამიანი, რომლებიც ელოდებოდნენ ჩვენს მითითებებს. მანამდე, 22 მაისს მე, სპეციალურად მივედი მასთან სახლში და ვცდილობდი მის დარწმუნებას, მეტიც, ვთხოვე, რომ შემოსულიყო ჩვენთან კონტაქტში და ამ საუბარს ბევრი თანამონაწილე ჰყავს, თუმცა არ შემოვიდა. ჩვენი მომხრეები მზად იყვნენ პროცესში ჩასართველად, თუმცა ჩვენ არ შეგვეძლო წაგვეყვანა პროცესი ერთი მიზეზით.

***— რა მიზეზით?***

— ჯერ ერთი ჩვენ მაისი არ დაგვიანონსებია და არც არანაირი კონკრეტული თარიღი არ გამოგვიცხადებია. პლუს მხოლოდ ერთიანობა იყო გარანტორი ხალხის დიდი მასის ქუჩაში თავმოყრის, შესაბამისად, ჩვენს მიერ მოყვანილი საზოგადოება, რომელსაც შეეძლო პროცესების წარმართვა იმ პირობებში, რომელშიც გამთიშველი ფაქტორი თამაშობდა მეორე მხარეს, რა თქმა უნდა, იყო მადეზორიენტირებელი და ხალხი არ შეგროვდებოდა იმ რაოდენობით, რომელსაც შეიძლება დავარქვათ კრიტიკული მასა პროცესის დასაწყებად. ჩემი აზრით, კრიტიკული მასა ათეულობით ათასი კი არა, ასეულობით ათასი ადამიანია.

***— სად იყო ამ დროს ქართული პარტიის 50 ათასიანი არმია?***

— რაც შეეხება, 50 ათასიან არმიას, იმ პირობებში, როდესაც მიდიოდა უზარმაზარი ხელშეშლა საქართველოს ყველა რეგიონში, ჩვენ მივიღებდით დაახლოებით 20% იმ ხალხისა, რომელიც რეგიონებიდან უნდა წამოსულიყო, ზოგს დაიჭერდნენ, ზოგს მანქანას წაართმევდნენ და ა.შ.

***— და არ იცოდით, რომ ეს ასე იქნებოდა, მოკლედ, ჩათვალეთ, რომ პროცესი წარმატებით არ დასრულდებოდა და გადადეთ...***

— ჩვენ შეგვეძლო შეგვეკრიბა 20□30 ათასი ადამიანი, მაგრამ 20 ათასი ადამიანი არ იყო იმ პროცესისთვის საკმარისი, რასაც ერქვა ოქრუაშვილის ჩამოსვლა საქართველოში, რომელიც პირდაპირი თვითმკვლელობა იქნებოდა.

***— მას უმალ დააკავებდნენ...***

— არა დაკავებაზე არ იქნებოდა საუბარი, ეს იქნებოდა მკვლელობა. ოქრუაშვილი შემოდიოდა მშვიდობიანი გზით და მიიღებდა იმას, რაც გაუკეთეს ხალხს. მთავარს გეტყვით, როცა ორი პროცესი არსებობს, ამ ორი პროცესის გათიშულობამ და ამ განცხადებებმა ჩვენ გვაიძულა, რომ გადაგვერჩინა ეს ათეულობით ათასი ადამიანი იმ რისკებისგან, რომელი რისკებიც მათ და მათ ოჯახებს დაემუქრებოდა. ის ათეულობით ათასი პოლიციელი, 4 ათასი სპეცრაზმის ფორმაში ჩაცმული ადამიანი მობილიზებული იყო არა, ამ 500 საწყალი ადამიანის დასარბევად, არამედ ზუსტად იმიტომ, რომ ძალიან კარგად იცოდა მერაბიშვილმა და სააკაშვილმა, თუ ვინ იყო მათი მთავარი საფრთხე□ოქრუაშვილი და ქართული პარტია. მათ, რომ ვერ მოახერხეს იმ აგრესიის, რომელიც გროვდებოდა პოლიციურ სტრუქტურებში შიშის გამო ჩვენზე გადმონთხევა, რადგან ჩვენ გავედით პროცესიდან, ის აგრესია გადაამტვრიეს იმ ადამიანებს. ჩვენ, ათეულობით მეტი მსხვერპლი გვექნებოდა და შედეგი, სამწუხაროდ, იგივე იქნებოდა, ასე რომ ჩვენ გადავარჩინეთ ხალხი და პროცესიც, ისევე როგორც, ჩვენი პოლიტიკური ძალა.

***— თუმცა, ამ ნაბიჯით საკუთარი თავის დისკრედიტაციაც მოახდინეთ...***

— რა თქმა უნდა, ჩვენი დისკრედიტაცია მოხდა და ჩვენ, სერიოზული დარტყმა მივიღეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, გავანადგურებინეთ პოლიტიკური ძალა, პოლიტიკური

გაგრძელება მე-7 გვერდზე



### პაატა დავითაია ევროსაბჭოს იურიდიული კომიტეტის სხდომაში მიიღებს მონაწილეობას



პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი, პარტია „ჩვენ თვითონ“ ის ლიდერი პაატა დავითაია სამუშაო ვიზიტით დღეს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გაემგზავრა.

ვიზიტის ფარგლებში დავითაია 5-6 ივნისს ევროსაბჭოს იურიდიული კომიტეტის მორიგ სხდომაში მიიღებს მონაწილეობას.

როგორც დავითაიას პარტიაში აცხადებენ, სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განხილული იქნება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება.

ოსლოდან „ჩვენ თვითონ“-ის ლიდერი სტრასბურგში გაემგზავრება, სადაც 8-დან 11 ივნისის ჩათვლით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ევროპელ-დემოკრატების ფრაქციის სხდომაში მიიღებს მონაწილეობას და სიტყვითაც გამოვა.

აღნიშნულ სხდომაზე განხილვის ერთ-ერთი მთავარ თემად სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დაგეგმილი რეფორმირების საკითხს განიხილავენ.

პაატა დავითაიას ვიზიტი 12 ივნისს დასრულდება.

მედიანიუსი

### „წინააღმდეგობის მოძრაობა“ „სააკაშვილის რეჟიმის“ დემონტაჟის დეტალურ გეგმას წარმოადგენს

დღეს მედიაკავშირი „ობიექტივის“ სტუდიაში საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლები ბრიფინგს ჩაატარებენ.

ბრიფინგზე გაკეთდება განცხადება იმ გეგმისა და საშუალების შესახებ, რისი მიხედვითაც, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ აზრით, შესაძლებელია დაიწყოს „სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის დემონტაჟი“.

მედიანიუსი

### აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი მომავალ კვირას გახდება ცნობილი

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის დე-ფაქტო პრეზიდენტის არჩევნების თარიღი მომავალ კვირას გახდება ცნობილი. აღნიშნულის შესახებ „ინტერფაქსს“ აფხაზეთის სახალხო კრების თავმჯდომარემ ვიაჩესლავ ცუგბამ აცნობა.

— საპრეზიდენტო უფლებამოსილების შეჩერებიდან არა უგვიანეს 15 დღისა, პარლამენტი ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს ნიშნავს. არჩევნები უნდა ჩატარდეს სამი თვის განმავლობაში, რომლის ათვლა პრეზიდენტის უფლებამოსილების შეჩერებიდან იწყება —განაცხადა ცუგბამ.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის დე-ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში 29 მაისს, მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში გარდაიცვალა.

მედიანიუსი

### ვინ მიხედავს ვაუჩერების გარეშე დარჩენილებს

პოლიტიკური გაერთიანების „ჩვენ თვითონ“ ცნობით, ძალიან ბევრ გაღატაკებულ ოჯახს სასურსათო და ენერგოვაუჩერი დღემდე არ მიუღია და ამ საკითხზე საჯარო უწყებები პასუხსაც კი არ სცემენ.

როგორც გუშინ პრესკონფერენციაზე პარტიის წარმომადგენელმა ლიკა ნაღებაშვილმა განცხადა, ვაუჩერი დაახლოებით 100 ათას ოჯახს არ მიუღია.

მისი თქმით, ყველაზე გაჭირვებულებს თავის დროზე ენერგო და შემდეგ სასურსათო ვაუჩერების გაცემაზე უარი იმ მოტივით უთხრეს, რომ მათ ენერგიის მოხმარებაზე უსახსრობის გამო ეკონომია გააკეთეს და შესაბამისად, 200 კილოვატზე ნაკლები ელექტროენერგია დაწვეს.

— ამ ხნის მანძილზე ვაუჩერების მიღების იმედით, ბევრმა ოჯახმა დენის გადასახადზე სერიოზული დავალიანება დააგროვა. ენერგოკომპანიის თანამშრომლები კი მათ ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტით ემუქრებიან და საქმის გასარკვევად მთავრობასთან ამისამართებენ. მესამე თვეა ამ ადამიანებს ხან ჯანდაცვის სამინისტროში, ხან სადისტრიბუციო კომპანიაში დაატარებენ და დამატებითი სიებისთვის უამრავ საბუთს სთხოვენ, რის გამოც ნაწილმა ფიზიკურად ვერ შეძლო აღრიცხვაზე დაეყენებინა თავი. ამ დრომდე ჩვენი მოქალაქეების ყველაზე გაღატაკებულ ნაწილს გამუდმებული მცდელობის მიუხედავად, პასუხიც კი არ მიუღია საჯარო უწყებებისგან, როდის მოხდება მათთვის დაგვიანებული ვაუჩერების დარიგება, — განაცხადა ნაღებაშვილმა და დასძინა, რომ „ჩვენ თვითონ“ მოუწოდებს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ დაიწყოს ვაუჩერიზაციის მეორე ეტაპი.

მედიანიუსი

# 26 მაისის შემდეგ 50 ადამიანია დაკარგული

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ „კონსერვატიული პარტიის“ წევრ ლაშა ჩხარტიშვილთან

***— რას იტყვით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე? შეიძლება ჩავთვალოთ, რომ რევოლუციურმა გზამ კრახი განიცადა?***

— 26 მაისი ხელისუფლების მიერ ანგარიშსწორება იყო საკუთარი ხალხისადმი. მიხეილ სააკაშვილმა დაადასტურა, რომ დიქტატორია, შესაბამისად მასთან ბრძოლა მძიმე შეიძლება იყოს. საპროტესტო აქციების დროს ადამიანები მოკლეს, რაც მანამდე არ მომხდარა. სამი ადამიანია სულ მცირე მოკლული. მერაბიშვილის სიკვდილის ბრიგადების წარმომადგენლების მიერ. ასევე არიან დაკარგულები და ალბათობა იმის, რომ მსხვერპლის რაოდენობა გაიზარდოს. მსხვერპლი აქამდეც იყო. მათ შორის ე.წ. ლიკვიდაიცების ოპერაციების დროს. გირგვლიანი, ვაზაგაშვილი, რობაქიძე. ასევე ციხეებში არიან მოკლული ადამიანები. მე ვთვლი, რომ ცალკე სარჩელი შეიძლება იყოს შესატანი მიხეილ სააკავშილის წინააღმდეგ კაცობრიობის, ადამიანობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯისთვის, მასობრივი დარბევის გამო. პრაქტიკულად საქმე გვაქვს მოდერნიზებულ კადაფთან, რომელიც ჯერ კიდევ ცდილობს, რომ ითამაშოს დემოკრატის როლი, მაგრამ ფაქტია, რომ მთელი მსოფლიოსთვის ის დიქტატორია.

***— თუმცა, პრეზიდენტი ჯო ბაიდენს, სხვადასხვა დემოკრატიული ქვეყნის ლიდერებს შეხვდა, ისინი დიქტატორებს არ ხვდებიან...***

— ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი სახელმწიფო პოლიტიკა. შეხვედრა არ ნიშნავს მხარდაჭერას. იმედი მაქვს, რომ ქართული და საერთაშორისო საზოგადოება მოახერხებს საერთო ძალისხმევით მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან გასტუმრებას. იმედი მაქვს, რომ სააკავშილი დაასრულებს თავის საქმიანობას ისე, როგორც ეს ეგვიპტის დიქტატორმა დაასრულა. არა მხოლოდ მისი რეჟიმი უნდა შეიცვალოს და ის წავიდეს თანამდებობიდან, არამედ მან განსასჯელის სკამზე დაასრულოს თავისი მოღვაწეობა.

***— გამოჩნდა, რომ რევოლუციური გზა წარუმატებელია...***

— მასობრივი გამოსვლები იყო, რომელიც მშვიდობიანი იყო. აქედან გამომდინარე არანაირი ლეგიტიმური საფუძველი არ არსებობდა, რომ ეს აქცია დაშლილიყო, არათუ დარბეულიყო. ამ შემთხვევაში დაშლაზე არ შეიძლება საუბარი, რადგან ადამიანები ალყაში მოაქციეს. მათ გაუსწორდნენ ფიზიკურად. ასობით ადამიანი დაზარალდა ფიზიკურად. ადამიანები გაუჩინარებულები არიან და ადამიანები დაღუპულები არიან, სამწუხაროდ. ამას არანაირი გამართლება არ აქვს, მით უფრო, ვიმეორებ, ეს იყო მშვიდობიანი აქციები.

***— საარჩევნო გარემოს ცვლილებასთან დაკვაშირებით კვლავ გაურკვევლი მდგომარეობაა. მოლაპარაკებები ისევ ჩიხშია შესული. როგორ უყურებთ თქვენ ამ პროცესს?***

— 7 ივნისს იქნება „რვიანის“ მხრიდან განცხადება გაკეთებული აღნიშნული პროცესის თაობაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მეთოდი უნდა იქნეს მოისინჯული და გამოყენებული, რომ ჩვენ შევძლოთ სააკავშილის რეჟიმის დამარცხება და ამასთანავე საქართველოში ერთპარტიული მმართველობის დასრულება. ერთპარტიული და ერთპიროვნული მმართველობა არის საწინდარი ქვეყნის უბედურების, ადამიანის უფლებების მასობრივი შელახვისა, რომ ქვეყანაში დემოკრატიის ნიშანწყალიც აღარ დარჩეს.

***— თქვენ გჯერათ, რომ ხელისუფლება წავა საარჩევნო გარემოს ცვლილებაზე?***

— როგორც უკვე აღვნიშნე, ყველა მეთოდი არის გამოსაყენებელი. როგორც მასობრივი გამოსვლები, ასევე სამათრლებრივი მეთოდები იმისთვის, რომ კომბინირებულად შევძლოთ სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საეთრაშორისო ასპარეზზე, რომ მთელმა მსოფლიომ საბოლოოდ დაინახოს, რას წარმოადგენს მიხეილ სააკაშვილი და მთელი მსფოფლიოს, ცივილიზებული, დასავლური სამყაროს მხარდაჭერა ჰქონდეს ქართველ საზოგადოებას.

***— დღეს რა ვითარებაა ამ მიმართულებით?***

— დარწმუნებული ვარ, რომ მიხეილ სააკაშვილის იმიჯი დღეს ძალიან მძიმედ არის დაზარალებული, მათ შორის 26 მაისის სისხლიან ღამის შემდეგ, მაგრამ ჯერ კიდევ როგორც ჩანს დასამტკიცებელია ქართველი საზოგადოების, პოლიტიკური და არასმთავრობო სექტორის მხრიდან, რომ ჩვენი ბრძოლა პრინციპულია და ჩვენ საზოგადოება არ ვაპირებთ შევეგუოთ დიქტატურაში ცხოვრებას, როგორც სამწუხაროდ ათობის წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ არაბულ ქვეყნებში ადამიანები, სადაც დღეს მიმდინარეობს გამოღვიძების პროცესი. არაერთმა დიქტატორმა თავისი საქმიანობა დაასრულა, მათ შორის ციხეში. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი საზოგადოება არ აპირებს შეგუებას, არ აპირებს არც ერთ დიქტატურასთან შეგუებას, მათ შორის ამ ხელისუფლებასთან. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ყველამ დაინახა, რომ ერთპარტიული მმართველობა დამღუპველია. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ბრძოლა გაგრძელდება. ბრძოლა სხვადასხვა პოლიტიკური მეთოდების გამოყენებით გაგრძელდება. საჭიროა მაქსიმალური კონსოლიდაცია და კოორდინაცია პოლიტიკურ ძალებს შორის, რომ ერთობლივი ძალებით შევძლოთ ქვეყნისთვის დამანგრეველი ძალის მმართველობის დასრულება, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ჰქვია. რადგან ცალკე აღებული ერთი პარტია თუ არასმთავრობო ორგანიზაცია ბუნებრივია ვერ მოახერხებს ამას. საჭიროა სულ მცირე კოორდინაცია პოლიტიკურ ძალებს შორის, რომელთა ძალისხმევაც მთლიანობაში უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ რეჟიმი შეიცვალოს და საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ გაიმართოს სამართლიანი და თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები, რომლის შედეგიც იქნება მრავალპარტიული მთავრობის და ხელისუფლების მიღება, რომელიც ასახავს, რასაკვირველია მეტნაკლებად, მაგრამ მაინც საზოგადოების ინტერესებს. ჩვენ გვაქვს ორი ამოცანა: სააკაშვილის რეჟიმი შეიცავლოს და სამართლიანი სასამართლოს გზით გასამართლდეს. მეორე, აღარასოდეს აღარ იყოს ერთპარტიული მმართველობა. ამას პრაქტიკულად საკუთარ თავზე ვცდით 20 წლის განმავლობაში.



გვახსოვს შევარდნაძის მმართველობა, ვხედავთ სააკაშვილის უფრო მძიმე მმართველობას, თუმცა ახლა მთავარია ბრძოლის გაგრძელება, რომ ყველამ გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ გადავარჩინოთ ის ადამიანები, რომლებიც 26 მაისის შემდეგ დაკარგულები არიან. ასეთი დაახლოებით 50-ამდე ადამიანია. იმედი მაქვს, რომ ყველა მათგანი ცოცხალია. თუმცა, ფაქტია, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. დღეს ისევ გრძელდება რეპრესიები, უკანონოდ აპატიმრებენ ადამიანებს. აუცილებელია ამ ადამიანების განთავისუფლება. ასევე უნდა ვიმსჯელოთ მკვლელების დასჯაზე და იმ დამკვეთების, რომლებმაც ეს ბრძანება გასცეს 26 მაისს. მერაბიშვილი და სააკაშვილი არიან დამკვეთები 26 მაისის სისხლიანი ღამის.

## „აგვისტოს 5 დღის“ გამო ლაშა ჩხარტიშვილი დააპატიმრეს

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ინფორმაციით, გუშინ, 17.00 საათზე პოლიციამ და სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილმა შეიარაღებულმა პირებმა თბილისში, პარლამენტთან მშვიდობიანი, მცირერიცხოვანი აქცია დაშალეს, რომელიც პარტია „თავისუფალი საქართველოს“ და არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდით იმართებოდა აგვისტოს ტრაგედიის შესახებ გადაღებული ფილმის პრეზენტაციასთან დაკავშირებით.

პოლიციამ „ეროვნული საბჭოს“ წევრი ლაშა ჩხარტიშვილი დააკავა.

აქციის მონაწილეებს ეჭირათ სხვადასხვა პლაკატები, მათ შორის: „აგვისტოს დღეები სააკაშვილისთვის დღესასწაულია, საქართველოსთვის კი ტრაგედია“.

**მედიანიუსი**

## სამართალდამცველებმა ირინა ბათიაშვილი დააკავეს



სამართალდამცავებმა ირაკლი ბათიაშვილის შვილი, ირინა ბათიაშვილი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ განუცხადა, ირინა ბათიაშვილი იმ დროს დააკავეს, როდესაც ის პარლამენტის შენობის წინ დაგეგმილ აქციაში მონაწილოების მისაღებად მიდიოდა.

## ნაწლავური სასიკვდილო ინფექციისაგან ევროპაში უკვე 20 ადამიანი გარდაიცვალა

ევროპაში მომაკვდინებელი ნაწლავური ინფექციისაგან გარდაცვლილთა რაოდენობა მატულობს. ბოლო მონაცემებით, მათმა რაოდენობამ 20-ს მიაღწია.

ეპიდემიამ ფინეთსა და იტალიამდე მიაღწია, სადაც რამდენიმე გერმანელი ტურისტია ჰოსპიტალიზებული. გერმანიაში მოწამვლის წყაროს დადგენას კვლავინდებურად ცდილობენ.

სპეციალისტები კაფეებსა და რესტორნებს ამოწმებენ. ექიმების მოსაზრებით, ინფექციის გავრცელება ასეთ მოკლე დროში სწორედ ამ გზით იქნებოდა შესაძლებელი.

ჩინელმა მიკრობიოლოგებმა, რომლებმაც გერმანიაში გავრცელებული აგრესიული ნაწლავური ჩხირის გენი გაშიფრეს, ისეთი გენები აღმოაჩინეს, რომლებიც ბაქტერიას 8 კლასის ანტიბიოტიკებისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს ანიჭებს.

პეკინის გენომიკის ინსტიტუტის მკვლევარებმა, რომელიც მსოფლიოში დნმის შემსწავლელი უმსხვილესი ცენტრია, აღნიშნეს, რომ ნაწლავური ჩხირის ახალ შტამს წინააღმდეგობის გაწევა სულფონამიდის, ცეფალოტინის, პენიცილინისა და სტრეპტომიცინისთვის შეუძლია. სწორედ ამით არის განპირობებული ის სირთულეები, რასაც ევროპელი მედიკოსები დაავადებასთან ბრძოლისას აწყდებიან.

ამ დროისათვის ჩინელი მეცნიერები დიაგნოსტიკური პრეპარატების ნაკრების შექმნაზე მუშაობენ, რომელიც მათ ბაქტერიის არსებობის დადგენასა და მისი გავრცელების შეჩერებაში დაეხმარება. ჩინელ მეცნიერებსა ნაწლავური ინფექციის გენის გასაშიფრად სამი დღე დასჭირდათ.

დაავადების თავიდან ასაცილებლად ევროპელი ექიმები მოქალაქეებს საკვებად ნედლი ბოსტნეულის გამოყენებისაგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდებენ.

**მედიანიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას

მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის
აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე
700 605

ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ხელისუფლებას ოქრუაშვილის ლიკვიდაცია სურს

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ძალა არსებობს და თავის ამოცანებს შეასრულებს.

***— ახლა როგორღა შეასრულებს?***

— ისე როგორც დავგეგმეთ და ვთქვით. ჩვენ ვთქვით, რომ წელს ეს პროცესი უნდა შედგეს და შედგება.

***— ისე, ნამდვილად მოდიოდა ოქრუაშვილი, ბატონო ეროსი? ითქვა, რომ ეს განცხადება მუხტის ასაწევად გაკეთდა...***

— რა თქმა უნდა, ჩამოდიოდა, ჩვენ ბილეთიც ვაჩვენეთ ხომ. მე, არ ვაპირებ ამ თემის დამატებითი არგუმენტებით გამყარებას.

***— უკეთესი არ იქნებოდა, ჯერ გაგერკვიათ სახალხო კრება დაგიყენებდათ გვერდით თუ არა და ამის შემდეგ დაგეანონსებინათ ოქრუაშვილის ჩამოსვლა, თქვენ ხომ ხალხში მოლოდინი გააჩინეთ...***

— ჩვენ ყველაფერი გავუკეთეთ ბურჯანაძეს, ანუ დავუდეთ ყველა ჩვენი შესაძლებლობა იმისათვის, რომ მას არ ჰქონოდა რაიმე ფორმატის დისკომფორტი ხვალინდელ დღესთან დაკავშირებით. ჩვენ, როცა ვსაუბრობთ იმაზე, თუ რატომ გავაკეთეთ ეს, იმიტომ გავაკეთეთ, რომ ჩვენ, პასუხისმგებლობით ვეკიდებოდით ჩვენს შესვლას პროცესში. ჩვენ, გვინდოდა, რომ აგვეღო თავზე თანამონაწილის პასუხისმგებლობა და ამაზე გვკრა ხელი ბურჯანაძემ და ეს ფაქტია. ბურჯანაძემ არ გადადგა ის ნაბიჯი, რომელიც საზოგადოების შეკვეთა იყო არ წამოვიდა ერთიანობაზე.

***— გამოდის, რომ ეს ნაბიჯი არ გადაგა და მეორე დღეს თქვენი კრიტიკა დაიწყო, მეტიც განაცხადა, რომ თქვენ ხელისუფლების მიერ მართული ძალა ხართ, რატომ? ბურჯანაძეს არ უნდოდა, რომ ეს პროცესი მისი და ხალხის გამარჯვებით დასრულებულიყო?***

— მას უფლება აქვს, რაც უნდა ის ილაპარაკოს. მე, გელაპარაკებით მხოლოდ ფაქტებით, ფაქტებიდან გამომდინარე კი გაქვთ ის სურათი, რომელიც გაქვთ. დასკვნა საზოგადოებამ თავად გააკეთოს, თუ არადა, გავა დრო და ჩვენ, თვითონ გავაკეთებთ დასკვნებს, არანაირი პრობლემა ამ დასკვნების გაკეთებაში არ არის, უბრალოდ, საუბარი მიდის ერთ რამეზე, მაშინ როცა არ გაცივებულან ადამიანები, რომლებიც მოკლეს, ამ თემაზე ჩვენ ღია დისკუსიას არ ვმართავთ. დღეს, ესეც ვილაპარაკეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაზე დიდ ხანს ჩვენ ვდუმდით.

***— ითქვა, რომ ხელისუფლება თქვენს დაშინებას ცდილობდა და დაჭერითაც კი გემუქრებოდათ, თუ პროცესიდან არ გახვიდოდით...***

— მე, სამი წელია რაც ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელთან არანაირი შეხება არ მქონია, ჩვენ, მათი შესაშინებლები, რომ ვყოფილიყავით დიდი ხნის წინ ვიქნებოდით შეშინებულები და შესაბამისად, აქ არ ვიქნებოდით.

***— არ თვლით, რომ სჯობდა სხვა პოლიტიკური ძალების მსგავსად, საერთოდ, არ მისულიყავით აქციაზე, ან თუ მიხვედით, ბოლომდე ყოფილიყავით იქ?***

— ჩვენ, ეს არ შეგვეძლო, მაშინ გამოვიდოდა, რომ გვერდზე დავდექით და სეირს ვუყურებდით. და მექნებოდა მე, ამ შემთხვევაში, უფრო მეტი მორალური უფლება დღეს მელაპარაკა,თუ არა? მე, ყველაფერი გავაკეთე განსხვავებით სხვა პოლიტიკური ძალებისგან, რომლებიც გვერდზე იყვნენ გამდგარნი.

***— თუმცა, მაინც გსაყვედურობენ, ამბობენ, გაჩეჩილაძე ბოლო წუთამდე იყო ხალხის გვერდით, კიწმარიშვილი არაო...***

— ჩვენ თავისუფალი არჩევანი მივეცით ყველას. ბურჯანაძე რომ ჩართულიყო იმ პროცესში, რომელსაც ვთავაზობდი დღეს, საქართველოში სააკაშვილის რეჟიმი დამთავრებული იქნებოდა და საზოგადოება გამარჯვებული იქნებოდა.

***— ანუ ბურჯანაძეა პასუხიმგებელი იმაზე, რომ პროცესი ხალხის დამარცხებით დასრულდა?***

— არა, ამაზე პასუხიმგებელი მე ვარ, რადგან მე, ბურჯანაძესთან წარსულში დიდი ურთიერთობა მაკავშირებდა და მქონდა იმის რესურსი, რომ დამერწმუნებინა ის, რომ გამომყოლოდა. ერთადერთი რასაც ჩემ პერსონალურ პასუხისმგებლობად ვიღებ არის ის, რომ ვერ მოვახერხე 2008 წელს ომის თავიდან აცილება და მეორე, ვერ მოვახერხე ბურჯანაძის დარწმუნება.

***— რატომ, იქნებ ბურჯანაძე არ გენდობოდათ?***

— მნიშვნელობა არ აქვს რატომ, რადგან არის სიტუაცია როცა შენ იცი, რომ ეს უნდა გააკეთო. და ეს არის აუცილებელი, უბრალოდ, ბოლო მომენტში მე, დრო აღარ მეყო.

***— ახლა, რამდენად რეალურად გეჩვენებათ ხელისუფლების შინ გაშვება და როგორ აპირებს ქართული პარტია საზოგადოების ნდობის დაბრუნებას?***

— ამ რეჟიმის გაშვება ახლა უფრო რთულია, ვიდრე ეს იყო 25 მაისის დილამდე, მაგრამ ეს ჩვენი, ქართველი ხალხის ვალია და თუ გვინდა, რომ გავხდეთ წარმატებულნი, ეს უნდა გავაკეთოთ. იმ ისტერიული განცხადებების ფონზე, რა თქმა უნდა, ჩვენ, სერიოზული დარტყმა მივიღეთ, თუმცა რასაც ჰქვია ხალხის ნდობა, ჩვენ ამის დაბრუნების პრობლემა არ გვაქვს, რადგან ხალხი ყველაზე მეტად უჯერებს მოქმედებას. ჩვენ, განვიცდით არა ქართული პარტიისადმი ნდობის დაბრუნების საკითხს, არამედ ხალხის იმედის დაბრუნებას, ვგულისხმობ, იმას დაბრუნდება, თუ არა რწმენა იმისა, რომ რამის შეცვლა რეალურად, შესაძლებელია.

# არჩევნები აფხაზეთში სიტუაციას ვერ შეცვლის

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, შოთა მალაშხიას შეფასებით, „ქართული პარტია“ იმდენად გაიზარდა, რომ გაყოფა აუცილებელი იყო. მალაშხიას თქმით, ერთ პარტიას ალბათ ერქმევა „ძველი ქართული პარტია“, ხოლო მეორეს — „ჯიგრული ქართული პარტია“, რომელთაც ერთმანეთში შიდა კონკურენცია ექნებათ.**

**რატომ გააქტიურდა თემურ ხაჩიშვილი და რა პრეტენზიები აქვს იგორ გიორგაძეს, რა პროცესები მიდის აფხაზეთში და ვინ შეიძლება გაიმარჯვოს საპრეზიდენტო არჩევნებში?**

**„ახალი თაობა“ შოთა მალაშხიას ესაუბრა:**

***— „ქართული პარტია“ ოთხმა წევრმა — ლევან გაჩეჩილაძემ, კოკა გუნცაძემ, კახა მიქაიამ და ლევან ჩიკვაიძემ — დატოვა. როგორ შეაფასებთ „ქართული პარტიიდან“ წევრების გადინებას?***

— ეტყობა იმდენად გაიზარდნენ, რომ ახლა გაყოფა აუცილებელი იყო. ერთი პარტია ალბათ იქნება ჩვეულებრივი ქართული პარტია და მეორე — ჯიგრული ქართული პარტია. ალბათ, შიდა კონკურენცია ექნებათ, საქართველოს ვინ უფრო კარგად გალანძღავს — ოქრუაშვილი თუ დანარჩენები. ანუ იქნება „ძველი ქართული პარტია“ და „ჯიგრული ქართული პარტია“.

***— „ქართულ პარტიაში“ დისონანსი მაისში ჩატარებულმა სახალხო კრების საპროტესტო აქციამ ხომ არ შეიტანა?***

— ესენი სინამდვილეში ვერ დაიყოფიან, რადგან პატრონი ერთი ჰყავთ. როდესაც პატრონი გადაწყვეტს, რომ უნდა გაერთიანდნენ, იმ წუთში გაერთიანდებიან.

***— პატრონში ვის გულისხმობთ?***

— პატრონი არის მოსკოვი, კრემლი, ზუსტი მისამართი არ ვიცი, სტრუქტურულად ალბათ სხვადასხვა ვიღაცები კურირებენ. იმ ვიღაცებს, რომლებიც ამათ მფარველობენ, ერთი პატრონი ჰყავთ — პუტინი.

***— თუ ერთი პატრონი ჰყავთ, ის პატრონი დაშლას რატომ ურჩევდა? რატომ უნდა აწყობდეთ დაშლა?***

— ვერ გეტყვით, ჯერ ამათ ტვინში ჩემმა მტერმა ჩაიხედა და მერე — რუსის ტვინში... როდესაც საჭირო იქნება და ბრძანება მოვა, ისევ გაერთიანდებიან. თუმცა, ამათ გაერთიანებას რა აზრი აქვს, ეს არის სახლობანას თამაში, ხალხი ამათ გვერდში არ უდგება და არც დაუდგება.

***— ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა და ეროსი კიწმარიშვილმა საქართველოს ხელისუფლების თამაში ითამაშეს. ამაზე რას იტყვით?***

— საქართველოს ხელისუფლების თამაში არ უთამაშიათ, უკვე ვთქვი, ისინი რა თამაშსაც თამაშობენ. ამათ კონკურენცია აქვთ, კრემლის კარზე ვინ იქნება კრემლის ფავორიტი. კარგად უნდა იცოდნენ, რომ კრემლს არასდროს ერთი ფავორიტი არ ეყოლება, მას ყოველთვის ეყოლება რამდენიმე. ძალიან ცუდია, რომ რუსეთი არ დაადგა ნორმალური განვითარების გზას, რომელიც თავის სახელმწიფოსთვის იქნება კარგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიდის საუბარი იმაზე, რომ რუსეთს ქვეყნის შიგნით სერიოზული პრობლემები ექნება. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა, რომ რუსეთის დაშლის პროცესი მტკივნეულად დაიწყოს და განვითარდეს. ყველაზე კარგი იქნება, რუსეთმა დაიცვას საერთაშორისო სამართალი და ამ ნორმებში იმოქმედოს.

***— ყოფილმა სპიკერმა განაცხადა, რომ სახალხო კრება მოქმედებას გააგრძელებს. როგორ ფიქრობთ, სახალხო კრება საპროტესტო მუხტს ისევ აწევს?***

— არც არასდროს არ ყოფილა ეს მუხტი და ვერც ვერასდროს ვერ ასწევს. 21 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით რაც ხდებოდა, ეს არის ექსტრემიზმი, კრიმინალი და ამას სათანადო პასუხი გასცა სახელმწიფომ. თუ ჩანაწერებს გადავხედავთ, მივხვდებით, რაზეც იყო საუბარი და რაც იგეგმებოდა.

***— ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ეს ჩანაწერები სიმართლეს არ შეესაბამება, დამონტაჟებულია და კონტექსტიდან ამოგლეჯილი?***

— ყველა კარგად ისმენდა მიტინგზე გაკეთებულ განცხადებებს — ვნახავთ, ვინ ვის მოერევა, აბა, მოგვერიეთ. მსოფლიოს ნებისმიერი მიტინგი ნახეთ, არსად, თითოეული ადამიანი ხელკეტით არ დგას, პირბადე არ უკეთია და ხელჯოხთან ერთად ფარი არ უჭირავს. ეს სპეციალურად იყო გაკეთებული. კიდევ ერთი მომენტი იყო — შეიარაღებული ადამიანების დაკავება. ეს ყველაფერი რომ განვითარებულიყო, მათი მისწრაფება იყო, მოეხდინათ ის, რაც ხდებოდა 25 თებერვალს. ანუ 25 მაისი უნდა გამხდარიყო 1921 წლის 25 თებერვალი. წლევანდელი წელი არის დამოუკიდებლობის 20 წლისთავი, აგრეთვე გასაბჭოების 90 წლისთავი. ამ გასაბჭოებაზე ჰქონდათ ორიენტაცია აღებული. ეს არის მენტალური პრობლემა, რომელიც არსებობს ამ ადამიანებსა და საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებს შორის.

***— საქართველოს ხელისუფლებამ აქციის დაშლის დროს ძალას გადაამეტა, ასეთი შეფასებები გააკეთეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა და აშშ-ს ელჩმა საქართველოში. კონკრეტული ფაქტების გამოძიება მოხდება თუ არა და ვინმე დაისჯება თუ არა სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლებიდან?***

— ყოველი დასკვნა კეთდება სიუჟეტიდან გამომდინარე და არა სიღრმისეული ანალიზიდან გამომდინარე. თუ გავიაზრებთ, რეალურად რა ხდებოდა, ზოგიერთი აპირებდა გრუ-ს სპეცნაზის გამოყენებას, რომელიც 20 კილომეტრის დაშორებით დგას, თანაც არსებობს ჩანაწერი, რომ სწორედ ამის გამოყენებაზეა საუბარი, შემდეგ შეიარაღებული ფორმირებები ჩანს, ყველა ის ადამიანი ჩანს, რომელიც გაქცეულია და მოსკოვს თავს აფარებს. ამ კონტექსტიდან გამომდინარე არ აკეთებენ ეს არასამთავრობო სტრუქტურები დასკვნას, ისინი აკეთებენ უშუალოდ მიტინგთან დაკავშირებით დასკვნას. არ შეიძლება ეს ორი რამ ერთმანეთს მოსწყვიტო.

***— აქციის ჩვეულებრივი მონაწილეების მიმართ იყო თუ არა ძალა გადამეტებული და გამოიძიებენ თუ არა ამას სამართალდამცავები?***



— ერთია, რეალურად რა ხდება და მეორეა, უშუალოდ სახელმწიფოს მიდგომა საკითხებისადმი. ჩვენ ყველას უნდა ავუხსნათ, რა ხდებოდა და რისთვის იყო ეს მიტინგები. ამ ფონზე უნდა იქნეს შეფასებული, შეიარაღებული ძალა როგორ იქნა გამოყენებული. თუ ევროპულ სტანდარტზე ვისაუბრებთ, რომ აქციაზე იყო 500 ადამიანი და ამას სჭირდებოდა მხოლოდ ათასი სამართალდამცავი, ეს ამ კონტექსტს არ შეესაბამება. აქციაზე საუბრობდნენ იმაზე, რომ სახალხო კრება ხალხის მიერ არჩეულია, ლაპარაკებოდნენ, რომ კონსტიტუციის მუხლების გამოყენების უფლება აქვთ და შეუძლიათ დაამხონ, შეცვალონ საქართველოს ხელისუფლება. ეს იყო შემზადება იმისთვის, რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლა მომხდარიყო ძალადობრივი მეთოდებით. ისინი ამბობდნენ, რომ არჩევნების გზით არ აპირებენ ხელისუფლების შეცვლას. რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს, ყველას მითითების გარეშე ამას გააკეთებს შინაგან საქმეთა სამინისტრო რომ ეს ფაქტები იქნეს გამოკვლეული.

***— ეს უბრალოდ ზედაპირული განცხადება ხომ არ არის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების გული მოიგოთ?***

— ეს არ არის ზედაპირული განცხადება, სახელწიფოს სჭირდება, თავისთვის გააკეთოს დასკვნა, სხვა შემთხვევაში რა იყო ზედმეტი, რა იყო ნაკლები და რა — ნორმალური. რეალურად წარმოიდგინეთ, რა ხდებოდა, სპეცნაზის თვალწინ ესკორტმა გადაჯეგა ადამიანები და ამის შემდეგ პოლიციელები დაიძრნენ მიტინგის დასაშლელად.

***— რაც შეეხება ჟურნალისტებისა და ჩვეულებრვი მოქალაქეების ცემას, ისინიც რომ არიან ნაცემი?***

— ჩვეულებრივი მოქალაქეები იქ თითქმის არ იყვნენ, ყველა თითქმის მოტივირებული იყო და ხელჯოხებით იდგა. ხშირად ამბობენ, რატომ არ იქნა მოლოტოვის კოქტეილები გამოყენებული? წვიმის გამო ვერავინ ვერ იყენებს მოლოტოვის კოქტეილს. კარგი გაგებით რომ ვთქვათ, ბუნებამაც უშველა, რომ სიტუაცია რეალურად არ დამძიმდა. თორემ წარმოიდგინეთ, ერთი ადამიანი მაინც რომ დამწვარიყო.

***— მაისის აქციების დროს არ ჩანდა ზურაბ ნოღაიდელი. თქვენი აზრით, ამ პროცესებში ნოღაიდელის აქტიურობა ნული რატომ იყო?***

— ვერ გეტყვით, ამათი რეიტინგი მერყეობს ნულიდან ორ პროცენტამდე.

***— ვისი?***

— ყველასი: ნოღაიდელის, ბურჯანაძის, კიწმარიშვილის, ყველასი ერთად არის ნულიდან 2%-მდე. სოციოლოგიაში ეს ითვლება ცდომილების ფარგლებად, რადგან 2% გაქვს ან არა გაქვს. ანუ მათი პროცენტული მაჩვენებელი ხალხში არის ნულის ტოლი. რომელიმეს ეტყოდნენ, რომ გამოსულიყო და რომელიმეს მომავლისთვის დატოვებდნენ, თუმცა, მათი პოლიტიკური წონა ნულის ტოლია. როგორც პოლიტიკურად მკვდარ იგორ გიორგაძეს მუდმივად გამოაჩენენ, შესაძლოა, ასე გამოაჩინონ ვიღაც. რა კომბინაციებს დათვლის კრემლი, არ ვიცი. მთავარია, რომ ამ გათვლებს საქართველოში რეალიზება არ მოჰყვება, რა მნიშვნელობა აქვს, იქ რას ითვლიან. სინამდვილეში იქაც მიდის ფულის გათეთრება, სპეცსამსაუხრები კრემს ფულსართმევენ, ნაწილ ფულს ამათ აძლევენ და ნაწილს იქ იტოვებენ, აწყობილი ბიზნესსტრუქტურაა. ამ ბისზნესსტრუქტურის ფარგლებში ხან ერთი ადამიანი ჩაჯდება, ხან — მეორე. ეს სტუქტურა იყო კომუნისტების დროს. მაგალითად, საქართველოდან ეტყოდნენ, რომ ხიდს ავაშენებთ, მოსკოვი ფულს გამოყოფდა, ნაწილს ქართველი ინჟინრები შეჭამდნენ, დიდი ნაწილი მოსკოვში რჩებოდა.

***— ადრე სულ იგორ გიორგაძის ფაქტორზე იყო საუბარი, ახლა თემურ ხაჩიშვილი გამოჩნდა. თემურ ხაჩიშვილი ამ მიტინგების დროს გადამწყვეტ როლს ასრულებდა?***

— ყველამ ნახა ჩანაწერები, სადაც ის ადამიანი საუბრობს, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა თემურ ხაჩიშვილს. ეს არის ჩვეულებრივი კრიმინალი, ორი სასჯელი აქვს მოხდილი, სანამ ჯაბას დროს მინისტრი გახდებოდა. მაშინ ასეთ ცხოვრებაში ვცხოვრობდით. წარმოიდგინეთ, მათთვის ეს ცხოვრება აღარ დაბრუნდება. მათთვის ცხოვრების დაბრუნების ერთადერთი გზა არის იარაღი, ხელკეტი, არეულობა.

***— რუსეთმა თემურ ხაჩიშვილზე რატომ გააკეთა აქცენტი?***

— ხაჩიშვილი რომ ჩაფლავდა, ახლა გიორგაძე იძლევა ინტერვიუებს და ამბობს, რომ ამათ პროექტი ჩააგდეს. გიორგაძე კრემლს თავის თავს სთავაზობს, რომ მისი მეშვეობით მოხდეს საქართველოში რაღაცების გაკეთება. ასევე იქცევა ირაკლი ოქრუაშვილი. რაღაც ფილმებში გამოდის, სადაც ყველაფერში ეთანხმება რუსებს, რასაც შეუკვეთენ და მათ საამებლად ყველაფერს იტყვის. ეს ადამიანი ვინ არის? ეს ის ადამიანია, რომელიც ამბობდა, რომ ცხინვალში შედიოდა, ეს ის ადამიანია, რომელიც რუსეთს ფეკალიებს უგზავნიდა. უცებ, ეს ადამიანი რუსეთისთვის ყველაზე მისაღები გახდა, რომელიც რუსეთიდან ლანძღავს ამერიკას. ყველაფრის თქმა შეუძლია. ეს არის იაფფასიანი ადამიანების სტილი.

***— ოქრუაშვილი ვინ დააკავშირა რუსეთთან, როგორ გახდა ის რუსეთისთვის მისაღები?***

— ვერ გეტყვით. ეს როგორ კეთდება და რა მეთოდებით, არ ვიცი, რადგან მათ მუშაობას არ ვიცნობ.

***— უმრავლესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა ნინო ბურჯანაძეს შესთავაზა, რომ აფხაზეთში საპრეზიდენტო სავარძელი ვაკანტურია და კენჭი იყაროს. თქვენ რას იტყვით?***

— ნინო ბურჯანაძეს გაუჭირდება, იმ თვალსაზრისით, რომ აფხაზეთში ძლიერი კონკურენციაა და შამბა, ანქვაბი, ბუთბა და ასე შემდეგ მარტივად არ დათმობენ. თუმცა, ბურჯანაძეს მონაწილეობის მიღება შეუძლია.

***— აფხაზეთის ე. წ. კანონმდებლობით მონაწილეობის მიღება შეუძლია?***

— აფხაზეთის ე.წ. კანონმდებლობით მონაწილეობის მიღება არ შეუძლია, მაგრამ სურვილის შემთხვევაში, თუ დასჭირდათ, რუსები იმ წუთში გააწერინებენ კონსტიტუციას. როგორც ვიცი, სეპარტისტების კანონით კანდიდატი აფხაზეთში უნდა ცხოვრობდეს რამდენიმე წელი.

***— რაც შეეხება ბაღაფშის შემცვლელს, მასზე რას იტყვით?***

— მომავალში ვინც იქნება ბაღაფშის შემცვლელი, მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იქ აფხაზებისთვის არაფერი არ კეთდება. წარმოიდგინეთ, ბაღაფშს რომ პრინციპულად დაეყენებინა საკითხები, რომ თვითმყოფადობას საქართველოსთან ერთად შეინარჩუნებენ, კონკრეტული ნაბიჯები რომ გადაედგა, ის იქნებოდა ეროვნული გმირი. იგივე სიკვდილითაც რომ დაემთავრებინა, ეროვნული გმირი იქნებოდა და ემახსოვრებოდათ არა მარტო აფხაზებს, არამედ მსოფლიოს, ადამიანი, რომელიც დაუპირისპირდა საბჭოთა სოციალისტურ სისტემას. ვისაც დასვამს კრემლი, მარიონეტს, მნიშვნელობა არა აქვს.

***— ვის და ვის შორის იქნება ძლიერი კონკურენცია?***

— არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყველა ამ კანდიდატს რუსეთში პატრონი ჰყავს. ვიღაცას პარლამენტი ლობირებს, ვიღაცას — ფეესბე, ვიღაცას — პრეზიდენტის აპარატი, ვიღაცას — პრემიერის მრჩეველი. ამ სიტუაციაში ვინც გადაწონის, ის გახდება აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი.

***— ბუნებრივია, რომ რუსეთში პუტინის ფრთაა ძლიერი და ამ შემთხვევაში მათი ფავორიტი გაიმარჯვებს?***

— ალბათ ასე იქნება. ის, ვინც გაიმარჯვებს, მაინც იმას გააკეთებს, რა შეკვეთასაც რუსეთი მისცემს. ხაჯიმბას და ბაღაფშის წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამბობდნენ, რომ ბაღაფში გახდებოდა ვითომ აფხაზების ინტერესების გამომხატველი. ბაღაფშმა ყველაფერი რუსებს დაუთმო. დღეს პროაფხაზურად ითვლება ხაჯიმბა. მაშინ, აფხაზების „ეროვნული“ მოტივაციით ბაღაფში გავიდა და რა გააკეთა? მიწების გაყიდვა, სამხედრო ბაზების დაკანონება, ყველაფერი გააკეთა, რაც რუსებმა უთხრეს.

***— თუ რუსეთი აფხაზეთში თავის ფავორიტს დასვამს ე.წ.პრეზიდენტად, აფხაზ ხალხში ეს რუსეთისადმი დამოკიდებულებას არ შეცვლის?***

— ეს ყოფით დონეზე ადრეც არსებობდა და ახლაც იარსებებს. წარმოიდგინეთ, აფხაზეთში დგას იმდენი ჯარი, რამდენი აფხაზი მამაკაციც იარაღის ხელში ამღები არსებობს. როგორ უნდა გაუწიონ წინააღმდეგობა? ვინმე თუ გამოჩნდება გამოჩენილი, ან მოაშორებენ, ან მოქრთამავენ, ან მოსკოვში გადაიყვანენ. ჩვენ საერთაშორისო დონეზე ვამბობთ და ყველას მოვუწოდებთ, მოხსენით აფხაზეთში დაძაბულობა საოკუპაციო რეჟიმის სახით, რათა აფხაზებს უფლება მიეცეთ, ის ილაპარაკონ, რაც უნდათ.

***— აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში პროქართული კანდიდატი არ არის?***

— ვერ იქნება. შიგნით ადამიანურად ყველა გრძნობს და კარგად იციან ისტორია, რომ მათი გადარჩენის ერთადერთი საშუალება ქართველებთან ერთად ყოფნაა. 40%-ს შერეული ოჯახები ჰყავდა, ბაღაფშის ცოლი ქართველი იყო.

***— თავის დროზე, საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს იმედი ჰქონდა, რომ ბაღაფში პროქართულ პოლიტიკას გაატარებდა?***

— ეს ფუჭი იმედი იყო. მე მაშინაც ვამბობდი და დღესაც ვიმეორებ, რომ ეს ფუჭი იმედები იყო, რადგან არ შეიძლება იქ პროქართული პოლიტიკა ვინმემ გაატაროს იმ დროს, როდესაც რუსეთიდან სრულ კონტროლს ექვემდებარებიან.

***— რამდენად სამართლიანი არჩევნები ჩატარდება აფხაზეთში და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები თუ დაესწრებიან თვითმარქვია არჩევნებს?***

— ეს არ არის არჩევნები, ეს არის მარიონეტული რეჟიმის დანიშვნის პროცესი, რომელსაც სახელად ერქმევა ე.წ. არჩევნები. ამას არ სცნობს არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია. თუმცა, სცნობენ ისეთი „სერიოზული“ სახელმწიფოები, როგორიც არის ნაურუ, ნიკარაგუა, ვენესუელა და დამკვირვებლებიც იქიდან ჩავლენ.

## ირაკლი ალასანიას პარტიამ „მშვიდობის ხიდზე“ მდუმარე აქცია გამართა

„თავისუფალმა დემოკრატებმა“ 26 მაისის რუსთაველის გამზირზე გამართული აქციის დაშლის მეთოდები გუშინ კიდევ ერთხელ გააპროტესტეს.

ირაკლი ალსანიას პარტიის წარმომადგენლებმა და მხარდამჭერებმა „მშვიდობის ხიდზე“ მდუმარე აქცია გამართეს და რამდენიმე მეტრიანი პლაკატი გამოფინეს, წარწერით „მახსოვს 26. ძალადობა დაისჯება“.

აქციის მონაწილეების განცხადებით, მათი მიზანია, რომ საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ შეახსენონ, 26 მაისს ხელისუფლების მიერ საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაული.

აქციის მონაწილეების განცხადებით, “თავისუფალი დემოკრატები“ მსგავსი ტიპის ღონისძიებებს პერმანენტულად გამართავენ.

**მედიანიუსი**

# რა შედეგებს მოიტანს საქართველოში რევოლუციის აჩრდილის დაბრუნება

თეა მარხვაი ე

**საქართველოში ალბათ კიდევ დიდი ხნის მან ილზე ისაუბრებენ მაისის სისხლიან დღეებზე. დღეებზე, რომლებმაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ათეულობით ადამიანი კი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. ოფიციალური თბილისი ამტკიცებს, რომ მაისის მოვლენების უკან რუსეთი იდგა. ქართველი ჩინოსნების აზრით, კრემლის ბოროტი ალები ცდილობდნენ საქართველოში „რაგატკების“ რევოლუციის მოწყობას.**



მაისური აურზაური ბევრმა ექსპერტმა შეაფასა. სამაისო ამბები აშშ-ს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის წარმომადგენელმა სერგეი მარკედონოვმაც შეაფასა. მისი შეფასება „OpenDemocracy“-იმ გამოაქვეყნა. მისი ქართული თარგმანი კი საიტმა „ფორეინპრესმა“ შემოგვთავაზა.

სერგეი მარკედონოვის, თქმით მაისის თვეში საქართველოში რევოლუციის აჩრდილი ისევ დაბრუნდა.

მარკედონოვმა შეუფასაბელი არც საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის პოზიციების ცვალებადობა დატოვა. ეს უკანსკნელი გვპირდებოდა, რომ სააკაშვილის რეჟიმს 25 მაისს დაასრულებდა. 24 მაისს კი მოულოდნელად დაგვიბარა აღარ ჩამოვალო. მიზეზად კი ნინო ბურჯანაძე და მისი სახალხო კრება დაასახელა. რომელიც თავის მხრივ თავად აპირებდა ხელისუფლების შეცვალას.

მარკედონოვი ხელისუფლების თვალით დანახულ სამაისო გამოსვლებასაც აფასებს. ის ირონიულად აღნიშნავს, რომ ნაციონალებმა ამ ამბების უკან კრემლის ხელი დაინახეს.

— რიგით ქართველებს შორის მოვლენების ეს ვერსია ყველაზე პოპულარულია, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ოპოზიციის მასობრივი გამოსვლების წინა დღეს საქართველოს პარლამენტმა ერთბაშად სამივე მოსმენით რუსეთის იმპერიის მიერ 1763-1864 წლებში ჩადენილი ჩერქეზების გენოციდი ერთხმად აღიარა, — მიიჩნევს მარკედონოვი.

მისი მტკიცებით, ამ გადაწყვეტილებას ჩერქეზთა საკითხთან თითქმის არაფერი არ აკავშირებს.

— თბილისი ჩრდილოეთ-კავკასიის რუკას□მოსკოვისთვის სამაგიეროს გადახდის იარაღად იყენებს და გენოციდის აღიარება პასუხია აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობაზე, — მიაჩნია ექსპერტს.

## ქვეყანა, სადაც ხელისუფლება მშვიდობიანად არ შეცვლილა

ჩვენებური ოპოზიციური რვიანის შესახებ ყველას მოეხსენება. ისინი ალასანიას სიტყვებით თუ ვიტყვით ხარისხიან ოპოზიციას წარმოადგენენ. ჰოდა ეს ხარისხიანი ხალხი ცდილობს, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით შეცვალოს. ამ მიზნის მისაღწევად საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად იტანჯებიან. რევოლუციურად განწყობილ ერს უმტკიცებენ, რომ რადიკალური მეთოდებით ხელისუფლების შეცვლა წარსულს უნდა ჩავაბაროთ.

ჩვენთან ხელისუფლების ცვლილება არჩევნების გზით მართლა არ მომხდარა. ეს ფაქტი ბუნებრივია არც მარკედონოვს გამოჰპარვია.

— ზოგადად, პოსტ-საბჭოთა საქართველოსთვის რევოლუციები და გადატრიალებები უცხო არ არის. ეს ერთადერთი სახელმწიფოა ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე, სადაც ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლა არ მომხდარა. დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თანამდებობა სამხედრო გადატრიალების, თბილისში პატარა სამოქალაქო ომის და სამეგრელოში დიდი ომის შედეგად დატოვა. მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე სკანდალური საპარლამენტო არჩევნების გამო გადადგა, რაც „ვარდების რევოლუციაში“ გადაიზარდა. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მას არჩევნების ფალსიფიკაციის აჩრდილი მას შემდეგ დასდევს, რაც 2008 წლის იანვარში, მეორე საპრეზიდენტო კამპანიის დროს საქართველოს ცსკო-მ ხმები საეჭვოდ დაითვალა, ხოლო მის მიერ ინიცირებულ კონსტიტუციურ რეფორმას (რომელიც გულისხმობს ძალაუფლების გადანაწილებას პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ) ქვეყანაში ბევრი „პუტინის სცენარის“ ვარიაციად განიხილავს, რომლის პირობებშიც სააკაშვილი მშვიდად გადაინაცვლებს მთავრობის ხელმძღვანელის სავარძელში. ასეთი ვარიანტი თავად მოქმედ პრეზიდენტს (ყოველ შეთხვევაში, ჯერჯერობით) ბოლომდე არ უარყვია. შესაბამისად ხელისუფლება მომავალშიც განაგრძობს არალეგიტიმურობის ტვირთის ზიდვას, — წერს მარკედონოვი.

მისი თქმით, თუმცა დღევანდელი მასობრივი აქციები შესამჩნევი სხვაობებით გამოირჩევა. 2009 წლის გაზაფხულის რევოლუციის აჩრდილი თითქოს სრულად გაქრა.

— 2010 წლის მაისში ხელისუფლებამ საქართველოს დედაქალაქის მერის პირველ პირდაპირ არჩევნებში გაიმარჯვა (მერი გიგი უგულავა გახდა, რომელსაც ბევრი სააკაშვილის მემკვიდრის როლს უწინასწარმეტყველებს) და ადგილობრივ მუნიციპალურ მთავრობაზე კონტროლი დაამყარა. ამავდროულად სააკაშვილი საერთაშორისო არენაზე „მეორედ დაიბადა“, მას აქტიურად იწვევდნენ უცხოეთში და თავადაც სტუმრობდნენ სხვადასხვა დონის ამერიკელი და ევროპელი ლიდერები. თითქოს გარე სამყარომ გააცნობიერა, რომ არსებული ხელისუფლება საქართველოში მყარი და ხანგრძლივია, ოპოზიცია სუსტი და დანაწევრებული, შესაბამისად როგორც სჩანს არანაირი ცვლილება მოსალოდნელი არ არის, თუმცა არსად გამქრალა ხელისუფლებით უკმაყოფილება, მით უფრო მას შემდეგ (და ეს მანამდეც მომხდარა), რაც ხელისუფლებამ აშშ-ს და ევროპის პრაგმატული დასკვნები, მორიგ კარტ-ბლანშად აღიქვა. სწორედ ამის შედეგია გაუთვლელი ქმედებები და ზოგჯერ ავანტიურისტული გადაწყვეტილებებიც კი. მათ შორისაა, ავლანეთში ქართული კონტიგენტის გაზრდა და შესაბამისი მსხვერპლი ქართველ სამხედროებს შორის. ასევე ჩრდილოკავკასიური ავანტიურა, რომლის მიზანიც არა მხოლოდ რუსეთისთვის სამაგიეროს გადახდა, არამედ მისი იმპულსური და არა პროგნოზირებადი რეაქციის გამოწვევა იყო (რაც წარსულში არაერთხელ მომხდარა), რაც მოსკოვს და დასავლეთს (განსაკუთრებით აშშ-ს) ერთმანეთს დაატაკებდა. მთავარი ინიციატივა საშინაო პოლიტიკაში 2012-2013 წლების საარჩევნო ციკლის შემდეგ პრემიერის სასარგებლოდ ძალაუფლების გადანაწილება გახდა. ეს ზომები ხელისუფლებამ მაშინ განახორციელა, როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური ქარიშხალი ჩამდგარი იყო, რადგან 2010 წლის მაისის ადგილობრივ არჩევნებიდან ახალ საარჩევნო ბატალიებამდე დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთი რჩებოდა. ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ოპოზიცია მობილიზებას და რეფორმაზე მკვეთრი პასუხის გაცემას ვერ შესძლებდა. ოპოზიციის რადიკალურმა ელემენტებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს. ბურჯანაძემ გარისკა და მართალია ვერ გაიმარჯვა, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ სრულად დამარცხდა. მან უმალ მიაღწია პირდაპირ ეთერს. მისი მიტინგები აჩვენეს ორი საერთო ნაციონალური არხის ეთერში. პარლამენტის ყოფილი სპიკერის უდაო წარმატებად იქცა მისი თანამშრომლობა საქართველოს დედაქალაქში მოქმედ დასავლურ დიპლომატიურ კორპუსთან (ბურჯანაძის შეხვედრა საქართველოში საფრანგეთის ელჩთან ერიკ ფურნიესთან). ამით მან ერთმნიშვნელოვნად ხაზი გაუსვა იმას, რომ მისი მთავარი საზრუნავი დასავლეთის პოზიციაა და პრინციპში სხვა მოლოდინი ვერც იარსებებდა მიხეილ სააკაშვილის ყოფილ თანამებრძოლთან, ვარდების რევოლუციის ერთ-ერთ ლიდერთან და გარკვეულ პერიოდში ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან მიმართებაში. საეჭვოა მეორე არასისტემური ოპოზიციონერის ირაკლი ოქრუაშვილის პრორუსულობაც. თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების ყოფილი ხელმძღვანელი პირადადაა პასუხისმგებელი 2004 წლის ზაფხულში სამხრეთ-ოსეთის გაყინული კონფლიქტის გალღობაზე. ეს არის ადამიანი, რომელმაც პირობა დადო, რომ ახალ წელს ცხინვალში შეხვდებოდა და რუსეთის მცხოვრებლებს ფეკალიის მომხმარებლებს ადარებდა, — წერს ექსპერტი.

მართალია ჩვენში ოპოზიციის დიდი ნაწილი პრორუსულად არის მიჩნეული, მაგრამ სერგეი მარკედონოვს მათი პრორუსულობის არ სჯერა.

— საქართველოში როგორც არ უნდა განვითარდეს მომავალში სიტუაცია, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილის ჰიპოთეტური წასვლის შემდეგაც საეჭვოა ის, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი პრორუსული გახდება. ბურჯანაძის და ნოღაიდელის მოსკოვურმა ვიზიტებმა არავინ არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში — ოპოზიციის როლიც ხომ მთავრობის კრიტიკა და მის მოქმედებებში ხარვეზების ძებნაა. ტერიტორიული მთლიანობის და დასავლურ ქვეყნებზე და ინსტიტუტებზე ორიენტაციის მხრივ, ბურჯანაძეც და ოქრუაშვილიც მისი წინამორბედის კურსს განაგრძობენ. როგორც სჩანს (განსაკუთრებით ბურჯანაძის შემთხვევაში) ეს არ გაკეთდება ისე ხისტად და რუსეთთან პირდაპირი დაპირისპირების ფასად (აქედან გამომდინარეობს მისი მხრიდან მოსკოვში ნიადაგის მოსინჯვის მცდელობები), თუმცა როგორც არ უნდა იყოს, ამ მხრივ ილუზიები არავის არ უნდა ჰქონდეს. შესაძლებლობათა მაქსიმუმი საკრალური თემების პრაგმატულ სიბრტყეში გადატანა და რუსეთის ფედერაციის მიმართ დემონსტრაციულად მტრულ აქციებზე უარის თქმაა, — აღნიშნავს მარკედონოვი.

## სააკაშვილის კოზირები

ჩვენებური პოლიტიკოსების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი მალე ხელისუფლებიდან წავა. ამას ამტკიცებს როგორც კონსტრუქციული ასევე რადიკალური ოპოზიცია. რადიკალები ამას მას შემდეგაც ამტკიცებენ, რას სააკაშვილის და ვანოს ზონდერებმა კარგად მიუბეგვეს გვერდები.

მათგან განსხვავებით სააკაშვილის მალე წასვლისა არ სჯერა მარკედონოვს. ის ამ დასკვნას იმ კოზირების მიხედვით აკეთებს, რომლებიც მისი თქმით სააკაშვილს უკავია ხელთ.

სერგეი მარკედონოვის აზრით ეს კოზირებია:

*1. პატრიოტული მობილიზაცია*

ისტორიკოსებს ჯერ კიდევ მოუწევთ იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად რა მოსაზრებებმა უბიძგა საქართველოს პარლამენტს (სადაც მმართველი პარტია უმრავლესობას წარმოადგენს და აღმასრულებლის კონტროლის ქვეშაა) ჩერქეზების გენოციდის რეზოლუციის მიღებისკენ. ჩერქეზი აქტივისტების განაცხადი პარლამენტში ჯერ კიდევ გასული წლის მარტში შევიდა, მაგრამ ფეხები მას სულ რაღაც რამდენიმე დღეში მიაბეს და ოთხი საპარლამენტო კომიტეტის დასკვნის მიღების შემდეგ რეზოლუცია უმალ სამივე მოსმენით დაამტკიცეს. არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილის და მისი გუნდის აზრით, მოსკოვთან მორიგი დაპირისპირება მთავრობის პოლიტიკით და ეკონომიკური სიტუაციით უკმაყოფილო მოსახლეობის ყურადღებას გადატანის საშუალებაა. ეს კარტი კი მმართველებს მუდამ ხელთ აქვთ და მას საჭიროების მიხედვით იყენებენ.

***2. ოპოზიციას არ ჰყავს ერთი, უდაო ლიდერი***

ქართველ უკმაყოფილოთა რიგებში ძალიან ბევრი ყოფილი მაღალჩინოსანი მოგროვდა, რომლებსაც არა რაღაც აბსტრაქტული ცოდვები, არამედ კონკრეტული ნეგატივი აქვთ „ძველ ოპოზიციონერებთან“ ურთიერთობებში. ასეთ ტვირთთან განშორება ასეთ პატარა ქვეყანაში მარტივი არ არის.

***3. არ შეიძლება დასავლეთის მხარდაჭერის ფაქტორის გაუთვალისწინებლობა***

რა თქმა უნდა, საუბარი კონსპიროლოგიურ თეორიებზე არ არის, მაგრამ 2008-2011 წლებში სააკაშვილმა მრავალჯერ დაუმტკიცა აშშ-ს და ნატო-ს თავისი ერთგულება (ქართული მონაწილეობის გააქტიურება ავლანეთში ვაშინგტონის ევროპელი მოკავშირეების პასიურობის ფონზე) და დასავლეთს ძალიან არ უნდა, რომ საქართველოში ხელისუფლება კვლავ ქუჩის აქციებით შეიცვალოს, რადგან ასეთ შემთხვევაში ყველა იმედი დაკავშირებული წარმატებულ დემოკრატიულ ტრანსფორმაციასთან, უბრალოდ გაქრება.

## რა გამოჩნდა მაისის აქციების დროს

მაისის 5 დღიდან აშშ-ს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის ექსპერტს თავისებური დასკვნებიც გამოაქვს.

— რა დასკვნის გამოტანა შეიძლება 2011 წლის მაისის მოვლენებიდან? ჯერ ერთი ქართული სპეცრაზმელების უკიდურესი სისასტიკე და სააკაშვილის ემოციური რეაქცია, რომელიც შეთქმულების თეორიებზე ალაპარაკდა ღიად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტი ყველა შესაძლო მეთოდს მიმართავს იმისთვის, რომ როგორმე შეინარჩუნოს (ან გაიხანგრძლივოს) ხელისუფლებაში ყოფნა. პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ასეთი ძალის გამოყენება აშკარად წინასწარ განზრახული აქტი იყო, რომლის მიზანიც ნებისმიერი იმ ადამიანის დაშინება გახლდათ, ვინც რეჟიმის შეცვლას გაიფიქრებს. მეორეც, დასავლური საელჩოების ძალიან ფრთხილი რეაქცია თბილისის მოვლენებზე დიდ პოტენციურ საფრთხეს მოიცავს. 2008 წლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან მკაფიო სიგნალების არ არსებობას შეუძლია თბილისის რეჟიმის სრული მხარდაჭერის ილუზია შექმნას, მათ შორის მთავრობის ისეთ ანტი-დემოკრატიულ ქმედებებზეც, როგორიც ეს უკანასკნელი იყო. აქედან ერთი უხერხული კითხვა იბადება: კიდევ რა უნდა გაუკეთოს ოფიციალურმა თბილისმა საკუთარ მოსახლეობას, რომ დასავლური ქვეყნების პოლიტიკური კლასების დამოკიდებულება ამ „დემოკრატიის შუქურის“ მიმართ უფრო კრიტიკული გახდეს? მესამეც, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, რუსეთის ინტერვენცია ძალიან ნაკლებსავარაუდოა. იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს მომდევნო მმართველებს, იმ შემთხვევაშიც თუკი ისინი მოქმედი ოპოზიციის წარმომადგენლები იქნებიან, ფხიზლად გააცნობიერებენ საკუთარი ქვეყნის საზღვრებს. ყველა შემთხვევაში, ამ მიმართულებით ნებისმიერი რუსული ინიციატივა, მხოლოდ დაადასტურებდა დასავლეთის ეჭვებს 2008 წელს კრემლის რეალურ განზრახვებზე, — მიიჩნევს მარკედონოვი.

## ქრისტიან-დემოკრატები გიორგი ალიმონაკის გათავისუფლებას ითხოვენ

ქრისტიან- დემოკრატიული მოძრაობა პატიმარ გიორგი ალიმონაკის გათავისუფლებას და სააპელაციო სასამართლოს სამი მოსამართლის მიმართ დისციპლინარული დევნის დაწყებას ითხოვენ.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრმა თამაზ ბაკურაძემ განაცხადა, გიორგი ალიმონაკი 2006 წლის 18 აგვისტოდან იხდის სასჯელს არ ჩადენილი დანაშაულისათვის, კერძოდ კი, კუს ტბაზე ზურაბ დემეტრაშვილის მკვლელობისათვის.

მისი თქმით, სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს გიორგი ალიმონაკის მხრიდან განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურ ჩადენას, მუქარას და ასევე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებას.

— ჩვენ მოვითხოვთ ალიმონაკის საქმეში მონააწილე სააპელაციო სასამართლოს სამი მოსამართლის — ლომთათიძის, ჭანტურიძის და ხოლოაშვილის მიმართ დისციპლინარული დევნის დაწყებას. ასევე პროკურატურამ ხელახლა ჩაატაროს აღნიშნული საქმის გამოძიება და ბოლოს, საჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება პატიმრის განთავისუფლების შესახებ, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ციხეში ყოფნის პერიოდში საგრძნობლად გაუარესებულია, — განაცხადა ბაკურაძემ.

როგორც გიორგი ალიმონაკის ადვოკატმა მანანა კობახიძემ განაცხადა, ალიმონაკის ოჯახმა მისი განთავისუფლების მოთხოვნით შეწყალების კომისიას უკვე რამდენჯერმე მიმართა, მიუხედავად იმისა, რომ არჩადენილი დანაშაულის გამო შეწყალების მოთხოვნა პარადოქსია.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზურაბ დემეტრაშვილის მოკვლის მიზეზი ჰქონდა არა გიორგი ალიმონაკს, არამედ გაგა არზიანს, ვინაიდან მოკლული მისი ყოფილი ცოლის ნინო დემეტრაშვილის ახლო ნათესავია. საქმეში ალიმონაკის საწინააღმდეგო მტკიცებულებას წარმოადგენს თავად გაგა არზიანის ჩვენება, რომელიც მიუთითებდა, რომ გასროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან თითქოს განახორცილა ალიმონაკმა. თუმცა სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნდა გაგა არზიანის განცხადება საქართველსო პრეზიდენტისა და სხვა თანამდებობის პირებისადმი, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებული მიუთითებდა, რომ მასზე ზეწოლას ახორციელებდა პროკურორი და ჰპირდებოდა, რომ გაუკეთებდა საპროცესოს და გაუშვებდა ციხიდან თუ იტყოდა, რომ ალიმონაკმა მოკლა დემეტრაშვილი. გარდა ამისა, პოლიციელების ჩვენება ადასტურებდა იმას, რომ იარაღი, რომლიდანაც გასროლა მოხდა, მკვლელობის შემდეგ ჰქონდა გაგა არზიანს და არა გიორგი ალიმონაკს. თუმცა სასამართლომ ეს ყველაფერი არ გაითვალისწინა.

ცნობისთვის: აღნიშნული საქმეს უკვე განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

**მედიანიუსი**

# საქართველოში დაპატიმრებები გაგრძელდება

## ხელისუფლება ხალხისგან საკადრის პასუხს მიიღებს!

ნონა ცაბა ე



**ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან**

*— ქალბატონო ნანა, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი, ალბათ, თქვენ გაცილებით მეტ ინფორმაციას ფლობთ იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ის ადამიანები, რომლებიც 25-26 მაისს დააკავა ხელისუფლებამ...*

— ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია იმაზე, რომ ხელისუფლება დაკავებულ პირთა და არა მარტო მათ მიმართ მიმართავს ძალადობას, ცემას, წამებასა და ღირსების შემლახავ მოპყრობას. თუმცა, ეს დაკავება, რომელიც განხორციელდა 25-26 მაისს და დღემდე გრძელდება, განსაკუთრებით აღსანიშნავია, იქიდან გამომდინარე, რომ ამ ადამიანების მიმართ განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენს ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ გახმაურებულია ეს შემთხვევა და თითქმის მთელი საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის არის ცნობილი, რომ ხელისუფლებას ამ მიტინგის დარბევის შედეგად ჰყავს გარდაცვლილები, სულ მცირე, 4 ადამიანი, არიან უგზო-უკვლოდ დაკარგულები და ეს ფაქტები ცნობილია, ხელისუფლება ამ წუთამდე არღვევს მათ უფლებებს და მათთან არ უშვებს ადვოკატებს. მათი აბსოლუტური უმრავლესობისთვის არ არის ხელმისაწვდომი ადვოკატის მომსახურება.

*— რა მოტივით?*

— არის ეჭვი, რომ ადამიანები, რომლებთანაც საერთოდ არ უშვებენ ადვოკატებს, არიან სასტიკად ნაცემნი და ხელისუფლებას არ სურს დამატებითი ინფორმაციების გავრცელება. თუმცა, არსებობს ინფორმაცია, რომ ამ ადამიანებს დღემდე სცემენ, ურტყამენ და იქ მიდის სადამსჯელო ოპერაცია. ეს არ არის ჩვეულებრივი დაპატიმრება და ჩვეულებრივ რეჟიმში პატიმრების ცემა-წამება. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ცემა და წამება პენიტენციური სისტემის მართვის ფორმაა დღევანდელი ადმინისტრაციისთვის, მაგრამ ეს კიდევ უფრო განსაკუთრებულია იმით, რომ მათ სცემენ არა იმ რეჟიმში, რომელსაც პენიტენციური რეჟიმის მართვის ფორმა ჰქვია, არამედ — განსაკუთრებულ რეჟიმში, რომელსაც მათი სამაგალითოდ დასჯა ჰქვია. გაუგებარია მხოლოდ ერთადერთი რამ...

*— რა გაქვთ მხედველობაში?*

— რაში სჭირდებოდა ხელისუფლებას ასეთი სადამსჯელო ღონისძიების ჩატარება რიგითი მოქალაქეების წინააღმდეგ. მთავარი პრობლემა ის არის, რომ მიუხედავად ხელისუფლების ასეთი ქმედებებისა, მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ შეძლო, ეთქვა სიმართლე. არ ხდება ამ მოვლენის ადეკვატური ასახვა საერთაშორისო დონეზე.

*— რატომ ხდება ასე? ბევრს ეგონა, რომ სერიოზული რეზონანსი მოჰყვებოდა ამას...*

— მე ვფიქრობ, რომ დასავლეთმა პრიორიტეტად აიღო არა ღირებულებების ხელყოფა ხელისუფლების მხრიდან, რადგან მათ მართლაც რომ ხელყვეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და ადამიანის უმთავრესი უფლება — სიცოცხლის უფლება, არამედ, პრიორიტეტად აიღეს პოლიტიკური შეხედულებები. ნინო ბურჯანაძე წარმოადგენს პრორუსულ ძალას, ვინაიდან ხელისუფლება ასე თვლის, ჩემი აზრით, ამიტომ არ ხდება მოვლენების ადეკვატური შეფასება. ეს არის ძალიან დიდი შეცდომა და, მე ვიტყოდი, დანაშაული, რომ ხელისუფლებას ამის გამო არ აკრიტიკებენ ისე და არ ექცევიან ისე, როგორც ეს არის საჭირო და როგორ შეფასებასაც იმსახურებს ეს მოვლენები. იქ იყვნენ ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები და, თუნდაც რომ ყოფილიყვნენ პოლიტიკურად ანგაჟირებულები, როგორ შეიძლება, ხელისუფლება მოეპყრას საკუთარ ადამიანებს ისე, როგორც ის მოეპყრა ამ მიტინგზე. ეს არ იყო მიტინგის დაშლა. ეს იყო პირდაპირი ანგარიშსწორება განსხვავებული აზრის გამო. ეს იყო პირდაპირი ანგარიშსწორება იმისათვის, რომ ისინი იდგნენ იმ მიტინგზე, სადაც იდგა ნინო ბურჯანაძე, ანუ სადამსჯელო ღონისძიება იყო ასეთი ადამიანების წინააღმდეგ და, როგორ შეიძლება, ამას არ ჰქონდეს ადეკვატური ასახვა, აბსოლუტურად გაუგებარია ჩემთვის.

*— გავრცელდა ასეთი ინფორმაციაც, რომ სამართალდამცავ ორგანოებს კიდევ დასაკავებელი ადამიანების სია აქვთ და დღემდე მიმდინარეობს აქციაში მონაწილეების დაკავება...*

— დღემდე მიმდინარეობს დაკავება-დაპატიმრებები და იმ ადამიანების მიმართაც, რომლებიც უკვე გასამართლებული არიან ადმინისტრაციული სასჯელებით, მისჯილი აქვთ ფულადი ჯარიმები, მიმდინარეობს რეპრესიები. მათაც იბარებენ დღემდე პროკურატურასა და სხვადასხვა ორგანოებში და მიმდინარეობს ამ ადამიანების დაშინება და დამუშავება.

*— ხელისუფლება აქტიურად საუბრობს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას ჰქონდა ადგილი. დღემდე ეწევიან მათ მიერ კონტროლირებადი არხებით მსგავს პროპაგანდას. რამდენად იყო ეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა?*

— ის, რაც ტრიალებს ამ არხებზე, მოკლებულია ყველანაირ დამაჯერებლობას, რომ აღარაფერი ვთქვათ იურიდიულ მტკიცებულებებზე. თუნდაც ის, რომ მონასტერში აიყვანეს 25 ადამიანი და აცხადებენ ჩვენებებში, უნდა ჩამოვსულიყავით და დავხმარებოდით ნინო ბურჯანაძესო, რა ეტაპზე უნდა დახმარებოდა ეს ხალხი? რა ეტაპზე გეგმავდა ამ დახმარებას, როდესაც 21-დან 26-მდე მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები. 25-ში ღამე მოხდა უსასტიკესი დარბევა. ეს ადამიანები არ ჩამოსულან და არ დახმარებიან ბურჯანაძეს, ანუ ის, რაც ყოფილა თურმე მათი მთავარი მიზანი და როდისღა უნდა დახმარებოდნენ, ჩემთვის გაუგებარია. არადამაჯერებელია ყველაფერი ის, რაზეც დღეს ხელისუფლება აპელირებს. რომც ეს ასე ყოფილიყო, რა შუაში იყო ხალხი?! თუ ჰქონდა ხელისუფლებას რაიმე მტკიცებულება ამ ლიდერებისა და სხვა პირთა წინააღმდეგ, მომხდარიყო ამის გაუვნებელყოფა, რა საჭირო იყო ადამიანების ჩახოცვა, ცემა, წამება, რა კავშირი ჰქონდა ამ ორ თემას ერთმანეთთან?! ადამიანები იქ მივიდნენ თავიანთი პრობლემების გამო, ისინი კი ჩახოცეს, ცემეს, დააპატიმრეს. მოეხდინათ ამ ჯგუფის დაპატიმრება, გაუვნებელყოფება და აღარ იქნებოდა საჭირო დარბევა, მიეცემოდა ხალხს სიტყვის თქმის უფლება. ალოგიკურია ამის იმით ახსნა, რომ იქ ვიღაცა სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა. თუ ხელისუფლებამ ეს იცოდა, მაშინ რატომ არ მიიღო სათანადო ზომები თავის დროზე და რატომ მიიყვანა ყველაფერი აქამდე?!

*— გაკეთდა შეფასებები, რომ ხელისუფლება ამით მის მიერ გამოვლენილი სისასტიკის გადაფარვას ცდილობს. ასეა?*

— ბუნებრივია. ეს არის მხოლოდდამხოლოდ ხელისუფლების მხრიდან თავისი საქციელის გამართლების საბაბი, თუმცა, ამ შემთხვევაშიც ვერანაირად ვერ გამოდგება იმის საბაბად, რომ მას ხელეყო იქ ადამიანის ღირსება, ადამიანის სიცოცხლე და გამოხატვის თავისუფლება, რომელი ღირებულებებიც ფეხქვეშ გათელა ხელისუფლებამ.

*— გაჩნდა ეჭვები, რომ ის ჯგუფი, რომელიც ყინწვისში აიყვანეს, შემდეგ გაჩნდა ამდენი ფარული ჩანაწერი და კომპრომატი, რომ ეს ჯგუფი ხელისუფლების დავალებას ასრულებდა და ბევრი მათგანი აგენტად იყო ჩასმული სახალხო კრებაში...*

— მე, რა თქმა უნდა, ექსპერტად ვერ გამოვდგები, რამდენი აგენტი იყო სახალხო კრებაში. მე ვსაუბრობ იმ ვიზუალურ მხარეზე, რომელიც ჩვენ ვნახეთ. ის იყო აბსოლუტურად არადამაჯერებელი. კიდევ ვიმეორებ, მონასტერში დაკავებული ადამიანები ამბობენ, რომ ისინი უნდა დახმარებოდნენ ნინო ბურჯანაძეს. რა ეტაპზე უნდა დახმარებოდნენ? როდის უნდა დახმარებოდნენ, როდესაც ხალხი სცემეს, აწამეს, ჩახოცეს და ისინი არ დაძრულან მონასტრიდან, არ ჩამოსულან დაბლა. ეს ფაქტი თავისთავად გამორიცხავს იმ ჩვენებების მართებულობას, რომელსაც ჩვენ ვუყურეთ.

*— რაც შეეხება იმავე თემურ ხაჩიშვილის ფაქტორს?*

— თქვენ იცით, რომ ხელისუფლებას უყვარს მტრის ხატების გამოგონება. ხან იგორ გიორგაძე ჰყავდა ასეთად, იგორ გიორგაძის თემას, ასე ვთქვათ, ყავლი გაუვიდა. მგელი მოდის, მგელი მოდისო, მაგრამ დავინახეთ, რომ არ მოდის ეს მგელი. ახლა რაღაცა ახალი მტრის ხატის ძებნას შეუდგა ხელისუფლება. გაიხსენა, რომ მოსკოვში არსებობს თემურ ხაჩიშვილი, რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არ გამოჩენილა, სიტყვა არ უთქვამს, არანაირ პროცესში არ ჩართულა და ახლა 7 წლის შემდეგ იღვიძებს თემურ ხაჩიშვილი და ინდომებს, რომ გადაატრიალოს ხელისუფლება. ჩემთვის ესეც საკმაოდ არადამაჯერებელია. თანაც ხაჩიშვილი უფრო სერიოზული ფიგურაა, ვიდრე ეს პროცესი გამოიყურება. აბსოლუტურად უაზრო სქემაა — სად ეს მიტინგი, სად ის პარტია, რომელიც მან შექმნა, რატომ უნდა დახმარებოდა, ან რა ურთიერთკავშირი არსებობდა ამ ყველაფერს შორის, ეს არაფრით არ დასტურდება. გარდა იმისა, რომ ხელისუფლებას ამისი სურვილი აქვს, რომ ეს ორი მოვლენა რაღაცნაირად ერთმანეთს დაუკავშიროს. ჩემი აზრით, ეს ახალი მტრის ხატია და ვნახოთ, ახლა რა შეიქმნება, რამდენად გამოდგება, რამდენად იმუშავებს ეს ახალი მტრის ხატი. თუმცა, მინდა ვთქვა, რომ იგორ გიორგაძის მტრის ხატმა კარგა ხანს იმუშავა და, სამწუხაროდ, მას უამრავი მსხვერპლიც ჰქონდა. იგივე თოფურია და თუნდაც სხვა პოლიტპატიმრები, რომლებიც დღეს ციხეებში არიან და აბსოლუტურად უსაფუძვლოდ, უსამართლოდ იხდიან სასჯელებს, ამ მტრის ხატის შექმნის თეორიას შეეწირნენ და დღესაც ციხეებში არიან. მათაც ბრალდებათ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და ახლა ეს მეორე ტალღა წამოვიდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობით, ოღონდ არა უშუალოდ იგორ გიორგაძის, არამედ ახალი მტრით — ეს არის თემურ ხაჩიშვილი.

*— თქვენ დასჯილ ხალხზე საუბრისას დასვით კითხვა, რა შუაში იყო აქ უბრალო ხალხიო. როგორ ფიქრობთ, ეს იყო მცდელობა, რომ საბოლოოდ დაეშინებინათ საზოგადოება, რათა მათ ვეღარ გაებედათ ასეთი სახით პროტესტის გამოხატვა?*

— არა მგონია, ხელისუფლებამ არ იცოდეს, რომ ხალხმა ძალიან კარგად იცის, რა ძალის გამომყენებელია და რაზეა წამსვლელი ეს ხელისუფლება. მას დამატებითი რეპეტიციები და დამატებითი მტკიცებულებები არ სჭირდება. იცის საზოგადოებამ, ვისთან აქვს საქმე და რა ხელისუფლება გვყავს. ის, რომ ამას მოჰყოლოდა შედეგი, რომ კიდევ უფრო დაშინებულიყო ხალხი, ასე არ აღმოჩნდა, იმიტომ რომ დარბევიდან მესამე დღეს თქვენ ნახეთ, ერთადერთი პრესკონფერენცია ჩატარდა მხოლოდ, სადაც მეც ვმონაწილეობდი და ამიტომ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ამ ერთადერთ პრესკონფერენციაზე გაჟღერებულმა ფრაზამ, რომ შევიკრიბოთ და პატივი მივაგოთ მიტინგზე დაღუპულ ადამიანებს, დარბეულებს და ასე შემდეგ, შეკრიბა უზარმაზარი რაოდენობის ხალხი, იმაზე მეტი, ვიდრე 21-ში ან 25-ში იყო. იმაზე მეტი ხალხი მოვიდა სწორედ ხელისუფლების დანაშაულზე. ეს იყო მართლაც ღირსების საკითხი. სხვა იყო ის, რომ 21-ში ადამიანები გამოვიდნენ თავიანთი პრობლემების გამო, თავიანთი გაჭირვების გამო, გამოვიდნენ თუნდაც იმიტომ, რომ იყვნენ რომელიღაც პარტიის ან გაერთიანების წევრები და აბსოლუტურად სხვა იყო ის, რომ ეს ხალხი გამოვიდა იქ არა საკუთარი პრობლემებისთვის, არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის თანადგომისთვის, არამედ გამოვიდნენ ხელისუფლების დანაშაულის და უმსგავსი ქმედებების გამო. იცით, ძალიან ცუდად იქნა აღქმული ალასანიას განცხადება, სხვა ხარისხის ადამიანები იდგნენ იქო, აქ სხვა ხარისხის ადამიანებზე არ ვიცი რამდენად შეიძლება იყოს ლაპარაკი, მაგრამ სხვა ხარისხის იყო ის გამოსვლა, რომელიც იმ დღეს მოხდა. ეს იყო აქცია, სადაც ადამიანები მივიდნენ საკუთარი ტკივილებისთვის, არამედ მივიდნენ ხელისუფლების კონკრეტული დანაშაულის გაპროტესტების გამო. მათ იცოდნენ, რომ შეიძლება ხელისუფლებას ანალოგიური ქმედება ჩაედინა, მაგრამ იქ მაინც მივიდნენ, იმიტომ რომ უთხრეს ხელისუფლებას, რომ შენ ხარ უღირსი და შენ ჩაიდინე ესა და ეს! ჩემთვის ეს იყო მართლაც ძალიან ამაღელვებელი დღე და მე ვფიქრობ, ეს იყო სერიოზული გალაწუნება ხელისუფლებისთვის, რომ კი არ დაშინდა საზოგადოება, არამედ, იმაზე მეტი გამოვიდა, ვიდრე ამ მიტინგებზე იყო. იმიტომ იყო სხვა ხარისხისა და სხვა მასშტაბის ეს დღე და ამას ნამდვილად სჭირდება სერიოზული გააზრება და დაფასება. ქართველმა ერმა იმ დღეს უთხრა ხელისუფლებას, რომ შენ ფეხქვეშ ვერ გათელავ ჩვენს ღირსებებს და ვერ მოახერხებ, ჩაკლა ქართული თავმოყვარეობა და ქართული გენი. ეს იყო ნათქვამი და მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო. ახლაც თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებმაც ხელისუფლებას ეს დაანახვეს.

*— როგორ ფიქრობთ რამდენად გაჰყვება ეს მუხტი საზოგადოებას და რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდეთ?*

— მუხტი არ ვიცი, რამდენად გაჰყვება, მაგრამ თვითშეგნება საზოგადოებისა როდესაც ასეთი მაღალია, ეს უკვე ძალიან დიდი იმედის მომცემია. ეს არის იმ იმედის მომცემი, რომ, იმ ბართლომეს ღამის მიუხედავად, იმ შიშის, იმ სისხლის, იმ გაზისა და ტყვიების მიუხედავად, საზოგადოებამ უთხრა ხელისუფლებას, რომ ეს არ არის ის 30-იანი წლები, როდესაც შენ შეძლებ საზოგადოებისთვის ენის ამოცლას, როდესაც შენ შეძლებ საზოგადოების დაჩოქებას. ეს არ არის ის საზოგადოება, რომელსაც დღეს შენ ასე მოექცევი! ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი დღე და კიდევ ვამბობ, რომ ხარისხობრივადაც აბსოლუტურად სხვა დარტყმა იყო ხელისუფლებისთვის. იმ დღეს სწორედაც რომ ვერაფერს გამოიყენებდა და ვერც გამოიყენა ძალა, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ უფრო მეტი ხალხი იყო. ეს იყო სხვა გზავნილი დასავლეთისთვისაც, რომ არ გაჩერდება ქართველი კაცი და არ შეარჩენს ხელისუფლებას იმ საქციელს, რომელიც მან ჩაიდინა 25-26 მაისის ღამეს.

*— კიდევ ხომ არ იგეგმება მსგავსი სახის აქციები სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებული?*

— დღეს მთავარი გადამწყვეტი სიტყვა სწორედ რომ საზოგადოებაზეა. სწორედ საზოგადოებას აქვს დღეს ამისი მორალური და ყველანაირი უფლებაც, რომ სწორედ მან გასცეს ხელისუფლებას საკადრისი პასუხი.

# ხელისუფლებას ჩემი მანქანის დაზიანებას არ შევარჩენ!

**ადვოკატი ქეთი ბექაური ხელისუფლებას მის წინააღმდეგ ბრ ოლაში ადანაშაულებს. ადვოკატი მის წინააღმდეგ ბრ ოლის გამოხატულებად 27-28 მაისს მისი მანქანის განზრახ დაზიანებას მიიჩნევს.**

გულიკო ბალა ე

29 მაისს ქეთი ბექაურს მანქანა დაუზიანეს, რაც მან რადიო „ობიექტივიდან" გამოსვლის შემდეგ შეამჩნია.

მაშინ მან განაცხადა, რომ დაზიანება აშკარად სპეციალურად არის მიყენებული რაიმე საგნით, რადგან, ეს რომ სხვა მანქანის გახახუნების ბრალი იყოს, მაშინ ავტომანქანის სარკეც დაზიანდებოდა. ახლა ის ამაში უკვე დარწმუნებულია, რადგან ხელთ აქვს დასკვნა. საქმე აღძრულია 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება.

ქეთი ბექაური ამბობს, რომ ჯერჯერობით დაელოდება გამოძიების დასრულებას, მაგრამ არ შემოიფარგლება საქართველოში და საქმეს სტრასბურგის სასამართლოში წაიღებს.

*— ქალბატონო ქეთი, თქვენ ეჭვი გამოთქვით, რომ კინოს სახლთან დაყენებული თქვენი მანქანა სპეციალურად დააზიანეს. თქვენი ეჭვი საფუძვლიანი გამოდგა?*

— დიახ, დღეს ეჭვი აღარ მაქვს, 1000%-ით ვარ დარწმუნებული.

*— სპეციალურად ვის და რატომ უნდა დაეზიანებინა?*

— მანქანა ან პოლიციამ დააზიანა, ან ვინმე ხელისუფლების მიერ ხელდასმულმა და წახალისებულმა ნებისმიერი სტრუქტურის წარმომადგენელმა, რომელთა ყურთასმენას არ სიამოვნებს ქეთი ბექაურის მიერ ხმამაღალი განცხადება და 26 მაისის მოვლენების სწორი და სამართლიანი შეფასება.

*— თქვენ თქვით, რომ დარწმუნებული ხართ, თქვენი მანქანა სპეციალურად დააზიანეს. რა გაძლევთ ასეთი დარწმუნების საფუძველს?*

— დარწმუნების საფუძველი მაქვს, რადგან ეს მოხდა ორჯერ ზედიზედ, ერთსა და იმავე ადგილას, რუსთაველის ძეგლთან, 28 მაისს, როდესაც მე აქციაში მივიღე მონაწილეობა. ასევე 29 მაისს, როდესაც მე გადაცემა მიმყავდა. მომდევნო დღეს კიდევ დოლიძეზე მოხდა ჩემზე თავდასხმა, რაც არ იცის საზოგადოებამ.

*— თავს როგორ დაგესხნენ?*

— ავტომანქანას დაესხნენ თავს. 15 წუთით ვიყავი ავტომანქანიდან გადასული და ამჯერად სცადეს სარკეების მომტვრევა და გატაცება.

*— იქნებ ეს შემთხვევითობა იყო?*

— ეს არ არის შემთხვევითობა, რა თქმა უნდა. ეს აღარ არის უკვე შემთხვევითობა, იმიტომ რომ, იმ დღეს მე მეორე არხზე გამოვდიოდი პირდაპირი ეთერით. ასეთი დამთხვევები არ ხდება.

*— თავდასხმის თაობაზე პოლიციაში განაცხადეთ?*

— ყველაფერი გაცხადებულია.

*— რას გპასუხობენ?*

— სისხლის სამართლის საქმე აღძრულია. მოსულია ტრანსოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. გამოძიების ის ვარაუდი, რომელსაც თავს მახვევდნენ, რომ თითქოსდა ჩემს მანქანას სხვა მანქანა დაეჯახა, გამორიცხა ტრანსოლოგიურმა ექსპერტიზამ. ექსპერტიზის დასკვნაში ჩაიწერა, რომ ჩემი ავტომანქანა დაზიანებულია განზრახ, რაიმე მექანიკური ძალის მოქმედებით გარედან — მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით, როგორიც შეიძლება იყოს ხელკეტი, რეზინის ხელკეტი და ა.შ.

*— რამდენადაც ვიცი, ვიდეოთვალის გახსნას ითხოვდით. ვერ გაახსნევინეთ?*

— ვიდეოთვალს, სამწუხაროდ, დღემდე შეგნებულად არ ხსნიან, რაც

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# სააკაშვილი ისტორიას ვერ შეცვლის

**ვახტანგ ძაბირაძე, რომელიც გახლდათ ახალი კონსტიტუციის შემუშავების საზოგადოებრივი კომისიის წევრი, აცხადებს, რომ ის 26 მაისის სადამსჯელო ოპერაციით ხალხი არ დაშინებულა. „ახალი თაობა" გთავაზობთ მასთან ინტერვიუს**



გულიკო ბალა ე

***— ბატონო ვახტანგ, ხელისუფლებამ ხალხის დაშინების მიზნით 26 მაისის აქციის მონაწილეები სამაგალითოდ დასაჯა. ხელისუფლების კულუარებიდანაც ასეთი აზრი გამოდის. ქვეყნის მართვის ასეთ სტილს როგორ აფასებთ?***

— უარყოფითად. მეეჭვება, რომ ხელისუფლების ასეთმა ქმედებამ დიდი შიში დათესოს ქართველ საზოგადოებაში, თუნდაც გამომდინარე იქიდან, რომ შაბათს იყო არასამთავრობო ორგანიზაციების ვეებერთელა აქცია, სადაც 10 ათასი კაცი მაინც იქნებოდა. ერთი კვირის შემდეგ ღამით მოვიდა ხალხი პარლამენტის წინ და აქცია გამართეს. ისინი მომხდარის გასაპროტესტებლად გამოვიდნენ ქუჩაში. შესაბამისად, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ქართველ საზოგადოებას დააშინებენ. შესაძლოა, ეს იყო ხელისუფლების ერთ-ერთი განზრახვა — მცდელობა, რომ მოსახლეობა და, ზოგადად, ხალხი დაეშინებინა, მაგრამ საზოგადოებრივად და პოლიტიკურად ადამიანები მგონი, არ არიან შეშინებული.

***— მაპატიეთ, თქვენ არ შეგეშინდათ?***

— შეშინების რა გვეტყობა. შეშინების ხალხს არაფერი ეტყობა. შიშზე მეტად, ჩემი აზრით, იმან, რაც მოხდა, გამოიწვია გაოგნება, იმიტომ რომ, ერთია მიტინგის დაშლა, მეორეა მიტინგის დასჯა. ეს იყო მიტინგის მონაწილეთა დასჯა და არა დაშლა.

***— ხელისუფლებამ ამით ხალხს თავისი ძალა აჩვენა? რადგან ამას აკეთებს, დღეს ხელისუფლება ძლიერია?***

— ძლიერები ასე არ იქცევიან. ასე იქცევა ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ცდილობს, სხვა დაარწმუნოს, რომ ძლიერია. თორემ, შეიარაღებული კაცი ქალს რომ ხელკეტს ჩაარტყამს, ამაში რაიმე სიძლიერეს ხედავთ? არა მგონია, ეს ხელისუფლების სიძლიერეს ნიშნავდეს. დღეს ხელისუფლება ძლიერი არ არის. თუმცა, მას სურდა, რომ მისი სიძლიერე ვიღაცას დაეჯერებინა, მაგრამ, არა მგონია, თუ ვინმემ ეს დაიჯერა. უბრალოდ, საზოგადოება მომხდარის გამო გაოგნებულია.

***— სააკაშვილისაგან ასე მოქცევას არ მოელოდა? მსგავსი მოქცევა — დარბევები, მკვლელობები, ხალხის ცემა-ტყეპა — ამ ხელისუფლების მხრიდან ხომ ბევრჯერ ვნახეთ? მაგალითად 7 ნოემბერი, რომელიც ხელისუფლების სისასტიკის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია.***

— დიახ, ხელისუფლების მსგავსი ქმედებები გვინახავს. მეც ვნახე, რაც მოხდა 7 ნოემბერს. მაშინაც აქ გახლდით, მაგრამ მაშინ კიდევ სხვა სიტუაცია იყო. იცით, როგორი შთაბეჭდილება დამრჩა ნანახიდან? 7 ნოემბერს უნდოდათ დაეშალათ და ძალაც ეჩვენებინათ, მაგრამ, ისე დაგეგმილი არ იყო, როგორც ახლა გახლდათ. ახლა, უბრალოდ, მგონია, რომ პირდაპირ ბრძანება იყო გაცემული, ვისაც წაეწევით, არ გაუშვათ ცემის გარეშეო. 7 ნოემბერს, როცა ხალხი დაარბიეს, აქციამ ჯერ ოპერასთან გადაინაცვლა, შემდეგ ტელეგრაფთან, რიყეზე. რიყეზე უკვე ცოტა სხვა სიტუაცია იყო. რიყეზე ძალიან შეშინდნენ. 7 ნოემბრის დარბევა ხელისუფლებას მოუვიდა შიშით. არ ელოდა და უეცრად ვერ გაერკვია, რა ხდებოდა. ახლა ყველაფერი დაგეგმა.

***— ანუ, რადაც უნდა დასჯდომოდა, აღლუმი უნდა ჩაეტარებინა და ამის ხელისშემშლელები უნდა დაესაჯა?***

— არა, ძალიან მეეჭვება, რომ აღლუმის გამო დაგეგმეს. რეალურად, მათ ხალხის დასჯა უნდოდათ. ხელისუფლების მიზანი ხალხის დასჯა იყო. ტერორის ტალღა დღემდე გრძელდება. არასამთავრობოებს აქვთ მონაცემები, რომ ადამიანები დაკარგულები არიან, რომლებსაც ახლობლები ვერ პოულობენ. ხელოვნურად იქმნება რაღაც.

***— წინააღმდეგობა?***

— ბურუსი. საზოგადოება დღემდე გაოგნებული და დაძაბულია მომლოდინე რეჟიმში, რა იქნება ხვალ. შეშინებული არ არის.

***— ხელისუფლებას შექმნილი ვითარების რეალური ანალიზი და დაფიქრება თუ შეუძლია?***

— ხელისუფლება ჩადენილის გამო რომ დაფიქრდეს, მერე რა უნდა ქნას? დავუშვათ, ხელისუფლება დაფიქრდა, თქვენ რაიმე გამოსავალს ხედავთ? რაიმე გამოსავალი აქვთ? არჩევნებს ჩაატარებენ, წააგებენ...

***— წააგებენ?***

— დიახ, 100-იანი წააგებენ. თუ ნორმალური არჩევნები ჩატარდა. თუ ბიულეტენები ჩაყარეს, ასე არ გამოვა.

***— ხომ იცით, რომ შეეცდებიან ჩაყრას?***

— მე სწორედ ამას გეუბნებით — ხელისუფლება ძალაუფლებას ვერ დაკარგავს. მას ეშინია ძალაუფლების დაკარგვის, იმიტომ რომ ეს ჯგუფი კარგავს არა ძალაუფლებასა და სკამებს, არამედ აქედან ციხეში მიდის. თუ სააკაშვილი და ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში არ იქნებიან, მაშინ საპატიმროში იქნებიან. ამიტომ ასარჩევი არც ისე ბევრი აქვთ.

***— ანუ სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას არჩევანი არ აქვთ?***

— ფაქტობრივად, არ აქვთ.

***— ამიტომ უნდა იძალადონ?***

— დიახ. ხელისუფლებას სხვა შანსი აღარ აქვს.

***— სულ გვესმის, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ დამოუკიდებლობას და დამოუკიდებლობის 20 წლისთავს ვზეიმობთო. რაღაც ანომალიურ მოვლენასთან ხომ არ გვაქვს საქმე, როცა 1918 წლის 26 მაისს აღდგენილ დამოუკიდებლობას, მაგრამ 20 წლისთავს ზეიმობენ? რაღაც შეუთავსებლობა არ არის?***

— არის, მაგრამ არის წყვეტა. ლაპარაკია იმაზე, რომ დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წელს, მერე დავკარგეთ და მოხდა დამოუკიდებლობის აღდგენა.

***— ეგ მესმის, მაგრამ მაშინ დამოუკიდებლობის 20 წლისთავი როგორღა არის? 1918 წლიდან 20 წელი გავიდა, თითქმის ერთი საუკუნე სად გაქრა?***

— ჰო, მაშინ სიტყვაა ჩასამატებელი, რომ არის დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წლისთავი.

***— 26 მაისი დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წლისთავიც რომ არ არის, ალბათ, მათთვის ეს არის უბედურება. ჩანს, ხელისუფლებამ რა ქნას, არ იცის, ყობე-ყორეს ედება.***

— ეს მათი ბრალი არ არის. ეს მოდის წინა პერიოდიდან.

***— შევარდნაძის პერიოდიდან.***

— ეროვნული მოძრაობის დროს 26 მაისს, აღვნიშნავდით...

***— ეს მაშინ ბუნებრივიც იყო...***

— მაშინ აღნიშვნა ბუნებრივი იყო. შემდეგ პერიოდში 26 მაისი ინერციით აღინიშნებოდა. მაშინ 26 მაისის აღნიშვნა იმას ნიშნავდა, რომ ვუპირისპირდებოდით იმ ყალბ ისტორიას, რომ საქართველოს გასაბჭოება მოხდა ტაშის დაკვრით. 26 მაისის აღნიშვნა ნიშნავდა იმას, რომ რუსეთმა მოახდინა ოკუპაცია.

***— დღეს სხვა მნიშვნელობით აღნიშნავენ.***

— დიახ, მერე იმდენად დამკვიდრდა, რომ ინერციით აღინიშნება.

***— მე კი მგონია, რომ ხელისუფლებას ისტორიის რაღაც მონაკვეთის ამოგდება უნდა. ეს ცხადია იმიტომ, რომ 26 მაისს არც ერთ ტელეარხს დამოუკიდებლობის აღდგენის კადრებიც კი არ უჩვენებია. ვიღაც შეიძლება არ მოგწონდეს — ხელისუფლება ან პიროვნება, მაგრამ იმ ფაქტს, რომ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა, ვერავინ გაექცევა. არაბუნებრივად გაურბიან შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებები ამ თარიღს.***

— დიახ, ამ ფაქტსა და ზვიადის ხელისუფლებას ყველა გაურბოდა. მაგრამ, რა ვქნათ, ისტორიის გადაწერა...

***— ისტორიამ მათ არგუნა ამის გაკეთება — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა — ამიტომ ამ ფაქტისაგან გაქცევა კომიკურ მდგომარეობაში აყენებს თვითონ ხელისუფლებას.***

— ყველას უნდა, გადაწეროს ისტორია. საბოლოოდ, ისტორიას ვერავინ გადაწერს. სტალინმა 60 მილიონი ადამიანი გაწყვიტა, მაგრამ მაინც ვერ გადაწერა. ისტორიის გადაწერა ასე ადვილი არ არის, მაგრამ ყველა ცდილობს. აქედან მოდის ეს ყველაფერი. კიდევ ერთი მიზეზია — გაუაზრებლობა. მათ ეს გაუაზრებლობითაც მოსდით. 1988 წელს 26 მაისის აღნიშვნა გმირობა იყო...

***— მეც დავსწრებივარ...***

— შემდეგ აღვნიშნეთ 1989, 1990 წლებში. შემდეგ ითქვა, იქიდან მოვდივართო. გამოდის, რომ იმ საზოგადოებამაც კი, რომელმაც მაშინ 26 მაისი აღნიშნა, იმისი დანიშნულება არ იცოდა, რისთვის აღვნიშნავდით. ეტყობა, 26 მაისის აღნიშვნის დანიშნულება ცოტამ იცოდა. ყველამ დამოუკიდებლობის დღედ მიიღო. ეს არის.

# ხელისუფლებას ჩემი მანქანის დაზიანებას არ შევარჩენ!

დასაწყისი მე-10 გვერდზე

კიდევ უფრო ამყარებს აზრს, რომ ეს არის სპეციალურად გაკეთებული. ყველაფერი დადასტურებული და დღესავით ნათელია, იმიტომ რომ გიორგი გეგეჭკორი არ დაუშვებს, რომ გახსნას საპატრულო პოლიციის ვიდეოთვალი, საიდანაც ძალიან კარგად დადგინდება, რა მდგომარეობაში გავაჩერე მე ავტოსადგომზე „მედიაობიექტივის" წინ ჩემი კუთვნილი ავტომანქანა. ვიდეოთვალის გახსნით დადასტურდება, რომ ჩემი ავტომანქანა იყო დაზიანების გარეშე. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ჩემი ავტომანქანა დაზიანდა სწორედ აქციის მიმდინარეობისას და ჩემი გადაცემის მსვლელობისას მიყოლებით ზედიზედ ორი დღის განმავლობაში — 28 მაისს, 29 მაისს და შემდეგ მოგვიანებით, როდესაც მეორე არხზე გამოვდიოდით „ტრიბუნაჯი-ზე".

***— გეგეჭკორი რატომ უნდა შეეწინააღმდეგოს ვიდეოთვალის გახსნას, გეგეჭკორი ახლა რა თანამდებობაზეა?***

— გეგეჭკორი თბილისის საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსი იყო, მაგრამ, როგორც ახლა გაირკვა, ის 26 მაისის შემდეგ დააწინაურეს, შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსად, ანუ დააწინაურეს, წაახალისეს იმ ჩადენილი უკანონო ქმედებებისათვის, რასაც ადგილი ჰქონდა 2011 წლის 26 მაისს, გამთენიისას.

***— ე.ი. გეგეჭკორსაც მიუძღვის ბრალი 26 მაისს მშვიდობიანი მოქალაქეების ხოცვა-ჟლეტაში?***

— დიახ, 26 მაისის შემდეგ დააწინაურეს.

***— იმედი გაქვთ, რომ გამოძიება ნორმალურად წარიმართება?***

— რა თქმა უნდა, იმედი არ მაქვს. სირცხვილიც არის, ჩემი სტაჟის ადვოკატს ამას რომ ეკითხებით, მაქვს თუ არა იმედი, რომ ამ ქვეყანაში ჩატარდება ობიექტური და ეფექტური გამოძიება და რაიმე დადგინდება. რა თქმა უნდა, თაროზე შემოდებენ, ისევე, როგორც სხვა საქმეები აქვთ შემოდებული, რომლებიც ხელისუფლების ინტერესებში არ შედის. ჩვენს ქვეყანაში არანაირი გამოძიება არ ხდება, თუ ხელისუფლება არ არის დაინტერესებული.

***— თუმცა, თქვენ მიაღწიეთ იმას, რომ გარკვეულწილად სიმართლე დაგეფიქსირებინათ — ტრანსოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაქვთ.***

— დიახ. შავით თეთრზე წერია, რომ დაზიანება განზრახ რაიმე ბლაგვი საგნით არის მიყენებული. ნებისმიერ ავტომანქანას, რომელსაც სხვა ავტომანქანა ეჯახება, სალებავი უნდა ჩამოსცვივდეს. ჩემს ავტომანქანაზე ეს ვერ ვნახეთ. როდესაც ექსპერტკრიმინალისტები მივიდნენ, იქ იყო საზოგადოება, ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლები გახლდნენ. ამიტომ მათ ვერ გაბედეს სხვა დასკვნის დაწერა. ჩემს ავტომანქანას მეც გადავუღე ფოტოები და მეც ჩავატარე დამოუკიდებელი ექსპერტიზა. დამოუკიდებელმა ექსპერტიზამაც იგივე დაადგინა და მათ, უბრალოდ, ველარ გაბედეს გაყალბებება.

***— დაზიანება თვალშისაცემი იყო?***

— დაზიანება იყო ძალიან შესამჩნევი. სანამ მანქანაში ჩავჯდებოდი, დავინახე. ეს იყო თვალშისაცემი დაზიანება. — მთელი მარჯვენა ფრთაა შეზნექილი. ამას ვინ არ შეამჩნევდა.

***— ყველაფერს თქვენს გააქტიურებას უკავშირებთ?***

— დიახ. დღესაც მივდივარ, დღესაც 4-დან 5-მდეა ჩემი საეთერო დრო. დღესაც სტუმრებად მოწვეული მყავს 26 მაისის ვანდალური აქციის შედეგად დაზარალებულთა და ამ აქციის შედეგად უკანონოდ დაპატიმრებულთა ადვოკატები. დღესაც ხმამაღლა შევაფასებთ 26 მაისის აქციის ვანდალურ დარბევას. თუმცა, ეს არ იყო დარბევა. ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს გენოციდი მოუწყო.



***— როგორც ჩანს, ხელისუფლებას თქვენი შეფასებები ძალიან მოხვდა გულზე...***

— ალბათ. ეს მათ უნდა ჰკითხოთ. მე დაველოდები გამოძიების მიმდინარეობას. ვნახოთ, როგორ წარიმართება გამოძიება. საქმე აღძრულია 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სხვისი ნივთის დაზიანებით. დაველოდები გამოძიების შედეგებს.

***— რამდენად მნიშვნელოვანია ეს საქმე თქვენთვის?***

— არ ვაპირებ, შიდა ეროვნული საგამოძიებო უწყებებით შემოვიფარგლო. საქმეს აუცილებლად წავიღებ სტრასბურგში, ევროსასამართლოში. ეს საქმე მნიშვნელოვანია, რადგან მათ დაარტყეს ადვოკატს. თქვენ კარგად იცით, რომ ამ ქვეყანაში ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დევნა მიმდინარეობს. მე ვარ აღმასრულებელი საბჭოს წევრი, სისხლის სამართლის კომიტეტის წევრი და ჩემზე იერიში მოიტანეს. გარდა ამისა, 7 თვეა, გადაცემები მიმყავს, მაქვს პრესის მოწმობა და მათ იერიში მიიტანეს თავისუფალ სიტყვაზე მედიაზე. ამ შემთხვევაში მე ვარ ჟურნალისტი. როდესაც მათ ბოლოს დაამტვრიეს ჩემი მანქანა, სტუდიაში მყავდა ყველასათვის ცნობილი უფლებადამცველები და იურისტები, ბატონები სოსო ბარათაშვილი და ზაზა ხატიაშვილი. ჩვენ ვაშუქებდით, რა მოხდა 26 მაისს. მომხდარს მივეცით ძალიან კრიტიკული შეფასება. მე იმ ღამეს ბართლომეს ღამე ვუწოდე, სოსო ბარათაშვილმა კი სააკაშვილს ახალი როდიონოვი შეარქვა. ამიტომ, თავიანთი ჭკუით, მე დამსაჯეს და დამაშინეს. ადვოკატების დაშინება რომ მიმდინარეობს, ეს არახალია, ძველია. ეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაშიც აისახა. მაპატიეთ, მაგრამ ასეთი ადვილი შესაშინებელი ნამდვილად არ ვარ.

***— საზოგადოებას შეეშინდა 26 მაისის ბართლომეს ღამის?***

— არავის შეშინებია, პირიქით, ხალხი უფრო ფხიზლადაა. სამოქალაქო საზოგადოება ძალიან საღად აზროვნებს. არ ეგონოს ხელისუფლებას, რომ საბოლოო ჯამში მათი ნების გამოხატვას დათრგუნავს. ჩადენილი სისასტიკე ცოტა ხანში მათ ბუმერანგივით შეუტრიალდებათ.

## შერონ სტოუნმა ძველი თბილისის ქუჩები დაათვალიერა

ჰოლივუდის ვარსკვლავი შერონ სტოუნი გუშინ საქართველოს საპატრიარქოშიც იმყოფებოდა.

მანამდე კი ვარსკვლავმა ძველი თბილისის ქუჩები დაათვალიერა შევიდა მეტეხის ტაძარში, გაისეირნა შარდენის ქუჩაზე, ესტუმრა მაღაზიას „სამოსელი პირველი", მოინახულა ანჩისხატის ელესია. ჰოლივუდის ვარსკვლავი განსაკუთრებით ძველებურმა ხალიჩებმა, თბილისურმა აივნებმა და ქართულმა ტარდიციულმა სამოსმა მოხიბლა. შერონ სტოუნმა ქართული ჩურჩხელაც შეიძინა. სეირნობისას კი ბავშვებთან ერთად გაერთო და მათთან ფოტოებიც გადაიღო.

ინტერპრესნიუსი

## 15-მდე სტუდენტმა „აგვისტოს 5 დღის" პრემიერის გამართვა გააპროტესტა

გუშინ სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიასთან" 15-მდე სტუდენტმა აქცია გამართა და გუშინ საღამოს დაგეგმილი „აგვისტოს 5 დღის" პრემიერX გააპროტესტა.

სტუდენტებს თან ჰქონდათ ინგლისურენოვანი პლაკატები, წარწერით - „იაფფასიანი პროპაგანდა ხელოვნება არ არის".

როგორც „ინტერპრესნიუსს" სტუდენტებმა განუცხადეს, ამ გზით ისინი თბილისში „აგვისტოს 5 დღის" პრემიერის გამართვას აპროტესტებენ და სურთ, რასაც თავად ფიქრობენ ამ ფილმის შესახებ, ჰოლივუდის ვარსკვლავებს ამ ფორმით შეატყობინონ.

სასტუმრო „რედისონთან" „აგვისტოს 5 დღის" შემქმნელების პრესკონფერენცია 14.30 საათზეა დაგეგმილი.

ინტერპრესნიუსი

# ლალი მოროშკინამ ახალი წიგნი დაწერა

ეკა ირემაშვილი



ლალი მოროშკინამ საზოგადოებას ახალი წიგნი, სახელწოდებით „ყველა კაცი იდიოტი არ არის, ანუ როგორ გავთხოვდეთ“ შესთავაზა. როგორც გამოცემის პრეზენტაციაზე წიგნის ავტორმა განაცხადა, მას მიტოვებულ ქალებს უძღვნის, რადგან წიგნის დაწერის იდეა სწორედ მას შემდეგ გაუჩნდა, რაც საკმაოდ ბევრი მიტოვებული ქალი ნახა საქართველოში.

წიგნის პრეზენტაცია კლუბ „ქალაქურში“ შედგა და მას ლალის მეგობრები, ახლობლები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ. სტუმართა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ქალები ჭარბობდნენ. ეს შეუმჩნეველი არც საღამოს სტუმარს ინგა გრიგოლიას დარჩენია და სცენიდანაც გამოაცხადა, შეხედეთ, ერთ კაცზე თუ 10 ქალი არ მოდის საქართველოში, ცოცხალი მაგალითი აქ არისო. ინგა გრიგოლიასთან ერთად სცენაზე ლალი მოროშკინამ გივი სიხარულიძეც მიიწვია და მათ ერგოთ პატივი, პირველებს წარედგინათ ლალის მესამე რომანი. წიგნის ავტორმა დარბაზში თაიგული ისროლა, ვინც მას დაიჭერდა, საჩუქრად წიგნს მიიღებდა, თუმცა, თაიგული ჭერში განათების აპარატურას მოხვდა და ტორტში ჩავარდა. საბოლოოდ თაიგულმა პატრონი იპოვა და მასაც დაპირებული წიგნი საჩუქრად გადაეცა. ეს პირობა კი შეასრულა ლალიმ, მაგრამ მის მიერ ინტრიგად შერაცხული საქმროს წარდგინება წიგნის პრეზენტაციაზე არ შედგა.

ლალი მოროშკინა თავის ახალ ნაშრომზე ორი თვის განმავლობაში მუშაობდა. მასში, ჟურნალისტის პირადი მოსაზრებების გარდა, გაერთიანებულია ცნობილი ფსიქოლოგების სასარგებლო რჩევები, ჰოროსკოპები, სახალისო ტესტები და, რა თქმა უნდა, ცარიელი ფურცლები, რომლებიც ავტორმა საგანებოდ დატოვა წიგნში, რათა თითოეულმა ქალბატონმა მასში ყველა ის მნიშვნელოვანი დეტალი ჩაწეროს, რომელიც მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იქნება.

ლალი მოროშკინას ახალი წიგნი საკმაოდ ორიგინალურია — ვარდისფერი ყელსახვევითა და ბაფთით. ის თითოეული ქალისთვის პერსონალურად არის შექმნილი, სადაც ავტორმა შექსპირის გამონათქვამებიც კი შეიტანა. როგორც თავად ამბობს, წიგნს ბოლოში სპეციალურად დაუტოვა ცარიელი ფურცლები, რომ ქალბატონებმა ნებისმიერი სასიყვარულო შეტყობინება ჩაინიშნონ.

„ყველა კაცი იდიოტი არ არის, ანუ როგორ გავთხოვდეთ“ ლალი მოროშკინას მესამე წიგნია. წინა გამოცემები „მე, პრეზიდენტი და მსოფლიოო ჩემპიონი“ და „უსექსობა პატარა ქალაქში“ უკვე იქცა ბესტსელერებად და გაყიდვების ყველა რეკორდი მოხსნა. ორი ბესტსელერის ავტორი ამბობს, რომ გაჩერებას არ აპირებს და სულ მალე საზოგადოებას კიდევ ერთ სკანდალურ წიგნს შესთავაზებს, რომელიც საქართველოში არსებულ ციხეებსა და იქ გამეფებულ მდგომარეობას ასახავს.

**ლალი მოროშკინა, წიგნის ავტორი:**

— ნამდვილი ქალი თავისი მეუღლისთვის დღე ბიზნესპარტნიორია, საღამოს — მზარეული და დამლაგებელი, ხოლო ღამით — ლოგინში უკანასკნელი კახპა. ეს სიტყვები ჩემი წიგნის გარეკანზეც მაქვს გამოტანილი. მთავარია, მკითხველმა თანმიმდევრობა არ დაარღვიოს. ეს არის საჩუქარი ქალბატონებისთვის. ზუსტად ვიცი, რომ დღეს ბევრი ქალი მარტოა, რაც მათთვის დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული.

***— რატომ მოგინდათ ამ წიგნის დაწერა?***

— ძალიან დათრგუნული ვარ, როდესაც ვუყურებ ასეთ ქალებს. მინდა, მათ ამ წიგნით გავუკეთო საჩუქარი და ვუთხრა, ჯერ შეიცნონ საკუთარი თავი და შემდეგ ის ადამიანი, რომელიც მის გვერდით უნდათ, რომ ჰყავდეთ. ამგვარი ტიპის წიგნები აფრიკაში, ევროპასა და რუსეთშია გამოცემული. გავეცანი თითოეულ მათგანს და ქართულ მენტალიტეტს მაქსიმალურად მოვარგე. ამ წიგნში ყველაფერი ძალიან სასაცილოდ და იუმორისტულად არის დაწერილი.

***— თქვენი წიგნის წაკითხვის შემდეგ ქალბატონები გათხოვდებიან?***

— მინდა, თითოეულ ქალბატონს შევთავაზო რეცეპტი, თუ როგორ გათხოვდნენ, როგორ გაილამაზონ ცხოვრება, როგორ უნდა იპოვონ მეორე ნახევარი და შემდეგ როგორ შეინარჩუნონ იგი. გასათხოვარ ქალბატონებთან ერთი თხოვნა მექნება — თუკი ჩემი წიგნის დახმარებით გათხოვდებიან და თავიანთ მეორე ნახევარს იპოვიან, ჩემი ქორწილში დაპატიჟება არ დაავიწყდეთ!

***— მამაკაცები თუ წაიკითხავენ თქვენს წიგნს?***

— წესით, საინტერესო უნდა იყოს ეს წიგნი მამაკაცებისთვისაც. მასში ბევრი რამ მათთვის მოსაწონი არ იქნება, მაგრამ აუცილებლად იპოვიან ადგილებს, სადაც სიამაყით იტყვიან, ხომ ხედავთ, ჩვენ თქვენზე ძლიერები ვართო. ეს არის პატარა, ჯიბის წიგნაკი ბოლოში ტესტებით, ჰოროსკოპითა და ცარიელი ფურცლებით, რომელზეც მკითხველს საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება ეძლევა.

# საქართველო საერთაშორისო პოეტურ ფესტივალს უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

6 ივნისიდან საქართველოში რიგით მეხუთე საერთაშორისო რუსულ-ქართული პოეტური ფესტივალი „სიზმრები საქართველოზე“ აიღებს სტარტს. ფესტივალის პროგრამაში გაერთიანებულია პრეზენტაციები, დისკუსიები, მასტერ-კლასები, შემოქმედებითი შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები, ექსკურსიები, მრგვალი მაგიდები. წელს პოეტურ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს 70-ზე მეტი პოეტი, მთარგმნელი, საერთაშორისო პოეტური ფესტივალების ორგანიზატორი, რედაქტორი, გამომცემელი და ჟურნალისტი მსოფლიოს 30 ქვეყნიდან (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრია, მოლდოვა, ესტონეთი, უნგრეთი, ისრაელი, ფინეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, გერმანია, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსი, დანია, იტალია, ლიტვა, რუსეთი, უკრაინა, შვედეთი, ყაზახეთი, პოლონეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, საბერძნეთი). საქართველოდან ფესტივალში ჩართული იქნებიან წამყვანი ქართველი პოეტები და მთარგმნელები, მათ შორის ბესო ხვედელიძე, დავით ჩიხლაძე, მაყვალა გონაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, კატო ჯავახიშვილი, ნიკა ჯორჯანელი, გურამ ოდიშარია, დავით რობაქიძე, ლია სტურუა, ზაზა აბზიანიძე და შალვა ბაკურაძე.

ფესტივალში მონაწილეებს მისალმება გაუგზავნეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა. ფესტივალის „სიზმრები საქართველოზე“, რომელიც ზედიზედ მეხუთედ ტარდება, ორგანიზატორები არიან საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“ და რუსულენოვან მწერალთა საერთაშორისო ფედერაცია. საფესტივალო ღონისძიებები ბათუმში 6 ივნისს დაიწყება, შემდეგ კი გადაინაცვლებს ფოთში, წყალტუბოში, რუსთავში და 15 ივნისს თბილისში დასრულდება.

როგორც ფესტივალის წარმომადგენელმა ნინო წითლანაძემ „ახალ თაობას“ განუცხადა, პოეტური ფესტივალის „სიზმრები საქართველოზე“ ერთ-ერთი მთავარი მიზანია თანამედროვე ლიტერატურული ურთიერთობების მხარდაჭერა, თარგმანის მაღალი სტანდარტების აღდგენა, ერთობლივი ლიტერატურული პროექტებისა და თანამშრომლობის ახალი ფორმების შემუშავება. ფესტივალის ჩატარება ხელს შეუწყობს არა მარტო საქართველოს პოზიტიურ იმიჯს, როგორც ქვეყნისა ძველი კულტურითა და ლიტერატურული ტრადიციებით, არამედ ქართველი ლიტერატორების უცხოელ კოლეგებთან უფრო მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტების დამყარებას.

ფესტივალზე მოწვეული სტუმრები მოინახულებენ ბათუმის დელფინარიუმს, გონიოს ციხე-სიმაგრე, დაესწრებიან საბავშვო ხალხური ცეკვის კოლექტივების კონცერტს. ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრში შედგება ფესტივალის საზეიმო გახსნა, სადაც ფესტივალის მონაწილეები სიტყვითაც გამოვლენ, მოეწყობა საზეიმო მიღება რუსულენოვან მწერალთა საერთაშორისო ფედერაციის სახელით, ჩატარდება შეხვედრა-პრეზენტაცია, რომელიც მიეძღვნება რუსულენოვან მწერალთა საერთაშორისო ფედერაციის — გუშინ, დღეს, ხვალ — ხუთი წლისათვის, გაიმართება მრგვალი მაგიდა „პოეზია უპირველეს ყოვლისა?...“, შედგებდა შეხვედრა ფოთის საზოგადოებასთან. ფესტივალის ფარგლებში პოეტ იური რიაშენცევის პოეტური სემინარი „პოეზია თეატრსა და კინოში“ ჩატარდება, მოეწყობა საავტორო სიმღერის საღამო იული კიმის, ალექსანდრე გოროდნიცკისა და მანანა მენაბდის მონაწილეობით.

11 ივნისიდან ფესტივალის მონაწილეები წყალტუბოში გადაინაცვლებენ, სადაც გამოქვაბულ „პრომეთეს“ დაათვალიერებენ, ესტუმრებიან საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთას და დაათვალიერებენ ჯვრის მონასტრსა და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს.

12 ივნისს დელეგაცია უკვე თბილისს ესტუმრება, სადაც დაათვალიერებენ სადეგუსტაციო დარბაზ „ქინძმარაულის მარანს“, გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის დიდ დარბაზში შედგება მონაწილეთა გამოსვლა, რის შემდეგაც გაიმართება მიღება „დავით სარაჯიშვილი და ენისელის“ სახელით. „ჰოლიდეი ინნში“ დიდი სამამულო ომის დაწყების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობების კრებულის „22 ივნისი“ პრეზენტაცია შედგება. ფესტივალის მონაწილეები შეხვდებიან რუსთავის საზოგადოებას, გრიბოედოვის თეატრში კი გამართავენ საქართველოს რუსულენოვანი ლიტერატორების საღამოს „მტკვრის პირას“. ამ ფესტივალის ეგიდით შედგება ახალგაზრდა ლიტერატორების კონკურსის ლაურეატების დაჯილდოება.

14 ივნისს ფესტივალის მონაწილეები თბილისის საერთაშორისო პრეს-ცენტრ „რია-ნოვოსტიში“ საგანგებო პრესკონფერენციას ჩაატარებენ, დღის ბოლოს კი შედგება აუდიენცია უწმინდეს და უნეტარესთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან, სადაც რუსულ-ქართული პოეტური გამოსვლებია დაგეგმილი. დღის ბოლოს კი „რუსული კლუბის“ სახელით მიღება გაიმართება. ფესტივალი „სიზმრები საქართველოზე“ 15 ივნისს დასრულდება.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

## SMS-განცხადებები - 3090

● იყიდება საგურამოში, საუკეთესო ადგილას 4-სართულიანი დიდი სახლი. ფასი შეთანხმებით, შეიძლება განვადებაც. ტელ: 899 90 63 40.

● სასწრაფოდ იყიდება დიღმის მასივში კუთხის 4-ოთახიანი ბინა, ფართი - 200 კვ.მ., ჩაშენებული კარადებით, მუხის პარკეტით. შესაძლებელია განვადება. ტელ: 899 91 54 24.

● შევიძენ 200 კვ.მ.-მდე მიწის ნაკვეთს პატარა სახლის ასაშენებლად, გლდანი, მუხიანი, ავჭალა და თემქის მიმდებარედ, ტრანსპორტთან ახლოს, საბუთები წესრიგში უნდა იყოს. 2000 დოლარის ფარგლებში. ტელ: 898 93 07 44. თემური.

## მოსწონხართ თუ არა ადამიანებს




**ტესტის შეკითხვებს დადებითი ან უარყოფითი პასუხი გაეცით:**

1. არ დამავიწყდეს, მთელი დღე ადამიანები ჩემს მოქმედებას აფასებენ.
2. მთავარია ღირსება მაშინაც შევინარჩუნო, როდესაც სხვაგვარად მოქცევის ძლიერ ცდუნებას განვიცდი.
3. თუ ადამიანი საუბრისას შეცდომებს უშვებს, უნდა შეუსწორო.
4. უცნობთან კონტაქტური და გონებამახვილი უნდა იყო, რომ მასზე შთაბეჭდილება მოახდინო.
5. თუ გინდათ, რომ პატივს გცემდეთ, არავის მისცეთ უფლება, გაგეხუმროთ.
6. თუ ადამიანს გაცნობენ და მისი სახელი ვერ გაიგონეთ, სთხოვეთ, გაიმეორონ.
7. სჯობს სხვები იყვნენ ჩემზე დამოკიდებული და არა პირიქით.
8. ნამდვილი მეგობარი ყოველთვის ცდილობს მეგობარს დაეხმაროს.
9. ღირსეულად რომ შეგაფასონ, საუკეთესო თვისებების დემონსტრირება უნდა მოახდინო.
10. ვინმე ძველ ანეკდოტს თუ ყვება, უნდა შეაჩერო.
11. არ ღირს ჯიუტად შენი სიმართლის მტკიცება, როდესაც საწინააღმდეგო აზრი გესმის.
12. ნამდვილი მეგობარი მოითხოვს, რომ ახლობლებმა ყოველთვის მისი ინტერესები დაიცვან.
13. ყოველთვის უნდა აუბა მხარი კამპანიას, რომელშიც ხარ.
14. ფრთხილად უნდა იყო, რომ სხვებმა არ გაგაშაყირონ და მასხრად არ აგიგდონ.
15. მეგობრებს ყოველთვის უნდა დაეხმარო, რადგან შენც შეიძლება დაგჭირდეს დახმარება.

**6, §, 7, 11 შეკითხვებზე — დადებითი, დანარჩენებზე კი უარყოფითი პასუხები 1 ქულით შეაფასეთ და შეაჯამეთ.**

**პასუხები**

**13 ქულაზე მეტი** — ყველაფერი რიგზეა, მეგობრებს და ნაცნობებს შორის შესანიშნავი რეპუტაციით სარგებლობთ.

**11-13 ქულა** — მეგობრები და ნაცნობები კარგი თვალით გიყურებენ. შენი დახმარების იმედი ყოველვთის აქვთ.

**9-11 ქულა** — ყველაფერი რიგზეა.

**9 ქულაზე ნაკლები** — უკეთესსაც ისურვებდა კაცი.

## ამერიკელი გოგონას გამტაცებლებს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს




ფილიპ გარიდოსა და მის მეუღლეს ნენსის, რომლებსაც ამერიკელი ჯეისი დუგარდი 18 წლის განმავლობაში ჰყავდათ დატყვევებული, სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. თერთმეტი წლის დუგარდი 1991 წელს კალიფორნიის შტატში, საკუთარი სახლის მახლობლად დაიკარგა.

ბრალდებულმა ცოლ-ქმარმა მიმდინარე წლის აპრილში გატაცებასა და გაუპატიურებაში ცნეს თავი დამნაშავედ. 60 წლის ფილიპ გარიდოს სასამართლომ 431 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მის ცოლსა და თანამზრახველს სასამართლომ 36 წელი მიუსაჯა.

სასამართლო განხილვის დროს ჯეისი დუგარდის დედამ თავისი ქალიშვილის ოფიციალური განცხადება წაიკითხა. განცხადებაში ჯეისი წერდა, რომ გამტაცებლებმა მას ცხოვრება მოპარეს და ტყვეობაში გატარებული თითოეული წამი მისთვის ტანჯვა და წამება იყო. დუგარდს ფილიპ გარიდოსაგან ორი გოგონა შეეძინა, ისინი ამჟამად 13 და 16 წლისა არიან. ბავშვები გამტაცებლების სახლის უკანა ეზოში გაიზარდნენ, კალიფორნიის ქალაქ ანტიოქიაში.

მიმდინარე წლის ივლისში ჯეისი დუგარდი მოგონებების წიგნის გამოქვეყნებას აპირებს.

გარიდოს საქმის გამომძიებელ კომისიას კალიფორნიის პოლიციის მიმართ არაერთი შეკითხვა დაებადა.

სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ ფილიპ გარიდო, რომელიც მანამდე გაუპატიურებისათვის იყო გასამართლებული, ციხიდან პირობით გაათავისუფლეს, მაგრამ შეცდომით დაბალი რისკის დამნაშავეთა სიაში შეიყვანეს და დაკვირვება, რომელსაც პოლიცია აწარმოებდა, ადეკვატური არ იყო.

გარიდოს ციხიდან გათავისუფლების შემდეგ მასთან თვეში ორჯერ სტუმრობდნენ პოლიციელები. გარიდო მუდმივად ატარებდა რადიოშუქურას, მაგრამ ამან მას ახალი დანაშაულის ჩადენაში ხელი ვერ შეუშალა. 11 წლის ჯეისი მან მისსივე სახლის მახლობლად, ქალაქ საუთ ლეიქ თაჰოდან გაიტაცა.

პოლიციამ გოგონა ვერც გარიდოს სახლში იპოვა, მიუხედავად იმისა, რომ მასთან სახლში ხშირად სტუმრობდა.

ჯეისი დუგარდი მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც პოლიციამ იგი ფილიპ გარიდოსა და ორ ბავშვთან ერთად კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის სტუდენტურ ქალაქში შეამჩნია. გარიდოსთან ერთად ახალგაზრდა ქალის დანახვამ პოლიციელები დააეჭვა.

კალიფორნიის შტატისაგან დუგარდმა 20 მილიონი დოლარი მიიღო კომპენსაციის სახით. სასამართლომ აღიარა, რომ გარიდოზე თვალთვალის დროს პოლიციამ არაერთი შეცდომა დაუშვა.

## ევროპამ რუსეთს ბოსტნეულის იმპორტის აკრძალვის გაუქმებისაკენ მოუწოდა




ევროკომისიის წარმომადგენლებმა რუსეთს ევროკავშირიდან კვების ბოსტნეულის იმპორტის დაუყოვნებლივ მოხსნის მოწოდებით მიმართეს.

რუსეთმა ევროკავშირის ყველა ქვეყნიდან ბოსტნეულის იმპორტი ხუთშაბათს აკრძალა. ეს აკრძალვა ევროპის სახელმწიფოებში ნაწლავების მწვავე ინფექციის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული.

რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა, გენადი ონიშჩენკომ თავის განცხადებაში ევროპის ხელისუფლები გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ მათ ვითარების გაკონტროლება ვერ შეძლეს. ევროკავშირის წარმომდგენლებმა რუსეთის გადაწყვეტილება გადაჭარბებულად მიიჩნიეს. ევროკომისიის წარმომადგენლის, ფრედერიკ ვანსანის თქმით, ევროპიდან რუსეთისაკენ ახალი ბოსტნეულის იმპორტის მოცულობა წელიწადში სამ-ოთხ მილიარდს შეადგენს. ძირითადი ექსპორტიორები არიან ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია და პოლონეთი.

ევროპული ბოსტნეული რუსეთში იმპორტირეუბლი ბოსტნეულის ერთ მეხუთედს შეადგენს.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ ხუთშაბათს გამოაცხადა, რომ კუჭ-ნაწლავის დაავადებების მორიგი აფეთქება დაკავშირებულია ბაქტერია ეშერიხია კოლის ბაქტერიის ახალ შტამთან, რომელიც მანამდე დაფიქსირებული არ ყოფილა.

წინასწარი მოლეკულური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ბაქტერიის ახალი სახესხვაობა მანამდე ცნობილი, განსაკუთრებით სახიფათო თვისებების მატარებელი ორი სახეობის მუტაციის შედეგს წარმოადგენს.

ამით აიხსნება ის, რომ დაავადება ფართოდ გავრცელდა და მძიმე შედეგები გამოიღო. გავრცელებული ცნობების თანახმად, ნაწლავური ინფექციის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა, მათგან 16 გერმანიაში, 1 შვედეთში.

სავარაუდოდ, დაავადების გავრცელების წყაროს ახალი ბოსტნეული წარმოადგენს. ეშერიხია კოლის ახალი ვირულენტური შტამი იწვევს ჰემოლიტიკურ-ურემიულ სინდრომს, თირკმლების სახიფათო, სასიკვდილო დაზიანებას. მიუხედავად იმისა, რომ დაავადების შემთხვევების უმეტესობა გერმანიის ჩრდილოეთზე მოდის, სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ დაავადების წყარო გერმანიაში და მოგვიანებით ევროპის სხვა ქვეყნებში ესპანეთიდან იმპორტირებული კიტრი შეიძლება ყოფილიყო.

ჰამბურგში გამოცხადებული ლაბორატორიული კვლევის შედეგების თანახამდ, მართალია, ესპანეთიდან იმპორტირებულ კიტრში ბაქტერიები აღმოაჩინეს, მაგრამ ისინი ავადმყოფების ორგანიზმში ნაპოვნ ბაქტერიებს არ შეესაბამებიან.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ არსებულ ვითარებას მეტად სერიოზული უწოდა.

გერმანიაში, კოხის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, რეინჰარდ ბიურგერის თქმით, ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლას შესაძლოა რამდენიმე თვე დასჭირდეს, მიზეზი კი უცნობი დარჩეს. მოგვიანებით ცნობილი გახდა ეშერიხია კოლით ინფიცირების კიდევ 365 შემთხვევის შესახებ. მათგან ორი აშშ-ში დაავადდა, ისინი შინ გერმანიაში, ჰამბურგში სტუმრობის შემდეგ დაბრუნდნენ. ინფექციის ეპიდემიის ცენტრი სწორედ ჰამბურგშია.

ინფიცირების შვიდი შემთხვევა დაფიქსირდა ბრიტანეთში. სავარაუდოდ, ავადმყოფები შინ გერმანიიდან დაბრუნდნენ.

ესპანეთის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ გამორიცხული არ არის ესპანელი ფერმერების და მეურნეების სახელით გერმანიას სასამართლოში უჩივლონ ინფექციის წყაროს შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელების გამო.

ევროკავშირის კომისიამ ოთხშაბათს ესპანეთიდან კიტრის ექსპორტის აკრძალვა მოხსნა, რადგან ანალიზის შედეგებმა მათში ადამიანების ინფიცირების მიზეზი ბაქტერიების არსებობა არ დაადასტურა. ინფექციის გავრცელების შემდეგ ესპანელი ფერმერებს ზარალმა 200 მილიონი ევრო შეადგინა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## კროსვორდი



1. პარკოსანი კულტურა; 2. ქალაქი აშშ-ში; 3. აღმოსავლური შაში; 4. ჩვენებითი ნაწილაკი; 5. ფრანგული ავტომარკა; 6. „ოტელოს“ პერსონაჟი; 7. ქართული ფული; 8. „... იტყვის ხალხი?!“ 9. რუმინული ფული; 10. ჩასაბერი საკრავი; 11. საერთო ბიზნესში ჩადებული წილი; 12. ...მაკფერსონი; 13. გაზი; 14. კავშირი (გრამატ.); 15. გულშემატკივარი; 16. სადურგლო იარაღი; 17. ნახევრადძვირფასი ქვა; 18. იაპონელთა ჯიბის კოლოფი; 19. დიდი წვეულება; 20. ღამის ფრინველი; 21. მემამულე თურქეთში; 22. გამის პირველი ძირითადი ბგერა; 23. სურათი ზღვის ხედით; 24. ნაკადული; 25. მშვენიერი ...; 26. ქიმიური ელემენტი; 27. სახელმწიფო აფრიკაში; 28. მზის სისტემის პლანეტა; 29. გრძელყურა, ფეხმარდი ცხოველი; 30. კოლხი მედეას დედა; 31. სოფელი დუშეთის რაიონში; 32. სასიგნალო ტივტივა; 33. მოუხარშავი, შეუწვავი; 34. სოკოს ქსელი; 35. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 36. მესამე ნოტი; 37. ყვავილი; 38. ჭკუასუსტობის მაქსიმუმი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სოფიტი; 2. წირვა; 3. ხუანხე; 4. პუშერი; 6. საპალნე; 9. კოლბა; 11. გლოსიტი; 15. რუბეროიდი; 16. ჩითილი; 17. ბალატონი; 19. აქსიომა; 21. ტერტერა; 22. მაკაკა.

**თარაზულად:** 5. გორდონსი; 7. ამბიცია; 8. იშხანი; 10. პოლტავა; 12. რაგბი; 13. კოლიე; 14. დობერმანი; 18. ტოსკა; 20. ტიფანი; 23. შაურმა; 24. რომი; 25. რულეტი; 26. კოდა; 27. არითმია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რაბათი; 2. თორი; 3. პაციფისტი; 4. ალაფი; 5. ზოსტერა; 8. დუქანი; 9. ბერეიტორი; 12. შულერი; 14. დუნსტი; 16. ალილო.

**თარაზულად:** 1. რქაწითელი; 6. ვატერლოო; 7. ბრუდერი; 9. ბუტიკი; 10. ბიზე; 11. საჩხერე; 13. ბედია; 15. კუბიცა; 17. დიზაინი; 18. ველენი; 19. ბისტრო; 20. პოდიუმი.

## სამგლოვიარო განცხადებები



### ომარ ფერცულიანი

გარდაიცვალა საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გენერალ-მაიორი ომარ ფერცულიანი. შემზარავი, მძიმე და ტკივილიანია მოსასმენად, აღსაქმელად კიდევ უფრო ძნელი... დინჯი, კეთილშობილი, სულიერად მდიდარი, დახვეწილი, განათლებული და მიზანდასახული კაცი. მან ღირსეული გზა განვლო და საინტერესოდ, კაცური კაცის ცხოვრებით იცხოვრა. მიმდინარე წელს მისი ავტორობით გამოვიდა წიგნი — „სისხლით მორწყული სოფელი“, სადაც მოთხრობილია ნამდვილი ამბავი აფხაზეთის ტრაგიკული ფურცლებიდან. მის ოჯახში სიცოცხლე კვლავ გაგრძელდება, სისხლი-სისხლთაგანი, ხორცი-ხორცთაგანი — შვილები, შვილიშვილები და ასე შემდეგ. არასდროს დაივიწყებენ იმ ღირსეულ ადამიანებს, რომლებსაც ასე უყვარდათ მამული, თავისი აფხაზეთი და, საერთოდ, ადამიანები. მისი სული მარადისობას შეუერთდა. წავიდა და დატოვა კეთილი მოგონებები, უანგაროდ გაცემული სიკეთე და სიყვარული. ჩვენ კი დაგვრჩენია, წრფელი გულით მივუსამძიმროთ მისი ცხოვრების მეგზურს, ღირსეულ მეუღლეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს ქალბატონ ნინო ქებურიას, მის საყვარელ ვაჟიშვილებს კობასა და ბესოს, მათ ოჯახს. აქ ჩვენ მუდამ გვეხსომებით.

ბატონო ომარ, იქ, ზეციურ საქართველოში, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ჩვენ მიერ დანთებულმა სანთლებმა კი გაგინათონ გზა მარადიულ სასუფეველში!

*მეგობართა ჯგუფი*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# კლასთან მარტო დაცვა უძლურია

**ხორვატია — საქართველო 2:1**

*0:1 კანკავა (17), 1:1 მანჯუკიჩი (76), 2:1 კალინიჩი (78)*

**ხორვატია:** რუნიე, სრნა, ჩორლუკა, შიმუნიჩი, პრანიიჩი, მანჯუკიჩი, ვუკოიევიჩი (დუიმოვიჩი 71), მოდრიჩი, პერიშიჩი (კლასნიჩი 70), ედუარდო, იელავიჩი (კალინიჩი 46)

**საქართველო:** ლორია, სალუქვაძე, გრიგალავა, კალაძე, ხუბუტია, ხიზანიშვილი, კაშია (ანანიძე 80), იაშვილი (დაუშვილი 61), კანკავა, კვირკველია, სირაძე (დვალიშვილი 56)

მოგება თუ გინდა, ბედი მეტოქის კართან უნდა ეძებო, მაგრამ საქართველოს ნაკრები ამ პრინციპს ეწინააღმდეგება. ხორვატებთან მატჩში თემურ ქეცბაიას შეგირდები 90 წუთის განმავლობაში იცავდნენ საკუთარ კარს და მხოლოდ ფორტუნას იმედად იყვნენ. ბურთის ფლობის პროცენტულ მაჩვენებელს რომ თავი დავანებოთ და მარტო კარში დარტყმების სტატისკიკას გადავხედოთ, ხორვატებს კოლოსალური უპირატესობა ჰქონდათ — ხორვატებმა ჩვენს კარში 19ჯერ (აქედან 12 კარში) დაარტყეს, მაშინ როდესაც იგივეს გაკეთება მხოლოდ ერთხელ მოახერხეს.

მართალია, თემურ ქეცბაიას ხელში საქართველოს ნაკრებმა უკეთესობისკენ საგრძნობი ტრანსფორმაცია განიცადა, მაგრამ ხორვატებთან მატჩს მწვრთნელის აქტივში ნამდვილად ვერ შევიტანთ. უკვე წინასწარ იყო ცნობილი, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი აქცენტს დაცვით სტილზე აიღებდა, მაგრამ რაც „პოლიუდზე" მოხდა, ფეხბურთისგან რბილად რომ ვთქვათ, ცოტა შორს დგას.

ქეცბაიამ ძირითად შემადგენლობაში დაცვაზე ორიენტირებული რვა ფეხბურთელი დააყენა, რომელთაც მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდათ — გოლი არ გაეშვათ. ამიტომაც იყო, რომ მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრები მოედნის ცენტრამდე თუ ავიდოდა, მცველები ცოტას ამოისუნთქებდნენ, მაგრამ ესეც უიშვიათესი შემთხვევა იყო და საქართველოს კართან ხორვატთა შეტევების ახალი ტალღა მოდიოდა. მეცხრე ტალღა კი ყველაზე დამანგრეველი აღმოაჩნდა და 76-ე და 78-ე წუთებზე მოხდა.

საზღვარი ყველაფერს აქვს, მათ შორის იღბლის წყალობასაც — ამ შესარჩევ ეტაპზე ხან გვიმართლებდა, ხანაც — არა, მაგრამ რაც სპლიტში მოხდა, ნამდვილად კანონზომიერი იყო. ხორვატებმა საქართველოს კარის ძელს ბურთი სამჯერ გაარტყეს, მაგრამ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა და ნანატრი რევანში იზეიმეს.



სპლიტშივე ნათლად გამოჩნდა, რომ სლავენ ბილიჩის გუნდამდე ძალიან ბევრი გვიკლია და ჩვენი ელიტაში გარევა, ჯერ ნაადრევია. ვფიქრობთ, არც შედარებით შედარებით რეალურ მიზანზე უნდ ვიოცნებოთ — ჯგუფში მეორე ადგილზე, რომლის შანსიც ჯერ კიდევ გვაქვს, მაგრამ ვიმსახურებთ, ან გვილირს?

ხორვატთა ძირითადი შემადგენლობა ზუსტად ისეთი იყო, როგორიც იქაურმა მედიამ ივარაუდა — შეტევაზე ორიენტირებული, ფაქტობრივად, ოთხთავდამსხმელიანი. ქეცბაიამ კი უკიდურესად დაცვაზე ორიენტირებული თერთმეტეული შეარჩია.

ტრავმირებული ნუკრი რევიშვილის ადგილი კარში გიორგი ლორიამ დაიკავა, ლაშა სალუქვაძე მარჯვენა მცველის პოზიციაზე დარჩა, ცენტრში აკაკი ხუბუტიას კახა კალაძე შეუწყვილა, კაპიტნის ადგილი კი მარცხენა ფლანგზე დებიუტანტმა გია გრიგალავამ დაიკავა. ყველაზე მოულოდნელი იყო გურამ კაშიას საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე აღმოჩნდა, სხვები კი ჩვეულ პოზიციებზე განლაგდნენ — ჯაბა კანკავა და ზურაბ ხიზანიშვილი ცენტრში, ალექსანდრე იაშვილი და დავით კვირკველია, შესაბამისად, მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე ირჯებოდნენ, ერთადერთი თავდამსხმელი კი დავით სირაძე იყო.

მატჩის დაწყება და ხორვატიული შტურმი ერთი იყო. მეხუთე წუთისთვის მასპინძლებს უკვე სამი კუთხური ჰქონდათ მოწოდებული, მაგრამ ანგარიში მაინც ჩვენებმა გახსნეს. დავით სირაძემ შეტევის მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ჯაბა კანკავამ ორ მეურვეს აჯობა და ანგარიში თავურით გახსნა.

ამის შემდეგ ქართველებს ხორვატთა დაცვა და მეკარე აღარ შეუწუხებიათ, ბილიჩის ბიჭებმა კი მთელი ძალები წინ გადაისროლეს და შეტევას შეტევაზე ახორციელებდნენ. ჩვენები მეტოქეს ცენტრშიც იშვიათად ებრძოდნენ, ორეშელონიანი დაცვა მასპინძლებს საჯარიმოს სიახლოვეში ხვდებოდა. ხორვატები პირველ ტაიმში ცოტა არეულად და ქაოტურად გამოიყურებოდნენ და მათ შეტევებს მრავალფეროვნება ნამდვილად აკლდა.

ისინი უმეტესად ფლანგურ ჩაწოდებებს მიმართავდნენ, რასაც ლორიამ და ქართულმა დაცვა კარგად უმკლავდებოდა. შესვენებამდე მხოლოდ ერთხელ გადავრჩით. 25-ე წუთზე მარიო მანჯუკიჩის უხერხული დარტყმული, მიწიდან ასხლეტილი ბურთი ლორიამ ძელის დახმარებით მოიგერია.

მეორე ნახევარში ხორვატები წინა ხაზზე მეტი ფანტაზიით ამოქმედდნენ და ფლანგურ გარღვევებს კომბინაციური ფეხბურთი და მოკლე პასები წააშველეს. 57-ე წუთზე კიდევ ერთხელ გადავრჩით — ტანდაბალმა ედუარდომ ორ ქართველ მცველს საჰაერო დუელი მოუგო და ბურთი ხარიხას გაარტყა.

69-ე წუთზე მეკარემ გვიხსნა — მატჩში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ერთ-ერთმა საუკეთესომ, გიორგი ლორიამ ნიკოლა კალინიჩს ახლო მანძილიდან ზედიზედ ორჯერ დარტყმული ბურთი აუღო.

მერე იყო ხორვატთა კაპიტან დარიო სრნას ორი ჯარიმა — საქართველოს ნაკრები ჯერ ძელმა იხსნა, მერე კი ლორიამ.

ბილიჩმა კიდევ 2 შეცვლას მიმართა, რის შემდეგ მასპინძლები უფრო გააფთრებით ეკვეთდნენ ჩვენს კარს. ამასობაში ქეცბაიას 2 შეცვლა უკვე გაკეთებული ჰქონდა, მაგრამ ტაქტიკურად გამართლებულს ამას ვერ დავარქმევთ, რადგან მწვრთნელმა მოედანზე კიდევ ერთი ჩამბეტონებელი, მურთაზ დაუშვილი გამოუშვა და გაძლების იმედად დადგა. ჩვენი აზრით, ამ დროს საქართველოს ნაკრებს უფრო ბურთის დამჭერი სჭირდებოდა, რადგან დაცვას ზეწოლიდან ცოტა დაესვენა და ამოსუნთქვის საშუალება ჰქონოდა. თუმცა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — დაცვამ ზეწოლას ვერ გაუძლო, გაბზარულ ნაპრალებში კი კლასნიჩ-დუიმოვიჩ-მანჯუკიჩის სამსვლიანმა კომბინაციამ ქართული დაცვა მარჯვნიდან გაარღვია, მანჯუკიჩმა ანგარიში გაგვითანაბრა.

სტუმრებმა შოკიდან გამოსვლა ვერ მოასწრეს, რომ „პოლიუდი" უკვე მეორე გოლს ზეიმობდა. ედუარდომ საკუთარი ნახევრიდან უპრობლემოდ ირბინა ჩვენს საჯარიმომდე და ჩინებული პასით ქართველთა დაცვის ცენტრალური ზონა მშრალად დასვა, რითიც კარგად ისარგებლა კალინიჩმა და — 2:1.

ყველაფერი იქვე დასრულდა, თამაშის გადამრჩენს საქართველოს ნაკრები აღარ ჰგავდა, რადგან, ამის არც ძალა ჰქონდა, არც ენერგია და არც რესურსი.

### მატჩის შემდეგ:

**თემურ ქეცბაია:**

— ჩემი გუნდით ამაყი ვარ, მაგრამ როდესაც ისეთ გუნდს ეთამაშები, როგორიც ხორვატიაა, კონცენ-



ტრაციის წამიერად დაკარგვის შემთხვევაშიც კი დაისჯები. ხორვატიამ დამსახურებულად გაიმარჯვა. მეტოქე გუნდი ჩვენსაზე ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ტექნიკურად უკეთ გამოიყურებოდა. სამწუხაროდ, ყურადღება ორჯერ მოვადუნეთ და ორი გოლი მივიღეთ. მსგავსი რამ ხორვატიის დონის გუნდთან თამაშში არ უნდა ხდებოდეს. ხორვატიის ნაკრებს ევროპასა და მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მივიჩნევ.

— მიუხედავად ხორვატთა უპირატესობისა, 75-ე წუთამდე 1:0-ს იგებდით. გამარჯვების გჯეროდათ?

— თამაში ოთხმოცდაათ წუთს გრძელდება. ჩვენ ჩვენსას კი ვცდილობდით, მაგრამ ზოგჯერ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. წაგების მიუხედავად, დავამტკიცეთ, რომ იოლი მეტოქე არცერთი გუნდისთვის არ ვიქნებით.

ქეცბაიამ ისიც აღნიშნა, რომ ჯგუფის ფავორიტად ხორვატიას თვლის, ხოლო საქართველოს ნაკრები მეორე ადგილისთვის ბრძოლას გააგრძელებს:

— ჩვენ ძველებურად მეორე ადგილისთვის ვიბრძვით. ვინ იქნება პირველი? ხორვატია ჯგუფის საუკეთესო გუნდია და მიხარია, რომ მასთან დაპირისპირებაში ქულები თანაბრად გავინაწილეთ — 3:3. ჩემი აზრით, ჯგუფში პირველ ადგილს ხორვატია დაიკავებს. სავსე ტრიბუნების წინაშე თამაში სასიამოვნოა. თუმცა, მერჩივნა, სიჩუმე 90 წუთი გაგრძელებულიყო და არა მხოლოდ საწყისი 14 წუთი.

**სლავენ ბილიჩი:**

— ბოდიშს მოვუხდი საქართველოს, ვინაიდან მისი უფლებაა, როგორ ითამაშებს, მაგრამ ასეთი „კედლის" გარღვევა ძალიან რთულია. ჩვენთვის საფრანგეთთან თამაში უფრო ადვილია, ვიდრე საქართველოსთან. თითოეულ დარჩენილ მატჩში მძიმე ბრძოლა გველის, მაგრამ ზოგიერთი ფეხბურთელი დაგვიბრუნდება და უფრო ძლიერი გუნდი გვეყოლება. ძალიან რთული და მომქანცველი მატჩი იყო. მადლობელი ვარ მოთამაშეების, რომლებმაც ხასიათი და მოთმინება გამოავლინეს. ასევე, მადლობელი ვარ გულშემატკივრების. ეს სპლიტის ახალი ეპოქის დასაწყისია, რომელიც სამუდამოდ გაგრძელდება. იმედი გვქონდა, რომ სწრაფ გოლს გავიტანდით, მაგრამ საპირისპირო მოხდა. 35-ედან 45-ე წუთამდე გაუაზრებლად ვთამაშობდით. ვუკოევიჩი სასარგებლოდ მოქმედებდა, მეტოქის შეტევებს შლიდა, მაგრამ მოდრიჩი ამხელა დატვირთვისგან უნდა გაგვეთავისუფლებინა და ეს დუიმოვიჩის მეშვეობით მოვახერხეთ. სრნას და პრანიჩს მუდმივად ვეუბნებოდი, რომ ფლანგებზე ზეწოლა გაეძლიერებინათ. კლასნიჩი თამაშში კარგად ჩაერთო. ის ფიზიკურად ძლიერი და სწრაფი არ არის, მაგრამ მისი ამოცანა მანჯუკიჩისთვის და კალინიჩისთვის სივრცეების გათავისუფლება იყო. თავის მხრივ, თამაშში ორივე ფანტასტიკურად ჩაერთო. ამ ცვლილებებმა რეალური შედეგი მოიტანა.

ჩვენსავე ჯგუფში კიდევ ორი მატჩი გაიმართა და ორივე ქართველთა არასასურველი შედეგით დასრულდა. საბერძნეთი რომ პირეოსში მალტას მოუგებდა, ამაში ეჭვი, ალბათ, არავის ეპარებოდა, თუმცა რიგაში კი იყო ლატვიელთა იმედი...

ისრაელმა თავიდანვე შეუტია ბალტიისპირელებს და მათმა ლიდერმა იოსი ბენაიუნმაც მე-19 წუთზე გახსნა ანგარიში.

ტაიმის ბოლოს სტუმრებმა მეორე გოლიც გაიტანეს — ამჯერად პენალტით. იუვალ შპუნგინის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ტალ ბენ-ჰაიმმა ზუსტად შეასრულა — 0:2.

მეორე ტაიმში ალექსანდრს ცაუნიამ 63-ე წუთზე პენალტითვე კი გაქვითა ერთი ბურთი, მაგრამ ეს იყო და ეს. საბოლოოდ, 2:1 ისრაელის ნაკრების სასარგებლოდ.პირეოსის "გეორგიოს კარაისკაკისზე" კი საბერძნეთის ნაკრებმა 3:1 მოუგო მალტას, რომელსც იოლად არაფერი დაუთმია.

ბერძნები პირველ ტაიმში 2 ბურთით დაწინაურდნენ, მაგრამ მაიკლ მიფსუდმა მოახერხა ანგარიშში სხვაობის შემცირება, თუმცა ელადელებმა მალე მესამეც გაიტანეს და ყველაფერი ტავის ადგილზე დააყენეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 13 |
| 2.საბერძნეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 8:3 | 14 |
| 3.ისრაელი | 7 | 4 | 1 | 2 | 10:7 | 13 |
| 4.საქართველო | 7 | 2 | 3 | 2 | 5:5 | 9 |
| 5.ლატვია | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| 6.მალტა | 6 | 0 | 0 | 6 | 2:12 | 0 |

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევრო-2012. შესარჩევი ეტაპი**

**ბ ჯგუფი**

რუსეთი-სომხეთი ........ 3:1
სლოვაკეთი-ანდორა ........ 1:0
მაკედონია-ირლანდია ........ 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სლოვაკეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 6:4 | 13 |
| 2.რუსეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 |
| 3.ირლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| 4.სომხეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:7 | 8 |
| 5.მაკედონია | 6 | 1 | 1 | 4 | 5:8 | 4 |
| 6.ანდორა | 6 | 0 | 0 | 6 | 1:13 | 0 |

**ჯ ჯგუფი**

ინგლისი-შვეიცარია ........ 2:2
მონტენეგრო-ბულგარეთი ........ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 11 |
| 2.მონტენეგრო | 5 | 3 | 2 | 0 | 4:1 | 11 |
| 3.შვეიცარია | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 5 |
| 4.ბულგარეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:6 | 5 |
| 5.უელსი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | 0 |

**ჰ ჯგუფი**

**ისლანდია-დანია 0:2**

პორტუგალია-ნორვეგია ........ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | 11:7 | 10 |
| 2.ნორვეგია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| 3.დანია | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| 4.კვიპროსი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| 5.ისლანდია | 5 | 0 | 1 | 4 | 2:8 | 1 |

**ფ ჯგუფი**

ლატვია-ისრაელი ........ 1:2
საბერძნეთი-მალტა ........ 3:1

**ამხანაგური მატჩები**

პერუ-ჩეხეთი ........ 0:0
ბრაზილია-ჰოლანდია ........ 0:0
აშშ-ესპანეთი ........ 0:4
ბოლივია-პარაგვაი ........ 0:2
ავსტრალია-ახ.ზელანდია ........ 3:0

**აფრიკის ერთა თასი. შესარჩევი ეტაპი**

ზამბია-მოზამბიკი ........ 3:0
უგანდა-გვინეა ბისაუ ........ 2:0
ნამიბია-ბურკინა ფასო ........ 1:4
კამერუნი-სენეგალი ........ 0:0
სიერა ლეონე-ნიგერი ........ 1:0
მაროკო-ალჟირი ........ 4:0

**საერთაშორისო ტურნირი (21)**

უნგრეთი-მექსიკა ........ 0:2
საფრანგეთი-ჩინეთი ........ 4:0

**იტალია. სერია ბ პლეი-აუტი**

პიაჩენცა-ალბინოლეფე ........ 0:0

**აშშ. მლს**

ლოს ანჯელესი-ვაშინგტონი ........ 0:0
ტორონტო-კანზასი ........ 0:0
რედ ბული-კოლამბუსი ........ 1:1
დალასი-ნიუ ინგლენდი ........ 1:0
ჩიკაგო-სიეტლი ........ 0:0
კოლორადო-ფილადელფია ........ 1:1
სოლტ ლეიკი-ვანკუვერი ........ 2:0
სან ხოსე-ჰიუსტონი ........ 2:0
ჩივასი-პორტლენდი ........ 1:0

**ბრაზილია. სერია ა**

პალმეირასი-ატლეტიკო(პ) ........ 1:0
სეარა-ბოტაფოგო ........ 2:2
ფლუმინენსე-კრუსეირო ........ 2:1
ფიგუირენსე-ატლეტიკო(გ) ........ 2:0

**არგენტინა. კლაუსურა**

არსენალი-ოლიმპო ........ 2:0
ბანფილდი-ოლდ ბოიზი ........ 3:1

**კალათბურთი**

**ეჩ-2011. საკვალიფიკაციო რაუნდი**

**ქალები**

იტალია-სერბეთი ........ 76:55
ფინეთი-უნგრეთი ........ 51:65
უკრაინა-ბულგარეთი ........ 68:70
რუმინეთი-გერმანია ........ 65:59

**ამხანაგური მატჩები**

ხორვატია-თურქეთი ........ 77:72
ესპანეთი-ბელარუსი ........ 57:52
ჩინეთი-კუბა ........ 63:57

**ფრენბურთი**

**ევროლიგა**

**ქალები**

ბელარუსი-ხორვატია ........ 3:0
თურქეთი-რუმინეთი ........ 3:0
ისრაელი-ჩეხეთი ........ 0:3
უნგრეთი-ბულგარეთი ........ 0:3
ესპანეთი-სერბეთი ........ 0:3
საფრანგეთი-საბერძნეთი ........ 3:0

**მსოფლიო ლიგა**

**კაცები**

ბრაზილია-პოლონეთი ........ 3:0
ბულგარეთი-იაპონია ........ 3:1
პორტუგალია-არგენტინა ........ 1:3
რუსეთი-გერმანია ........ 3:0
სერბეთი-ფინეთი ........ 3:0
პუერტო რიკო-აშშ ........ 1:3
ს.კორეა-საფრანგეთი ........ 3:1

**ევროლიგა**

ესპანეთი-ავსტრია ........ 3:1
სლოვენია-ხორვატია ........ 3:0
თურქეთი-რუმინეთი ........ 0:3
სლოვაკეთი-ბელარუსი ........ 3:2
დ.ბრიტანეთი-ბელგია ........ 3:0
ჰოლანდია-საბერძნეთი ........ 3:2

**ხელბურთი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**ქალები**

პოლონეთი-დანია ........ 16:23
ესპანეთი-მაკედონია ........ 37:22
ჰოლანდია-თურქეთი ........ 40:28

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი**

**ფინალი**

ლი-სკიავონე ........ 6:4;7:6

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**ფინალი 4 მოგებამდე**

ვანკუვერი-ბოსტონი ........ 3:2(ოტ)
სერიის ანგარიში ........ 2:0

# ახალგაზრდული რევანში

**ხორვატია — საქართველო 0:1**

*0:1 თარხნიშვილი (5)*

**ხორვატია:** კალინიჩი, ცელიაკი (სლიშკოვიჩი 68), პავლოვიჩი, კელიჩი, იოზინოვიჩი, ადემი, ვუჯიჩევიჩი, ტრებოტიჩი (ტიჩინოვიჩი 46), ვუკუშიჩი, ლენდრიჩი (კოვაჩევიჩი 46), ჩოპი

**საქართველო:** მაკარიძე, ჯიშკარიანი, კაკუბავა, კვირკველია, აფაქიძე, ყაზაიშვილი (ბეგლარიშვილი 90), თარხნიშვილი, კვეკვესკირი, შეყილაძე (იოსელიანი 64), ძალამიძე (ჯილაური 90), მჭედლიძე

ძნელი წარმოსადგენი იყო თუ ოთარ გაბელიას შეგირდები ევრო-2013-ის შესარჩევი ციკლის სადებიუტო შეხვედრაში ხორვატებს

გაგრძელება მე-15 გვერდზე

# რომან ფიფია: — თბილისის „დინამო“ ხატია

**თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა რომან ფიფიამ რუსულ პოპულარულ სპორტულა გამოცემა „სპორტ-ექსპრესს“ საინტერესო ინტერვიუ მისცა, სადაც თავიდან საუბარი იმ პერიოდს შეეხო, როცა ქართველი ბიზნესმენი სარატოვის „სოკოლს“ პრეზიდენტობდა და კლუბი თითქმის ჭაობიდან ამოიყვანა, შემდეგ კი ახლანდელ კლუბზე, „დინამოზე“ იყო საუბარი.**



რომან ფიფია:

— 2000 წელს უალტერნატივოდ გავედით პირველ ლიგაში პირველ ადგილზე, ხოლო წინა წლებში საშინელება ხდებოდა. არ მოვყვები პირველი ლიგის სპეციფიკას. იმედია, ახლა იქ უკეთესი სიტუაციაა. უმაღლეს ლიგაში ბევრად მოწესრიგებული ვითარება იყო, ქვედა ლიგაში კი უნდა გაგეძლო. უმაღლესში რომ გადავედით, დიდხანს ვლიდერობდით, რაც ბევრ ჩემს კოლეგას არ მოსწონდა. წარმოიდგინეთ, ცხრილის თავში სულ იყვნენ "სპარტაკი", ცსკა, "ზენიტი", "დინამო", "ლოკომოტივი" და ამ დროს ვიღაც "სოკოლი" ყველას თვალში ეჩხირება. ლიგის საბჭოზე უსიამოვნო საუბარი წარიმართა და სხვა კლუბის პრეზიდენტებს ვუთხარი: "მოდით, მეგობრულად ვიცხოვროთ და ღმერთის გეშინოდეთ". და მაინც, სუფთად თამაშის საშუალება არ მოგვეცა. საბოლოოდ, მერვეზე გავედით, თუმცა სამეულში შესვლა თავისუფლად შეგვეძლო. გუნდი მართლაც მშვენივრად თამაშობდა და ყველა ხედავდა, "სოკოლი" უმაღლეს ლიგაში ღირსეულად გამოდიოდა. ამასთან, იყო საოლქო მასშტაბის პრობლემები. კლუბს ვეხმარებოდი, მაგრამ ძირითადი დაფინანსება მაინც სარატოვის ოლქის ბიუჯეტიდან მოდიოდა. ზოგიერთი ჩინოვნიკი მიხვდა, რომ "სოკოლის" პრეზიდენტობა დიდი ბედნიერება იყო.

— ***"ბედნიერება" ბრჭყალებში?***

— დიახ. მათ არ იცოდნენ, რომ 24 საათი მუშაობა იყო საჭირო. მოკლედ, უსიამოვნო საუბარი დაიწყო და მე ვთქვი: "მორჩა, მივდივარ". აი, თქვენია უმაღლესი ლიგა, ვინც გსურთ, ის დააყენეთ ხელმძღვანელად და თავშიც ქვა გიხლიათ-მეთქი. ბევრმა მთხოვა დარჩენა, მაგრამ წავედი. ადამიანი, რომელსაც მუშაობის შედეგი უნდა დაეფასებინა, არ დააფასა. დანარჩენი კი უინტერესო იყო ჩემთვის. მომდევნო სეზონის წინ იმ კაცმა დამირეკა და "სოკოლში" დაბრუნება მთხოვა. მე ვუთხარი: "შეუძლებელია. მოსამზადებელი პერიოდი დასრულებულია და გუნდზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ". მარტო ფულში არაა საქმე, "სოკოლთან" არანაირი კონტაქტი აღარ მქონდა, არადა, პრეზიდენტობის დროს ყოველდღიურად გუნდთან ერთად ვიყავი, ბაზის გვერდით ვცხოვრობდი. ჩემი მეორე სახლიც ეს იყო.

— ***იმ ადამიანის სახელ-გვარს იტყვით?***

— რისთვის? როცა წაიკითხავს, საკუთარ თავს ამოიცნობს. აქვე ვიტყვი, რომ ფული არაა მთავარი. ყველაზე მნიშვნელოვანი გუნდური ატმოსფეროა და ის, თუ როგორ აფასებენ ხელმძღვანელს ფეხბურთელები. თუ შენი სჯერათ, მომავალსაც მშვიდად უყურებენ. თუ ბიჭები ხედავენ, რომ გუნდის ხელმძღვანელი ბიძია მხოლოდ მატჩის დროს ჩნდება ტრიბუნაზე, მზესუმზირას აკნატუნებს, ეწევა და მორჩა, იმის იქით არ გენახვება, მაშინ სხვა ამბავია... "სოკოლიდან" წასვლის შემდეგ, დიდხანს ვცხოვრობდი მოსკოვში, ხოლო საქართველოში 2006 წელს წავედი.

— ***და ეს წლები ფეხბურთში არ ყოფილხართ?***

— არა. ვთქვი, რომ ამ სფეროში აღარ დავბრუნდებოდი.

— ***რატომ გადაიფიქრეთ?***

— თბილისის "დინამო" საბჭოთა ფეხბურთის ხატია. მივხვდი, რომ არსებობდა კლუბი, სადაც არანაკლების გაკეთება შეიძლებოდა, ვიდრე "სოკოლში" გავაკეთე. სარატოვში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ვთქვი: "რატომ არ უნდა დავეხმარო "დინამოს"? ვიცი, რაც სჭირდება გუნდს წარმატების მისაღწევად. "სოკოლში" ეს გავაკეთეთ.

— ***"სოკოლი" რუსეთში პოპულარული კლუბი არაა და მგონი, მარტო სარატოველებს აინტერესებთ. "დინამო" კი სხვაა — საერთაშორისო დონის ბრენდია, საქართველოს სავიზიტო ბარათია. რას შეძლებთ ამ კლუბში?***

— ლეგენდარული კლუბია თუ არა, ყველგან ერთნაირი მიდგომაა საჭირო. არ შეიძლება, ერთ გუნდს ვიტამინ ბ-ს აძლევდე, მეორეს კი ვიტამინ ც-ს. ფეხბურთით უნდა ვიცხოვროთ, რადგან სხვა ფორმულა არ არსებობს. არ შეიძლება, ვიპ-ლოჟაში იჯდე, თითებს იშვერდე და კითხულობდე, თუ რატომ არაა შედეგი. თუ კლუბში მთლიანად არ იქნები, ვერანაირი მწვრთნელი ვერ მოგიტანს შედეგს. ადამიანი საკუთარ შვილებს მხოლოდ თავად ზრდის. ევროპის საუკეთესო კლუბების მსგავს პირობებს შევამზადებთ და მერე მოვკითხავთ მწვრთნელსა და თითოეულ ფეხბურთელს.

— ***ქართულ ფეხბურთშიცაა ისეთი ნიუანსები, რაც „სოკოლში“ იყო?***

— საქართველოში არაა ის ნეგატივი, რაც სარატოვში იყო. ხომ ხედავთ, როგორი მოწესრიგებული პოლიციაა საქართველოში? არავინ არ დგას ქუჩაში და ფულის "მოტეხვას" არ ცდილობს. იგივეა საფეხბურთო მინდვრებზეც. რა თქმა უნდა, პრობლემები არსებობს □ ამასწინათ, თამაშების გაყიდვაში ფეხბურთელები ამხილეს და დააკავეს. არ მახსოვს, რუსეთში ეს გამოევლინათ. ქართულ კლუბებს განვითარების საშუალება აქვთ. სახელმწიფო დახმარება აქ არაა, ყველა კლუბი კერძოა. ღმერთის წყალობით, თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, საქართველოს ლიგა ხუთ წელიწადში სულ სხვაგვარი იქნება.

— ***ქართული კლუბების საშუალო ბიუჯეტი რამდენია?***

— ვისურვებდი, რომ 3-5 მილიონზე ნაკლები არცერთს არ ჰქონოდეს. "დინამო" მოისუსტებს და ბევრი რამის შეცვლა დავიწყეთ, მათ შორის, მთლიანი სტრუქტურის. დიდ ფულს ვხარჯავთ ბაზის რეკონსტრუქციისთვის, სადაც ოთხი მინდორი იქნება და მათ შორის არ ვთვლი საბავშვო მოედნებს. მწვრთნელი არა მარტო მთავარ გუნდში, აკადემიაშიც იმუშავებს. ჩვენ გვსურს მსოფლიოს საუკეთესო კლუბის მოდელის დანერგვა.

— ***დიდხანს აპირებთ „დინამოში“ ყოფნას?***

— ასე გიპასუხებთ — კლუბს ჩემს სათამაშოდ არ განვიხილავ. თუ არაფერი გამომივა, „დინამოს“ ღირსეულ კაცს ჩავაბარებ. არავის აქვს უფლება, მუდმივად ვიპლოჟის სავარძელში იჯდეს. თუ სამი წლის განმავლობაში შედეგს ვერ ვაჩვენებთ, ესე იგი, ცუდი პრეზიდენტი ვყოფილვარ. არ ვგულისხმობ გრანდიოზულ გამარჯვებებს, მაგრამ „დინამო“ ყველა ასპექტში გამორჩეული უნდა გახდეს.

— ***ალბათ, მხოლოდ საქართველოს ჩემპიონობა არაა თქვენი მიზანი.***

— რა თქმა უნდა, არა. ქვეყნის მიღმაც უნდა ვაჩვენოთ ძალა.

— ***მაგრამ 30 წლის წინანდელი წარმატების გამეორებაზე ლაპარაკი ახლა ცოტა უადგილოა.***

— იცით, თუ არ მიიწევ მიზნისკენ, მაშინ რისთვის უნდა იმუშაო? არ შეიძლება, ფეხბურთელებს უთხრა, დაივიწყეთ 1981 წელი და დავკმაყოფილდეთ ჩემპიონატით, გავიდეთ მესამეზე ან მეათეზე... ნებისმიერი გუნდი გამარჯვებას უმიზნებს და რა თქმა უნდა, მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატით არ შემოვიფარგლებით.

— ***კლუბში ვეტერანი ფეხბურთელების დახმარების პროგრამა თუ არსებობს?***

— დიახ, მაგრამ ეს პროგრამა კი არა, ვალდებულებაა. „დინამოს“ ვეტერანები ყოველთვის იგრძნობენ, რომ დინამოში“ იყვნენ და არიან. ეს დაუწერელი კანონია.

— ***ვეტერანები ახლანდელ ფეხბურთელებს ხვდებიან?***

— 10 წელია, ასეთი რამ არ მომხდარა, მაგრამ ყველაფერი იცვლება. ვეტერანები აუცილებლად ივლიან ბაზაზე, მიიღებენ ფორმას და ისეთივე კომფორტულ პირობებში ითამაშებენ, როგორც თანამედროვე ფეხბურთელები. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი და მთავარია, ბავშვთა ფეხბურთი განვავითაროთ. საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა. უბრალოდ, უნდა ვიცოდეთ, როგორ ვიმუშაოთ პატარებთან. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ნიჭიერი ბავშვები ბადეში კვლავ ხვდებოდნენ.

# ახალგაზრდული რევანში

**დასაწყისი მე-14 გვერდზე**

დაამარცხებდნენ, მაგრამ ქართველებმა პირველი სამი ქულაა მიითვალეს.

ხორვატიაში გამგზავრებამდე არც გაბელია მალავდა, რომ მოსაგებად მიდიოდა (ყველა მწვრთნელი ასე ამბობს), მაგრამ იმასაც ღიად აცხადებდა, რომ ქულითაც კმაყოფილი იქნებოდა.

ჩვენებმა გამარჯვების გოლი მე-5 წუთზე გაიტანეს, როდესაც ქუთაისის „ტორპედოს“ ნახევარმცველმა თორნიკე თარხნიშვილმა, დაახლოებით 22-23 მეტრიდან კალინიჩს აუღებლად დაურტყა.

შუშაკმა ვითარების გამოსასწორებლად პირველივე ტაიმში ორი ცვლილება განახორციელა, მაგრამ ხორვატებმა თამაშის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება ვერ მოახერხეს. ბალკანელთა მთავარმა მწვრთნელმა, ცამეტ მაისს თბილისში სტუმრად ყოფნისას განაცხადა, რომ ფავორიტებად კი ვითვლებით, მაგრამ მოედანზე უნდა დავამტკიცოთო. შედეგად, დუგოპოლიეში სულ სხვა რამ დამტკიცდა.

## მატჩის შემდეგ:

— წვიმა იყო და თამაში ცოტა ჭირდა. გუნდი თავიდან ბოლომდე კონცენტრირებული იყო და ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს. გატანილი გოლის გარდა, 2-3 საგოლე მომენტი კიდევ გვქონდა. მეორე ნომრად ვითამაშეთ. როგორც თამაშამდე მქონდა ნათქვამი, ბიჭები პირველი წუთიდან მსაჯის საფინალო სასტვენამდე ყურადღებით იყვნენ.

— ***რომელ სათამაშო რგოლს ან ფეხბურთელს გამოარჩევდით?***

— მთლიანობაში გუნდს გამოვარჩევდი. ყველამ ბევრი იმუშავა და იბრძოლა.

— ***ხორვატიის ნაკრებმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა?***

— ძალიან კარგი გუნდია — სწრაფი, ტექნიკური და ტანმაღალი ფეხბურთელები ჰყავთ. თუმცა, ჩვენმა მოთამაშეებმა ტოლი არც მიწაზე დაუდეს და არც ჰაერში. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს. დისციპლინის ხარჯზე მოვიგეთ.

ივო შუშაკი:

— პირველ ტაიმში ორი რეალური მომენტი შევქმენით და ვერგატანა უფრო რთული იყო, ვიდრე კარის აღება. მეტოქის მეკარემ მთელი



მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა. როცა ადრეულ გოლს უშვებ, თამაშის შემოტრიალება ძნელია. ვგრძნობდი, რომ გოლის გატანა შეგვეძლო, რაც საბოლოოდ მაინც ვერ მოვახერხეთ. ქართველებმა ღირსეულად გაიმარჯვეს — გოლი გაიტანეს და საკუთარ კარში არ გაუშვეს. თუ ბურთის ფლობის მაჩვენებელსა და შექმნილ მომენტებს დავაკვირდებით, შესაძლოა, მარცხს არ ვიმსახურებდით, მაგრამ ფეხბურთი ყოველთვის სამართლიანი როდია. ნებისმიერ შემთხვევაში, ქართველებს ვულოცავ. შესაძლოა, გამარჯვებაში ხელი ზედმეტმა თავდაჯერებამ შეგვიშალა. ქართველებმა აჩვენეს, რომ ჩვენსავით ნიჭიერები არიან. სამი ქულა დავკარგეთ, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ საქართველოს ან ნებისმიერი სხვა მეტოქის სტუმრად დამარცხება არ შეგვიძლია.

# „ზესტაფონი“ ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს

საქართველოს ჩემპიონი□ზესტაფონი, ქართული გუნდებიდან ერთ-ერთი პირველი შეუდგება ახალი სეზონისთვის მზადებას. გუნდმა უკვე გუშინ დაიწყო სამედიცინო შემოწმების გავლა, ხოლო ხვალ უკვე ზესტაფონში შეიკრიბება და მზადების პირველ ეტაპს შეუდგება. იმერლები საკუთარ ახალ საწვრთნელ ბაზაზე მომზადებულები, 21 ივნისს ავსტრიულ შეკრებაზე გაემგზავრებიან.

გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი ნიკოლოზ გელაშვილი, ხორვატიის ნაკრებთან ჩასატარებელი მატჩისთვის სამზადისისას მიღებული ტრავმის გამო, ათიოდე დღით გამოაკლდება გუნდთან სრულფასოვან ვარჯიშს.

ორდღიანი სამედიცინო შემოწმების შედეგებზე იქნება დამოკიდებული „ზესტაფონის“ ახალწვეულ ზურაბ მენთეშაშვილის ახლო პერსპექტივა. ისრაელიდან მობრუნებულმა და ნაოპერაციებმა ნახევარმცველმა, რეაბილიტაციის პერიოდი უკვე გაიარა და როგორც კლუბში იმედოვნებენ, იგი ახალი სეზონისთვის მზადებას უახლოესი სამშაბათიდანვე გუნდთან ერთად შეუდგება.

სიახლეა იმერელთა საკლუბო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მხრივაც. საწვრთნელ ბაზაზე უკვე დაიწყო თანამედროვე ტიპის სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. როგორც კლუბში აცხადებენ, სასტუმრო სამოცდასამ პერსონაზეა გათვლილი. ჩვენი ინფორმაციით, მინიმუმ ოთხვარსკვლავიანი არქიტექტურული ნაგებობა დასრულებულ სახეს 2012 წლის დამდეგისთვის მიიღებს.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს“: ესპანელი მთავარი მწვრთნელის, ალექს გარსიას თანაშემწედ, კლუბის ხელმძღვანელობამ ნესტორ მუმლაძე დანიშნა.თბილისის „ვიტ ჯორჯიადან“ წასვლის შემდეგ, მუმლაძემ გასული სეზონი ქუთაისის „ტორპედოს“ თავკაცად დაიწყო, რომელიც არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო დატოვა. ამის შემდეგ, მან რუსთავის „ოლიმპი“ ჩაიბარა, საიდანაც გასული წლის დეკემბრის დასაწყისში დაითხოვეს. შემდეგ, როდესაც „დინამოს“ პრეზიდენტი რომან ფიფია გახდა, მუმლაძე სათავეში თბილისელთა დუბლშემადგენლობას ჩაუდგა.

აქვე გეტყვით, რომ მუმლაძის გარდა, გარსიას გუნდის ფიზმომზადებაში თანამემამულე მწვრთნელი, მარკ უგეტი დაეხმარება, რომელიც საქართველოში წესითა და რიგით ხვალ უნდა ჩამოვიდეს.

**მოამზადა
მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი
6 ივნისი**

**06.30** დოკ.ფ."მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** სილამაზის ფორმულა **18.30** მედინფო **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** აუდიტორია **23.00** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **00.30** ღამის საუბრები **01.30** მხ.ფ.**"შავი ქორის დესანტი"** (18) (ე. მაკგრეგორი) **03.55** მოამბე **04.15** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **"მერლინის შეგირდი"** **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" **20.00** მხ. ფ. **"შინ დაბრუნება"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ბაგსი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 05.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** ნიჭიერი (პირდ.) **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** შუა დღე (გან.) **03.00** პატრული **03.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** შეგირდი (გან.) **23.45** ღამის შოუ (გან.) **01.25** მხ. ფილმი **"ადრენალინი"** (15) (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი **"ცეცხლოვანი ველი"** (15) (შ. ტერონი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"მომიყევი ერთი ამბავი"** **12.50, 19.30** სერ. **"უკვალოდ"** **14.50** ფერისცვალება **15.00** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **18.00** დოკ. ფილმი **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05** მხ. ფილმი **"შერეკილები"** **13.35** კონცერტი – ნ. გელაშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.05** სპექტაკლი **"აქ მატარებლებს თეთრად ათოვს"** **16.45** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.20** მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **17.45** მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფ.**"დანაშაული მოხდა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დრო და ტრადიციები **22.20** დოკ. ფილმი "ოსანა მაღალთა შინა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. ფილმი **"პიესა ოთხი ხელისთვის"** **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** სუფთა დაფა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**6 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6658

ევრო — 2,3799

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7451

რუსული რუბლი — 0,0593

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 13-15

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 15-1§

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 17-29, ღამით — §-13

## ამინდის პროგნოზი 6 ივნისისთვის








წამალი “ფერდი” შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. ”ფერდი” დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი ”ფერდის” მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი “ფერდი” იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა “ფერდი”. 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ფიფაში სიკვდილი შეაგზავნეს

**1 ივნისს ფეხბურთის უმთავრესი ორგანიზაციის, ფიფას პრეზიდენტის არჩევნები იყო, რომელმაც საკმაოდ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. მართალია, წინ სკანდალი უძღოდა, მაგრამ ეს მალევე იქნა ჩაფარცხული და ერთადერთი კანდიდატი, ზეპ ბლატერი, ზედიზედ მეოთხე ვადით იქნა არჩეული. თუმცა, სიწყნარეს ქარიშხალი მოჰყვა.**




როდესაც შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ბლატერი პრეზიდენტად კიდევ ერთხელ აირჩიეს და დელეგატები საღამოს საზეიმო ბანკეტისათვის ემზადებოდნენ, ფიფა-ს შტაბბინაში შევიდა „ფასტ-ფუდის“ ტიპის ერთ-ერთი ორგანიზაციის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც ხელახლა გაპრეზიდენტებული ზეპ ბლატერის სახელზე გაგზავნილი საკმაოდ მოზრდილი ამანათი დატოვა და მალევე წავიდა.

ცხადია, ამ დონის ორგანიზაციაში ყველაფერი მოწმდება და არც ეს ამანათი დარჩა შეუმოწმებელი. დაცვამ ამანათი შეამოწმა და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. როდესაც ლამაზად შეფუთული ამანათი გახსნეს შიგნით მხოლოდ რამდენიმე მკვდარი ვირთხა აღმოჩნდა.

ასეთი უცნაური ამანათები ამ ორგანიზაციაში ადრეც არაერთხელ მისულა, მაგრამ თუ ვინმეს პროტესტის გამოხატვა სურდა, ამანათებში, როგორც წესი, წერილებიც იდო, სადაც განმარტებული იყო, თუ რა არ მოსწონდათ კონკრეტულად. ზემოაღნიშნულ ამანათში კი არც წერილი იყო არც სხვა რამ მინიშნება.

თუ რის თქმა სურდა ამანათის გამგზავნს ამ ჟესტით, ამაზე საკუთარი ვერსიებიც შეგვიძლია გამოვთქვათ, მაგრამ ისე, ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს...

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## ასტროპროგნოზი 6 ივნისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

ხალისიანი დღეა

**ვერძი** — კარგ ამბებს გაიგებთ, გახალისებული ხართ. **კურო** — ფულს შოულობთ, შემოსავლის ახალი წყარო გახარებთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — საკუთარ თავზე იმუშავეთ, სხვა ვერ დაგეხმარებათ. **ლომი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ქალწული** — მშვენიერი დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **სასწორი** — თქვენი საქმე წინ მიდის, დაჯილდოვდებით. **ღრიანკალი** — ბინას იყიდით, ტუზი დაგეცათ. **მშვილდოსანი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თხის რქა** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **მერწყული** — შეხვედრაზე არ დაიგვიანოთ, თქვენთვის საზიანო იქნება. **თევზები** — ყველა საქმე გამოგივათ, მთავარია არ იზარმაცოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 30 მაისიდან

## იყიდება 100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

**ტომი 6**

# რიშელიე




**გაზეთი და წიგნი ერთად**

**8 ლარი**


## იუმორი



ორი მელოტი კამათობს:

— შენ ჩემზე მელოტი ხარ.

— კი მაგრამ, როგორ? არც შენ და არც მე თავზე ერთი ღერი თმა აღარ დაგვრჩა.

— მართალია, მაგრამ შენ ჩემზე დიდი თავი გაქვს...

* * *

გამოცდები სამედიცინოში. აუდიტორიიდან დაღვრემილი სტუდენტი გამოდის, თანაკურსელები ეკითხებიან:

— ჩააბარე?

— ვერა?

— რატომ?

— მკითხა, „ოყნის გასაკეთებლად რა არის საჭირო“

— მერე, რა უპასუხე?

— უკანალი-მეთქი და გამომიშვა...

* * *

ტიპი საპარიკმახეროში შევიდა, გაკრიჭეს, სარკეში ჩაიხედა და აყვირდა. ოსტატი ეკითხება:

— რა არ მოგწონთ?

— ყველაფერი. რა საშინელებაა, თქვენს უფროსს დამიძახეთ.

უფროსი მოვიდა.

— რა მოხდა? რა არ მოგწონთ?

— ყველაფერი.

— კონკრეტულად?

— ყველაფერი.

— გასაგებია, რომ ყველაფერი არ მოგწონთ... მაგრამ საპარიკმახეროთი რატომ დაიწყეთ?

გ.თ.

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 6. საბრილიანტე ქვა; 8. ახალი წელი გურიაში; 9. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 10. ხის ქერქქვეშ მკვრივი ნაწილი; 12. ღორის ჯოგი; 13. ფოსო მკლავის ტანთან შეერთების ადგილას; 14. ფანჯარა; 13. საწვავი ნივთიერება; 21. პატარა სატვირთო მანქანა; 23. ერთუჯრედიანი წყლის ცხოველი; 24. გეომეტრიული სხეული; 25. მიწის თხილი; 26. ათი ხარისხად ცხრა.

**შვეულად:** 1. ადამიანის მსგავსი ცხოველი; 2. საზაფხულო ფეხსაცმელი; 3. იოლი; 4. ჭიკარტი; 5. ქიმიური ელემენტი; 7. საფუტკრე; 11. ქიმიური ელემენტი; 15. ახლო, მჭიდრო ურთიერთობა; 16. პატარა მგალობელი ფრინველი; 17. აზელილი კარტოფილი; 18. გაზაფხულის თვე; 20. დიდი ფეხიანი ჯამი; 22. სპორტული ტანსაცმლის ფირმა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ.*

